years old), Musta Alishkan (70 years old), Ahmet Alihan (69 years old), Mehmet Ozgun (67 years old), Huseyn Okumush (63 years old), Rejep Pil (63 3years old), Huseyn Shimshek (71 years old), Hasan Subash (64 years old).

Residents of Sapanja (Turkey): Ahmet Nuri Guchlu (71

years old), Remzi Yildiz (59 years old), Jemil Merjan (63 years old), Mevlut Merjan (63 years old), Akgul Merjan (60 years old), Ilhan Demir (62 years old), Atila Merjan (41 years old), Ihsan Engin (24 years old).

Residents of Izmit (Kojaeli, Turkey): Nezahat Mut (55 years

old), Shaban Mut (73 years old), Hajer Mut (51 years old).

Residents of Yalova (Turkey): Ibrahim Metan (46 years old),

Huseyn Yuksel (73 years old), Abdulah Koroglu (87 years old), Jevat Yilmam (71 years old), Hayrettin Dogan (72 years old), Sherep Demirbash (60 years old), Kadir Dursunbek (71 years old).

Residents of Kandira, Beylerbey (Turkey): Gulizar Kose

(82 years old), Mukaddes Ozkan (56 years old), Huseyn Bashoglu (52 years old), Mustapa Kose (59 years old).

Resident of Kvareli: Diana Kakashvili (32 years old).

Resident of Tbilisi: Levan Kochlamazashvili (31 years old).

TEŞEKKÜR

Özel teşekkürler Shota Rustaveli Gürcistan Ulusal Bilim Vakfı'na projeye maddi destek için, Araştırma Proje fikri sahibi, Danışmanı ve bu kitabın Editörü Vaja Şengelia'ya, Aynı projenin Teknik Asistanı Levan Vaşakidze'ye, Ivane Cavahişvili Tiflis Devlet Üniversitesi personeli, Özellikle Tinatin Keburia'ya; İpuçları ve gerekli literatürü paylaştıkları için Gürcü ve yabancı meslektaşlara: Rusdan Asatiyani'ye, Lena Borise'ye, Levan Kelauradze'ye, Zaal Kikvadze'ye, Ivane Lejava'ya, Maia Lomia'ya, Maria Polinski'ye, Stavros Skopetes'e çok teşekkürler. Özellikle minnettarlığımızı araştırmanın konuşmacılarına sunarız. Onlarsız bu projeyi tamamlayamazdık:

Çhorotsku sakinleri: Tsotne Siçinava (57 yaşında), Tea Şengelia (40 yaşında), Irina Gabeledava (18 yaşında), Goça Darsalia (47 yaşında), Nato Darsalia (16 yaşında), Tamar Tskvitaia (41 yaşında), İzo Şengelia (68 yaşında), Sopiko Tskvitaia (44 yaşında), Mziur Şengelia (67 yaşında), Soso Poniava (31 yaşında), Igor Poniava (67 yaşında), Luka Şengelia (7 yaşında), Nino Şengelia (13 yaşında), Mariam Hobelia (16 yaşında), Aleksandre Hobelia (16 yaşında), Natela Şengelia (64 yaşında), Vaja Pataraia (63 yaşında), Margo Gaharia (66 yaşında), Nikoloz Siçinava (9 yaşında).

Martvili sakinleri: Luka Gagua (11 yaşında), Nini Gagua (13 yaşında), Venera Gagua (80 yaşında), Tako Danelia (14 yaşında), Bagrat Gulordava (64 yaşında), Fatima Gegia (60 yaşında), Tsisana Danelia (52 yaşında), Beka Surmava (24 yaşında), Elza Haindrava (33 yaşında), Besik Haindrava (61 yaşında), Nani Sartania (75 yaşında), Zurab Arahamia (9 yaşında), Madona Gagua (50 yaşında), Salome Gegelia (12 yaşında).

Abaşa sakinleri: Vitali Çaçava (55 yaşında), Mate Şerozia (6 yaşında), Boris Kuprava (79 yaşında), Veriko Hurtsilava (28 yaşında), Zamira Çikobava (67 yaşında), Edita Çumburidze (42

yaşında), Veronika Çaçava (23 yaşında), Malhaz Koiava (57 yaşında), Maka Marğania (40 yaşında), Jana Todua (47 yaşında), Natia Kuprava (17 yaşında), Giorgi Kuprava (18 yaşında), Bejan Kuprava (47 yaşında), Anzor Nadareișvili (20 yaşında), Tiko Nadareișvili (7 yaşında).

Senaki sakinleri: Levan Haburzania (26 yaşında), Giorgi Jvania (18 yaşında), Demur Çikobava (68 yaşında), Roman Kvaşilava (58 yaşında), Tamar Baramia (23 yaşında), Mariam Darsalia (9 yaşında), Elene Şurğaia (12 yaşında), Ani Şubladze (10 yaşında), Nia Şubladze (7 yaşında), Davit Şubladze (63 yaşında), Culieti Odişaria (61 yaşında), Roin Cocua (60 yaşında), Leila Gvasalia (61 yaşında), Mediko Tabağıa (58 yaşında).

Hobi sakinleri: Pantiko Karçava (77 yaşında), Dodo Tsiteladze (79 yaşında), Omar Aleksandria (80 yaşında), Tariel Koncaria (56 yaşında), Rusudan İosava (37 yaşında), Nino Çokoraia (43 yaşında), Rusudan Alania (50 yaşında).

Poti sakinleri: Eter Siçinava-Abşilava (82 yaşında), Hviça Beria (50 yaşında), Meri Dumbadze (83 yaşında), Zurab Bubuteișvili (50 yaşında), Mzia Cinoria (55 yaşında), Darecan Jvania (47 yaşında), Baçuki Şelia (56 yaşında), Tamaz Kakulia (69 yaşında), Gogola Gedenidze (75 yaşında), Neli Mikeladze (55 yaşında), Şalva Çikovani (63 yaşında), Lali Karçava (52 yaşında), Lamzira Karçava (46 yaşında).

Gali sakinleri: Ana Hurtsilava (32 yaşında), Guram Hurtsilava (82 yaşında), Mimoza Hunçgurua (87 yaşında), İrma Kvaşilava (48 yaşında), Monika Kobalia (82 yaşında), Eka Tskvitaria (54 yaşında).

Zugdidi sakinleri: İgor Razmadze (77 yaşında), Davit Mikava (20 yaşında), Natela Hargelia (71 yaşında), Lela Oksusoğlu (62 yaşında), Andria Sartania (13 yaşında), Anano Sartania (10 yaşında), Giga Kavtaradze (34 yaşında), Darecan Mosia (65 yaşında), Nodar

Kavtaradze (65 yaşında), Tengiz Getia (71 yaşında), Hatia Çapelicia (26 yaşında), Natia Molaşhia (24 yaşında).

Tsalenciha sakinleri: Levan Belkania (34 yaşında), Mate Colohava (8 yaşında), Megi Colohava (15 yaşında), Magda Colohava (12 yaşında), Gela Mania (61 yaşında), Ema Tsanava (42 yaşında), Gulnara Tolordava-Colohava (70 yaşında), İnga Dzidzaria (41 yaşında), Gulnaz Molaşhia (38 yaşında), İa Kvaratshelia (29 yaşında), Manana Zarkua (37 yaşında).

Kvariati sakinleri: İsmet Memişisi (67 yaşında), Elguca Memişisi (79 yaşında), Şota Memişisi (81 yaşında), Cumber Memişisi (55 yaşında), Zuriko Memişisi (23 yaşında).

Sarp sakinleri: Otar Bakradze (65 yaşında), Tornike Dolidze (25 yaşında), Monika Memişisi (25 yaşında), Ana Dolidze (19 yaşında), Tsiala Palavandışvişi (44 yaşında), Nodar Kakabadze (80 yaşında), Otar Gogitidze (79 yaşında), Tamila Dolidze (47 yaşında), Yason Dolidze (68 yaşında), Lizi Vanilişi (11 yaşında).

Borçka sakinleri (Türkiye): Zeki Pevtek (39 yaşında), Cihan Yılmaz (51 yaşında), Aydın Çakır (35 yaşında), İsmail İslam (54 yaşında), Nurettin Önder (57 yaşında), Emin Merttürk (57 yaşında), Esma Karamert (28 yaşında), Ayşe Karamert (90 yaşında), Reyhan Karamert (65 yaşında), Şaban Karamert (64 yaşında), Fadime Arslantürk (88 yaşında), Erkan Güven (41 yaşında).

Hopa sakinleri (Türkiye): Bayram Ali Özşahin (62 yaşında), Erdal Aytan (45 yaşında), Şebnem Demirci (40 yaşında), Murat Güven (46 yaşında), Hatice Karahasan (80 yaşında), Resul Sakınmaz (25 yaşında), Hüsnüye Aksu-Sakinmaz (82 yaşında), Gulnaz Yılmaz Seripoğlu (73 yaşında), Hilmi Koroğlu (39 yaşında).

Arkabi (Arhavi) sakinleri (Türkiye): Ayhan Öztürk (54 yaşında), Osman Yanuğası (30 yaşında), Refik Lakerta (65 yaşında), Tayfun Fitöz (18 yaşında), Barış Lakerta (39 yaşında), Merve Alçıçek (30 yaşında), Osman Alçıçek (72 yaşında), Gülfatma Tuna (47 yaşında), Sevgi Savaş (41 yaşında), Sevim Kambur (47 yaşında).

Vitse (Fındıklı) sakinleri (Türkiye): Evrim Çervatoğlu (32 yaşında), Nermin Çervatoğlu (60 yaşında), Yaşar Çervatoğlu (72 yaşında), Şükran Yıldız (51 yaşında), Süleyman Avşar Güner (72 yaşında), Fadime Çavuşoğlu (99 yaşında), Hasan Uzunhasanoğlu (47 yaşında).

Artachsen (Ardeşen) sakinleri (Türkiye): Mehmedali Barış beşli (50 yaşında), Teona beşli (13 yaşında), Mehmet Ataseven (17 yaşında), Rifat Şabanoğlu (30 yaşında), Ferhat Mola Mehmetoğlu (38 yaşında), Fatma Aksu (51 yaşında), Nuran Akdoğan (46 yaşında), Ramazan Kulaber (15 yaşında), Fatma Sarıtabak (78 yaşında), Avniye Akgenç (73 yaşında), Fadime Özgür Akgenç (41 yaşında), Hatice Bilgin (70 yaşında), Süriye Haciosmanoğlu (87 yaşında).

Vija (Çamlıhemşin) sakinleri (Türkiye): Hanife Çamkerten Maçça (45 yaşında), Ayşe Bılıphe Kosanoğlu (80 yaşında), Ramazan Kosanoğlu (40 yaşında), Sinan Serin (30 yaşında).

Atina (Pazar) Sakinleri: Rahmi Yaşar (62 years old), Hatice Yaşar (62 years old), Erol Kant (41 years old), Birol Topaloğlu (54 years old), Recep Pehlivanlar (60 years old), Nuri Bal (58 years old), Nazmiye Satan-Bal (88 years old), Sevgi Gunde-Yaşıyan (55 years old), Cumaali Yaşıyan (61 years old).

Akçakoca sakinleri (Türkiye): İbrahim Güçlü (85 yaşında), Sacide Güçlü (83 yaşında), Ayhan Güçlü (58 yaşında), Hatice Keskin (61 yaşında).

Karamürsel (Kocaeli ili) sakinleri (Türkiye): Şaban Yamak (63 yaşında), Osman Salman (56 yaşında).

Düzce sakinleri (Türkiye): Hacer Özcan (85 yaşında), Nurhan Albayrakoğlu (60 yaşında), Nedim Toraman (37 yaşında), Ayşegül Toraman (32 yaşında).

Bursa, Gemlik sakinleri (Türkiye): Osman İlhan (64 yaşında), Mustafa Alışkan (70 yaşında), Ahmet Alihan (69 yaşında),

Mehmet Özgün (67 yaşında), Hüseyin Okumuş (63 yaşında), Recep Pil (63 yaşında), Hüseyin Subaş (64 yaşında).

Sapanca sakinleri (Türkiye): Ahmet Nuri Güçlü (61 yaşında), Remzi Yıldız (59 yaşında), Cemil Mercan (63 yaşında), Mevlüt Mercan (63 yaşında), Akgül Mercan (60 yaşında), İlhan Demir (62 yaşında), Atila Mercan (41 yaşında), İhsan Engin (24 yaşında).

İzmit sakinleri (Kocaeli, Türkiye): Nezihat Mut (55 yaşında), Şaban Mut (73 yaşında), Hacer Mut (51 yaşında).

Yalova sakinleri (Türkiye): İbrahim Metan (46 yaşında), Hüseyin Yüksel (73 yaşında), Abdullah Köroğlu (87 yaşında), Cevat Yılmam (71 yaşında), Hayrettin Doğan (72 yaşında), Şerip Demirbaş (60 yaşında), Kadir Dursunbek (71 yaşında).

Kandıra, Beylerbey sakinleri (Türkiye): GÜlizar Köse (82 yaşında), Mükaddes Özkan (56 yaşında), Hüseyin Başoğlu (52 yaşında), Mustafa Köse (59 yaşında).

Kvareli sakini: Diana Kakaşvili (32 yaşında).

Tiflis sakini: Levan Koçlamazaşvili (31 yaşında).

შესავალი

ინტონაციის ცნება და კომპონენტები

ინტონაცია ლათინური წარმომავლობის ტერმინია (ლათ. intonāre) და ხმამაღლა წარმოთქმას ნიშნავს. ინტონაციის ცნება სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზოგიერთი მკვლევარი ინტონაციას აიგივებს გამონათქვამში ტონის მოძრაობასთან, მის აწევ-დაწევასთან (ახვლედიანი 1949, Панов 1979, Armstrong, Ward 1926, Sweet 1929, Pike Kennet 1947, Bolinger 1955, Yones 1957, Melmberg 1963, Pry 1968, Crystal 1970).

ფრანგი ენათმეცნიერი ჟ. მარუზო „ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში“ ინტონაციის სინონიმურ ტერმინად ხმარობს **მეტყველების მელოდიას**. მისი განმარტებით, „მეტყველებაში ბეჭერის სიმაღლის ცვალებადობა ქმნის იმას, რომელსაც ზოგადად ეწოდება ინტონაცია... მისი რამდენიმე სახეობა გამოიყოფა: ნორმალური ინტონაცია, გამომსახველობითი, ემოციური, ანუ აფექტური, ლოგიკური, ანუ აზრობრივი“ (Марузо 1960: 124).

ინტონაციას უწოდებენ გამონათქვამის ფონეტიკურ გაფორმებასაც პაუზიდან პაუზამდე (Зиндер 1979: 267) ან მას განიხილავენ სუპერსეგმენტურ ფონოლოგიურ მოვლენად, რომელიც ზემოდან ეფინება მთლიანად გამონათქვამს, სულ ერთია, ეს წინადადება იქნება თუ მისი რომელიმე ნაწილი (Реформатский 1975: 72).

ვლ. დალი ინტონაციას უწოდებს ხმით გადმოცემულ განსაკუთრებით ძლიერ მახვილს (Даль 1989: 47), თუმცა მახვილი ინტონაციის ერთ-ერთი კომპონენტია და სათანადო ცნებას არ უდრის.

ი. ტორსუევას განმარტებით, ინტონაცია მეტყველების ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტების (მელოდიკა, ინტენსივობა, სიგრძე, მეტყველების ტემპი და წარმოთქმის ტემ-

ბრი) ერთობაა, რომელშიც ზოგი ავტორი მახვილთან ერთად პაუზასაც მოიაზრებს (Леc 1990: 197).

ნ. კიზირიას მიხედვით, ინტონაციას ქმნის სამეტყველო ნაკადში ძირითადად ხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან სიგრძის, სიძლიერისა და ტონის სიმაღლის მიხედვით. ინტონაციას ქმნიან აგრეთვე სამეტყველო ნაკადის დროდადრო შეწყვეტა (პაუზა) და ტემპრის სათანადო ცვლილებებიც. აქედან გამომდინარე, ინტონაციის კომპონენტებია მელოდიკა, გრძივობა, ინტენსივობა, პაუზა და ტემპრი (კიზირია 1987: 7).

პაუზა გამოიყენება როგორც ერთი სინტაქსური ერთეულის მეორისაგან გამოსაყოფად, ისე მათ შორის კავშირის ხასიათის გამოსახატავადაც; პაუზა შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ემციური ელფერის აღსანიშნავადაც (Зиндер 1960: 289).

ინტონაციის კომპონენტად რიტმისაც განიხილავენ (Алхазишвили 1959: 387, ულენტი 1963: 77, Реформатский 1967: 187–188; Антипова 1979: 5). **რიტმი** ენათმეცნიერებაში აღნიშნავს მეტყველების ბერითი სინტაქსური და ლექსიკური შედგენილობის მოწესრიგებულობას, რაც აზრით არის განპირობებული (Жеребилю 2010: 308);

მინიმალური პროსოფიული ერთეული ენათა ერთ ნაწილში მარცვალია, მეორეში – მორა; ამის შესაბამისად, ენები შეიძლება დავყოთ მარცვალმთვლელ და მორამთვლელ ენებად. **პროსოფემად** მიიჩნევა მოცემული ენის მინიმალური პროსოფიული ერთეული – მარცვალმთვლელ და მორამთვლელ ენებში (Трубецкой 1960: 322).

ზოგიერთი ბერითი სეგმენტი მეტყველების პროცესში გამოიკვეთება მეტად გამოჩინების მიზნით, რაც გამოიხატება ამ ელემენტის გაძლიერებულ ან უფრო ხმამაღალ წარმოთქმაში. ბერითი ელემენტების სიძლიერე-სიმაღლით გამოყოფას **მახვილი** (ლათ. *accentus*) ეწოდება. სიძლიერით გამოჩინებისას გვაქვს **ძლიერი** ანუ **დინამიკური** (ინტენსიური, ექსპირატორული) მახვილი (ინგლ. stress), სიმაღლით გამოჩინებისას კი **მუსიკალური** ანუ **ტონური** მახვილი (ინგლ. pitch) (გამყრელიძე, კიკ-

ნაძე, შადური, შენგელაია 2008: 89).

მარცვლის მახვილი შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა აკუსტიკური მახასიათებლით, როგორიცაა: ხანგრძლივობა, მაღალი ფუნდამენტური სიხშირე (F0) ან ინტენსივობა (სიმაღლე) (Gordon 2011).

ზოგ ენაში მახვილი ფონოლოგიური ლირებულების მატარებელიცაა. გამოიყოფა მთავარი და მეორეხარისხოვანი, ფიქ-სირებული და თავისუფალი მახვილი (Матусевич 1959: 96-97).

სინტაგმის ყველაზე ძლიერ მახვილს ეწოდება სინტაგმა-ტური მახვილი. ლოგიკური მახვილით წინადადებაში გამოიყოფა სიტყვა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია აზრობრივი თვალსაზრისით და რომელზედაც უნდა იქნეს გადატანილი მთელი ყურადღება (Матусевич 1959: 97-98).

ლოგიკურმა მახვილმა შეიძლება გამოხატოს აზრის სხვა-დასხვაგვარი ელფერი, ხოლო სიტყვის აზრობრივი მხარე გარ-თულებული იყოს სხვადასხვა ემოციური ელფერით (სიხარული, ალტფოთება, ირონია, სიძულვილი...). გამოხათქვამის აზრობრი-ვი, ლოგიკური და ემოციური ელფერი მჭიდროდ არის დაკავში-რებული ერთმანეთთან; ასევე, მჭიდროდ უკავშირდებიან ერ-თმანეთს მათ გადმოსაცემად გამოყენებული სხვადასხვა ფონე-ტიკური საშუალებები (Зиндер 1960: 292). უმჭიდროესი კავში-რი, რომელიც არსებობს ინტონაციასა და წინადადების შინა-არსს შორის, ინტონაციას კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად აქცევს (Зиндер 1960: 293).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლოგიკური მახვილის მნიშვნელობით გამოიყენება პიკიც, რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა მიზეზით (ხაზგასმა, ადგილი გამოთქმა-ში....) წინადადებაში შეიძლება ორი პიკიც არსებობდეს (Ladd 2008: 68) ან მთავარი მახვილი (nuclear pitch accent).

ზინდერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ცალკე აღებულ სიტყვას ყოველთვის აქვს მახვილი, მაგრამ სინტაქსურ შეხამებებში მან შეიძლება მახვილი დაკარგოს (Зиндер 1960: 290).

ინტონაციის ფუნქციები

ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, ინტონაცია წარმოადგენს პროსოდიულ ელემენტთა რთულ კომპლექსს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სინტაქსური მნიშვნელობებისა და კატეგორიების, აგრეთვე ექსპრესიული და ემოციური კონტაციების გამოსახატავად (Ахманова 1969: 180–181; Розенталь, Таленкова 1976: 267).

ზინდერის აზრით, მელოდიკა არა მხოლოდ და არა იმდენად მეტყველების ნაკადის დანაწევრებისათვის გამოიყენება, რამდენადაც მისი ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან დასაკავშირებლად... მელოდიკა ამავე დროს განარჩევს წინადადების სხვადასხვა სახეებს – თხრობითია, კითხვითი თუ მტკიცებითი. მელოდიკას (განსაკუთრებით ტემპრს) აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მეტყველების ყველა შესაძლებელი ემოციური ელფერის გადმოსაცემად (Зиндер 1960: 287).

„ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ი. ტორსუევას მიერ ინტონაციის ფუნქციებად გამოყოფილია: გამონათქვამის კომუნიკაციური ტიპების (წაქეზება [შეგულიანება], შეძახილი, თხრობა, იმპლიკაცია) გარჩევა; გამონათქვამის ნაწილების განსხვავება; გამონათქვამის, როგორც ერთიანი მთლიანის, გაფორმება და, ამავდროულად, მისი დაყოფა რიტმულ ჯგუფებად და სინტაგმებად. ინტონაცია ახასიათებს მოლაპარაკეს და ურთიერთობისას არსებულ სიტუაციას (Лс 1990: 197-198).

გერმანულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში („მაიერის ახალი ლექსიკონი“) თავდაპირველად წარმოდგენილია მსჯელობა ინტონაციის გამოყენებაზე, კერძოდ – მეტყველების დიფერენციაციისათვის. ჩვეულებრივ განარჩევენ წინადადების ინტონაციას და ფონოლოგიურ ინტონაციას. წინადადების ინტონაცია გამოიყენება: ა) გამონათქვამის დახასიათებისათვის (შეკითხვა,

მტკიცება, ბრძანება), ბ) ლოგიკურად მნიშვნელოვანი წინადა-დების წევრის გამოსაყოფად, გ) მეტყველების ემოციური წარ-მოჩენისათვის (მოფერება, მუქარა, შეგულიანება და ა. შ.). **ფო-ნოლოგიური ინტონაცია** ახდენს მარცვლებისა და სიტყვების მნიშვნელობის დიფერენციაციას ე. წ. წმინდა ტონურ ენებში, როგორიცაა, მაგალითად, კლასიკური ჩინური (Meyers 1962: 411).

ფონოლოგის ფუძემდებელი **ნ. ტრუბეცკო** განიხილავს ფრაზის ინტონაციას და აღნიშნავს: „რადგან ევროპულ ენათა მეტ წილს არ აქვს ინტონაციის მიხედვით სიტყვათგანმასხვა-ვებლობითი დაპირისპირება, ინტონაცია ამ ენებში წარმოად-გენს ფრაზათგანმასხვავებელ საშუალებას. ამ მიზნით, რო-გორც წესი, გამოიყენება ტონის აღმავალი და დამავალი მოძრა-ობა. ამასთან, ტონის აღმავალი მოძრაობა უფრო ხშირად ასრუ-ლებს „გამაფრთხილებელ“ ფუნქციას, მიანიშნებს იმაზე, რომ წინადადება ჯერ არ დასრულებულა, ტონის დამავალ მოძრაო-ბას კი ახასიათებს „დამასრულებელი“ ფუნქცია. ჩვეულებრივ ტონის როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის მოძრაობა რეალიზდე-ბა პაუზის წინ უკანასკნელ სიტყვაზე, რადგან მხოლოდ აქ არის აუცილებლობა გამოიხატოს, წინადადება მთავრდება თუ არა“ (Трубецкой 1960: 248-249).

„გამაფრთხილებელი“ და „დამასრულებელი“ ფრაზული ინტონაციის გარდა, ნ. ტრუბეცკო მსჯელობს **ჩამოთვლითი** ინ-ტონაციის შესახებ, რომელიც განსხვავდება ინტონაციის პირ-ველი ორი ტიპისაგან და ასრულებს აზრის განმასხვავებლობით ფუნქციებს. აზრის **განმასხვავებლობითი** დაპირისპირება ჩამო-თვლითი და გამაფრთხილებელი ინტონაციებისა განსაკუთრე-ბით თვალში საცემია ისეთ ენებში, როგორიცაა რუსული, რო-მელშიც ე. წ. „სახელური წინადადება“ წარმოადგენს აბსოლუ-ტურ ნორმალურ სინტაქსურ წარმოებას (შდრ. ერთი მხრივ, ადამიანები, მხეცები, ფრინველები, მეორე მხრივ, რუს. ლიდე - ვერხ) (Трубецкой 1960: 249).

ნ. ტრუბეცკოის თვალსაზრისის შესაბამისად, ფრაზული პაუზები, როგორც წესი, წარმოადგენს ცალკეულ წინადადებათა ან მათი მონაკვეთების გამიჯვნის საშუალებას და ასრულებს, უპირატესად, დელიმიტაციურ ფუნქციას, მაგრამ ზოგჯერ „პაუზის არსებობა – მისი არსებობა“ აზრსაც განასხვავებს, მაგ., რუსი/სომები და ქართველი, ერთი მხრივ, რუსი სომები და ქართველი, მეორე მხრივ (ტრუბეცკო 1960: 254).

6. სვეტოზაროვა ინტონაციის ფუნქციად მიიჩნევს მეტყველების ნაკადის ორგანიზაციასა და დაყოფას, დაყოფის ერთეულთა პარადიგმატულ დაპირისპირებასა და კავშირს, ინტონაციურ ერთეულთა შორის კავშირის წარმოჩენას, ემოციურ მნიშვნელობათა და ელფერთა გამოხატვას; ამ უკანასკნელ ფუნქციაში მიზანშეწონილია გამოიყოს ორი სხვადასხვა სფერო, რომელთა შორის კავშირი და გამიჯვნა შეიძლება მკაცრად განისაზღვროს: პირველია ემოციური მნიშვნელობები (ეჭვი, კატეგორიულობა, წუხილი, გამოწვევა, საყვედური და ა. შ.), მეორე – გამონათქვამის ზოგადი ემოციური ელფერი (დარდი, მღელვარება, აღტაცება...). ინტონაციის ერთეულთა კლასიფიკაცია უნდა დაემყაროს ინტონაციის მრავალფეროვან ფუნქციას და ასახოს ინტონაციური სისტემის იერარქიული ხასიათი (Светозарова 1979: 252-254).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მელოდიკისა არის სინტაქსური ფუნქცია – გამოხატვა მტკიცებისა, კითხვისა, ძახილისა და ა. შ. მისი სინტაქსური ფუნქციაა, აგრეთვე, სინტაგმის გამოყოფა... მელოდიკაზეა დამოკიდებული, ასევე, მეტყველების ემოციური შეფერილობა – მრისხანება, სიძულვილი, ირონია, სიხარული და ა. შ. (Матусевич 1959: 102).

მეგრულ-ლაზური ენის გავრცელების არეალი და კვლევის მეთოდოლოგია

მეგრულ-ლაზური (კოლხური / ზანური) ენა ისტორიულად გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, კერძოდ, გავრცელებული იყო შავიზღვისპირეთში სინოპ-სამსუნ-ტრაპიზონიდან მდინარე ფსოუს ჩათვლით, ასევე, თანამედროვე აჭარა-გურია-იმერეთის ტერიტორიაზეც, რასაც ამტკიცებს ტოპონიმია და დღეს აქ გავრცელებულ ქართული ენის დიალექტებში შემორჩენილი მეგრულ-ლაზური ლექსიკა.

დროთა განმავლობაში კოლხური ენის გავრცელების არეალი დავიწროვდა, კერძოდ, დღეს მეგრულად მეტყველი მოსახლეობა კომპაქტურად მკვიდრობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში (აბაშა, მარტვილი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, წალენჯიხა, ფოთი), აგრეთვე, ისტორიულ სამურზაყანოში (გალი, ნანილობრივ ოჩამჩირე და ტყვარჩელი), თბილისა და საქართველოს სხვა ქალაქებში. რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამდე მეგრული გავრცელებული იყო გულრიფშსა და სოხუმშიც, მეგრელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არის ემიგრაციაში; ლაზურად მეტყველნი კი მკვიდრობენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა (გამოღმა სარფი, ნანილობრივ კვარიათი) და თურქეთში (ართვინის პროვინცია – ხოფა, ბორჩა, არქაბი; რიზეს პროვინცია – ფინდიკლი (ვიწე), არტაშენი, ჩამლიჰემშინი (ვიუა), ფაზარი (ათინა). ლაზურად მეტყველი ლაზები ცხოვრობენ ისტორიული ლაზეთის მიღმაც, თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში (იალოვა, ბურსა, კოჯაელი, საქარია, დუზჯე, აქჩაქოჯა...), სადაც მათი წინაპრები გადავიდნენ 1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შედეგად, მიგრაცია 1921-1939 წლებშიც გრძელდებოდა. ბევრი ლაზი ემიგრაციაშია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიაში.

ი ყიფშიძემ მეგრული დაყო ზუგდიდურ-სამურზაყანოულ

და სენაკურ-მარტვილურ კილოკავად (Кипшидзе 1914: XVIII) და ეს აზრი იყო გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში. ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით კი მეგრულში გამოიყოფა სამი კილოკავი: ზუგდიდურ-ჯვარული, სამურზაყანოული და სენაკურ-მარტვილური (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 8). ამავე ავტორების აზრით, სენაკურ-მარტვილური კი-ლოკავი მოიცავს აბაშა-სენაკის, ფოთის, ხობის, მარტვილისა და ჩხოროწყუს მეტყველებას. აქ დასახელებული ავტორები ცალკე თქმებად გამოყოფენ ბანძა-მარტვილისა და ჩხოროწყუს მეტყველებას, ზუგდიდურ-ჯვარული გულისხმობს ზუგდიდისა და ნალენჯიხის მეგრულს, ხოლო სამურზაყანოული – სამურზაყანოს მეტყველებას. ავტორები იქვე აღნიშნავენ, რომ ჩხოროწყუს მეგრული მეტწილად მიჰყვება ზუგდიდურ-ჯვარულს. ეს მართლაც ასეა და ჩვენ მიგვაჩინა, რომ ჩხოროწყუს მეტყველება ცალკე თქმად სწორედ ზუგდიდურ-ჯვარულის ფარგლებში უნდა გამოიყოს და არა მარტვილურ-სენაკურში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზური იყოფოდა სამ კილოკავად: ხოფური, ვინურ-არქაბული და ათინური. ბოლო კვლევებში ცალკე გამოიყო ვინური (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 7), ხოლო უცხოენოვან კვლევებში დამოუკიდებელ დიალექტებად მიიჩნევა ჩხალური, არტაშენური და ჩამლიპემშინურიც (ვიუურიც) (Kojima, Avcı Bucaklısı 2003). თუმცა ო. ქუიუმჯუს აზრით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოში გავრცელებულ სარფულ მეტყველებას, ლაზურში ორი მთავარი დიალექტი გამოიყოფა: დასავლურლაზური (ვიუური, ათინური, არტაშენური) და აღმოსავლურლაზური (ვინური, არქაბული, ხოფური). ის დასავლურლაზურის კილოკავებად მოიაზრებს ვიუურს, ათინურს და არტაშენურს, ხოლო აღმოსავლურლაზურში გულისხმობს ვინურს, არქაბულსა და ხოფურს. ამასთან, ხაზს უსვამს, რომ თითოეულ მათგანში გამოიყოფა თქმები, მაგ. ფურტონას ხეობის თქმა (Kuyumcu 2013:

5, 151). მონოგრაფიაში „ათინური ლაზური“ ათინის მეტყველება ცალკე დიალექტად განიხილება, მაგრამ სხვა ერთეულებზე მსჯელობა არ არის (Öztürk & Pöchtrager).

ჩვენი კვლევა ექსპერიმენტულია. ის დაეყრდნო სპეციალურად შემუშავებულ კითხვარს, რომელიც მოიცავს მეგრულ-ლაზურ და ქართულ სიტყვებს მარცვლიანობის, ხოლო წინადაღებებს – შინაარსისა და აგებულების მიხედვით შერჩეულს. პარალელურად ჩავწერეთ სპონტანური მეტყველების ნიმუშებიც. მასალა ჩაწერილია დიქტოფონით.

პროექტის გეგმა-გრაფიკით დაგეგმილი იყო ოთხი საველე მუშაობა, ორი სამეგრელოში და ორი ისტორიულ ლაზეთში (როგორც საქართველოს, ისე თურქეთის რესპუბლიკაში). მუშაობის პროცესმა გვიჩვენა, რომ საინტერესო იქნებოდა იმ მუპაჯირი ლაზების შთამომავლების მეტყველების ჩაწერა, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთის შიდა პროვინციებში: იალოვა, ბურსა, კოჯაელი, საქარია, დუზჯე, აქჩაქოჯა... ამიტომ ფონდს მივმართეთ თხოვნით და ჩავატარეთ დამატებითი ექსპედიციაც საკვლევი ენობრივი მასალის მოსაპოვებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველოდან მეცნიერთა ჯგუფი იმ პროვინციებში პირველად ჩავიდა საველე სამუშაოს ჩასატარებლად (გამონაკლისია დუზჯე, სადაც ჩვენამდე იმყოფებოდა ნატო ახალაია).

ჯამში გამოგვივიდა ხუთი ექსპედიცია – ორი მეგრული მეტყველების ინტონაციის შესასწავლად, სამი კი – ლაზური მეტყველებისა. პირველი – სამეგრელოში 2017 წლის 3 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით, მეორე – ისტორიულ ლაზეთში 2018 წლის 3 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით, კერძოდ, 3-დან 12 თებერვლის ჩათვლით რიზესა და ართვინის პროვინციებში (თურქეთის რესპუბლიკა), ხოლო 13 თებერვლიდან 16 თებერვლის ჩათვლით ხელვაჩაურის რ-ნის სოფელ სარფში (საქართველო), მესამე – ისევ სამეგრელოში 2018 წლის 17 აგვის-

ტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით, მეოთხე – ისევ ისტორიულ ლაზეთში 2019 წლის 16 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით, კერძოდ, 16-დან 26 თებერვლის ჩათვლით რიზესა და ართვინის პროვინციებში (თურქეთის რესპუბლიკა), ხოლო 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით ხელვაჩაურის რ-ნის სოფელ სარფსა და ქალაქ ბათუმის დასახლება კვარიათში (საქართველო), მეუთე დამატებითი ექსპედიცია ჩატარდა მუჰაჯირი ლაზების (1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შედეგად იალოვაში, ბურსაში, კოჯაელში, კარამურსელში, საპანჯაში, აქჩაქოჯაში, დუზჯეში გადასულ) შთამომავლებთან 2019 წლის 15 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით.

ექსპედიციების ფარგლებში მოვახერხეთ შემდეგი დასახლებული პუნქტების მკვიდრთა ჩაწერა:

სამეგრელო: ჭოლა, ნაფიჩხოვო, ნაკიანი, თაია, ლესიჭინე (ჩხოროწყუ); მიქავა, ჯვალი, ჯვარი (წალენჯიხა); ჯიხაშკარი, ინგირი, ორული, ყულიშკარი, დარჩელი, ანაკლია (ზუგდიდი); ლეხაინდრაო, მუხურჩა (ორქა), ბანძა, ჭყონი, გოჭკადილი, ნაგვაზაო (მარტვილი); ქ. აბაშა, ძველი აბაშა (ჯვეშ აბაშა), ონტოფო, სერგიეთი, კვათანა, ზანათი (აბაშა); ქ. სენაკი, ზანა, ნოსირი, ეკი (სენაკი); ქვალონი, პატარა ფოთი (ჭიჭე ფუთი), ნოჯიხევი (ხობი); ქ. ფოთი, მალთაყვა, ნაბადა (ფოთი).

ისტორიული ლაზეთი (საქართველოს რესპუბლიკა): სარფი, კვარიათი; ისტორიული ლაზეთი (თურქეთის რესპუბლიკა): ქ. ხოფა, ტალიკოთი, აზლაღა, გალმა სარფი (ხოფა); ჩხალა, ბეღლევანი (ბორჩხა); ქ. არქაბი, ლომე, კორდელითი, პოტოჯური (არქაბი); მზულუ, აბუ, ჭანფეთი (ვინე); ქ. არტაშენი, დუთხე, ძღემი, არგვანი, ხარამიტი ავლა, სიფათი (არტაშენი); ლვანდი, მეკალესკირითი, მწანუ (ჩამლიპემშინი); არანაში, გურჯიქოი, ბოლაზჯი, ავრამითი, აფსო (ათინა).

მუჰაჯირი ლაზების სოფლები: საფრანი, ქურთქო (იალოვა); შუქრიე, ფევზიე (ბურსა-გემლიქი); ბეილერბეი (ქანდი-

რა); შევქათიე, სუადიე (კოჯაელი); ჩამჩუქური (ქარამურსელი); ბაბადაი, თეფებაში მაჰალე, შუქრიე, ჰაჯიმერჯანი (საპანჯა, საქარია); ოსმანიე, ქალაბალი (ფუზჯე), ედილლი (აქჩაქოჯა).

პროექტის ფარგლებში არ იყო დაგეგმილი აფხაზეთში გავრცელებული მეგრული მეტყველების ჩაწერა, რადგან წინასწარვე ვიცოდით, რომ ენგურს გადაღმა გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა მაინც მოგახერხეთ ენგურს გამოღმა მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მეგრულის ჩაწერაც.

ჩვენს მონოგრაფიაში ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველადაა ასახული მუჟავირი ლაზების შთამომავლებთან ჩატარებული კვლევის შედეგები. მუჟავირი ლაზების მეტყველება ძირითადად ჩხალურია, თუმცა აქა-იქ ცხოვრობენ სხვა კილოებზე მეტყველნიც: აქჩაქოჯაში – მაკრიალიდან წასული მუჟავირების შთამომავლები, კარამურსელში არქაბულად მოლაპარაკენი, მათი ლაზური არ სხვაობს დღეს ხოფა-ჩხალასა და არქაბეში მცხოვრები ლაზების მეტყველებისაგან, ანუ ისინი წინაპართა კილოებზე მეტყველებენ. განსაკუთრებით საინტერესო იყო იალვაში მცხოვრები ბეღლევნიდან წასული ლაზების შთამომავლების ჩაწერა, რადგან მათი ლაზური სხვაობს ჩხალურისაგან და ენობრივად უფრო ახლოსაა ხოფურთან. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დღეს ბეღლევანში მხოლოდ არტაშენიდან გადმოსული ლაზები მკვიდრობენ და არტაშენურად მეტყველებენ, ანუ ადგილზე ბეღლევნისთვის დამახასიათებელი ლაზური მეტყველება გაქრა.

ყველა დასახელებული კილოს წარმომადგენელი ჩაწერილია სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური წრის მიხედვით, თუმცა ალსანიშნავია ის სირთულე, რაც უკავშირდებოდა მოზარდი თაობის მეტყველების ჩაწერას, რადგან ახალგაზრდები არ ან ვერ მეტყველებენ მეგრულ-ლაზურად. სამეგრელოშიც და გამოღმა სარფშიც ჭირს მეგრულისა (მით უფრო აპაშასა და ფოთში) და ლაზურის თავისუფლად მციდნე ბავშვების მოძებნა, თურქეთში კი ძალიან ძნელია ლაზურად მოლაპარაკე ბავ-

შვების ნახვა, თუმცა რამდენიმეს ჩაწერა ჩვენ მაინც მოვახერხეთ არტაშენის სოფლებში.

სამეგრელოში, ასევე, გამოლმა სარფსა და კვარიათში ჩავწერეთ ქართულენოვანი კითხვარებიც, მეგრელთა და ლაზთა ქართული მეტყველების ინტონაციის შესწავლის მიზნით. თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმა ქართული არ იციან და იქ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ყურადღება გავამახვილეთ როგორც სპონტანურ, ისე არასპონტანურ მეტყველებაზე.

თურქეთში მცხოვრებ ლაზებთან საველე მუშაობისთვის გათვალისწინებული იყო შემდეგი გარემოება: როგორც აღვნიშნეთ, მათ არ იციან ქართული ენა და არც ქართულ ანბანი, ამიტომ მათთან სამუშაო კითხვარი შევადგინეთ ლათინურ გრაფიკაზე დაყრდნობით შედგენილი ანბანითაც, რომელსაც ისინი ლაზურისთვის იყენებენ. ამასთან, ლაზური მეტყველება მეგრულზე უფრო დიფერენცირებულია, ამიტომ დაგვჭირდა კილოკავების მიხედვით კითხვარების შედგენა.

ჩვენ მიერ საველე ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალა გავაანალიზეთ პროგრამა Praat-ის მეშვეობით, რომელიც აპრობირებულია მსგავსი კვლევების ჩასატარებლად მთელს მსოფლიოში. თითოეულ საანალიზო ფორმას ახლავს სურათები (pitch track), რომელთაც აქვთ ორი რიგი: ერთი ქართული ანბანით ჩაწერილი მეგრულ-ლაზური ფორმისთვის და მეორე მისი საერთაშორისო ტრანსლიტერაციისთვის, წინადადებების შემთხვევაში პირველ რიგში აღნიშნულია ტონები (H, L, H*, L*...). ყოველ სურათზე წარმოდგენილ საანალიზო ერთეულს ახლავს გლოსები. მონოგრაფიაში სიტყვა-ფორმათა გლოსირება ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, ქრისტიან ლემანის ნაშრომებსა (Lehmann 1982: 2004) და ლაიფციგის გლოსირების წესებს (LGR, 2008); გამოყენებულია, აგრეთვე, ქართველი ავტორების ნაშრომებში ჩამოყალიბებული გლოსირების პრინციპები და მოცემული აბრევიატურის სია (ლომია, გერსამია 2012; მარგიანი, ქურდაძე, ლომია 2019).

თავი I მეგრული ინტონაციის საკითხები

1.1. სიტყვათმახვილი მეგრულში

მეგრულში მახვილის საკითხებს იკვლევდა არაერთი მეცნიერი, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი მეგრული მახვილის ადგილისა და ბუნების შესახებ.

პირველად მეგრული მახვილის საკითხს ტ. კლუგე შეეხო და დაასკვნა, რომ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი პირველ მარცვალზეა, ხოლო მრავალმარცვლიან სიტყვებში – ბოლოდან მეორე მარცვალზე (Kluge 1916: 3). ეს უკანასკნელი აზრი არ იქნა გაზიარებული.

მეგრული სიტყვათმახვილის პირველი საფუძვლიანი ანალიზი ეკუთვნის ი. ყიფშიძეს. მისი დაკვირვებით:

1. მეგრულ ორმარცვლიან სიტყვებში, ქართულის მსგავსად, მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის, ხოლო სამ- და მეტმარცვლიანებში – ბოლოდან მესამეზე.
2. მახვილი ორია: მთავარი და მეორებარისხოვანი. მთავარი მახვილი სიტყვის დასაწყისშია, მეორებარისხოვანი კი – ოთხმარცვლიანში ბოლოდან მეორეზეა, ხუთიანში – ბოლოდან მესამეზე: რსურეფი, ჯამალეფი, ჭკარეფი, ჭკარეფი, ჭკარეფი.
3. მახვილი მეგრულში უფრო მოძრავია, ვიდრე ქართულში.
4. წინსართები სიტყვებში მთავარმახვილიანია: ჭრი „ნერე“, დრჭარი „დაწერე“, ვა-ჭარა „არ დაწერო“.
5. ბოლონანილაკიან სიტყვებში მახვილი სიტყვის ბოლოში გადადის: უღუდას „ჰეონდეს“ – უღუდას „რომ ჰეონდეს“.

6. მახვილი ძახილის ნაწილაკზეც გადადის: ბაბა „მამა“ – ო ბაბა „ვო მამა“. ბოლო სიტყვა ამ შემთხვევაში თითქმის შორდება ნაწილაკს.
7. რთულ სიტყვებში (კომპოზიტებში) მთავარი მახვილი პირველ სიტყვაზე მოდის: ზღვა-პიჯი „ზღვის პირი“. თუ ის მრავალმარცვლიანია, მას შეიძლება ჰქონდეს მეორეხარისხოვანი მახვილიც: პიშ-ქრსალი || პიშ-ქოსალი „პირსახოცი“ (კიპშიძე 1914: 013-014).

მეგრული მახვილის საკითხებს სწავლობდა გ. როგავაც. მისი მტკიცებით, ქართულსა და მეგრულში სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში გვაქვს ორი ტიპის მახვილი: დინამიკური ბოლოდან მესამე მარცვალზე (ქათამი, ქრთომი) და ტონური – მეორეზე (ქათამი, ქოთომი). ორივე ტიპის მახვილი სუსტია. ამ მახვილთაგან მთავარი უნდა იყოს ტონური მახვილი. ის სიტყვის დამარცვლისას აშკარად გამოიყოფა. არაქართველები სწორედ ამ მახვილს აღიქვამენ (როგავა 1956: 13). მისივე აზრით, მეგრულში ტონური მახვილის დომინანტობა უფრო თვალსაჩინოა, როცა სიტყვის ბოლოს ხდება ტონურმახვილიანი და უმახვილო ხმოვნების შერწყმა. მაგ., გვარებში: ცანა < ცანაა < ცანვა. მათ უჩვეულო ადგილი უკავიათ (ბოლოდან პირველი მარცვალი) (როგავა 1956: 13). ჩვენი ექსპერიმენტით გამოვლინდა, რომ ცანა ფორმაში მახვილი პირველ მარცვალზეა, ტონი კი ბოლო მარცვალზე მაღლდება, ანუ ბოლო ა ხმოვანზე.

ტ. გუდავას დაკვირვებით, მეგრულში თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა (დოჭრუნს „დაწერს“, ჯიმპლენქ „ძმებმა“), თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი მუდამ მესამე მარცვალზე აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ სიტყვებს მუდამ შეიძლება ხმოვანი დაერთოს: დოჭრუნს / დოჭრუნსი „დაწერს“, ჯიმპლენქ / ჯიმპლენქი „ძმებმა“. მახვილი დასმული

ჩანს ხმოვანდართული ვარიანტის მიხედვით. ხმოვნით დაბოლოებულებში – ბოლოდან მესამეზეა (ჯიმბლეფი „ძმები“), მაგრამ თუ ბოლო ხმოვანი გრძელია, ანუ ორმაგი, მაშინ ამ შემთხვევაშიც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე იქნება: დოლურუუ > დოლურუ > დოლურუ. მისი დასკვნით, როცა სენაკურ მეტყველებაში გრძელი ხმოვანი მოკლედ გამოითქმის (რაც კილოკაურად ხშირია), მახვილი ფონოლოგიურ ფუნქციას იძენს: ქვემები „მიეცი“ - ქემები „მიამბე“, დროურუ „მოკვდა“ - დოლურუ „მოკვდება“ (გუდავა 1969: 111).

მეგრული მახვილის საკითხს შეეხო ჭ. ქირია და ისიც მიუთითებდა მეგრულ სიტყვებში „ორი მახვილის“ (ე.ი. მთავარი მახვილისა და თანამახვილის) არსებობაზე (ქირია 1991: 34).

მონოგრაფიაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ აღნიშნულია, რომ ეს წესი არ მუშაობს..., რადგან ამ წესის მიხედვით მახვილი ფიქსირებული, უძრავი გამოდის მეგრულში (ისევე, როგორც ქართულში), თუმცა, ამავე დროს, არ შეიძლება ეს „უძრავი“ მახვილი „დაუდეგარიც“ იყოს (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 463).

ჩვენს კვლევაში მახვილის საკითხის შესასწავლად გაანალიზებულია 18 მთქმელის მეტყველება (სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტიდან 2-2 რესპონდენტი), აქედან 10 მამრობითი სქესის, 8 – მდედრობითი სქესისა. მათი ასაკი 10-დან 80 წლამდეა.

ჩავიწერეთ სიტყვები მარცვლიანობის (1-დან 7-მდე) მიხედვით, მაგალითად:

- 1 σ: და „და“, ჩე „თეთრი“;
- 2 σ: დიდა „დედა“, ცუჯი „ყური“;
- 3 σ: კიბირი „კბილი“, ჯოლორი „ძალლი“;

4 σ: მილახუნა (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / მიდახუნა (მარტვ.) „შიგ ჯდომა“, დიანთილი (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / დიანთირი (მარტვ.) „დედამთილი“;

5 σ: ქიგუბირაფუ „დაუმღერებია“, დიდაცონერი „დედი-ნაცვალი“;

6 σ: გინოკეთებული (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / გინოკეთე-ბული (მარტვ.) „გადაკეთებული“, გინოძირაფილი (ზუგდ., სა-მურზ., სენაკ.) / გინოძირაფილი (მარტვ.) „დაოჯახების მიზნით გაცნობილი“;

7 σ: გინოწიწინაფილი (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / გინოწი-წინაფილი (მარტვ.) „გადამწიფებული; გადავსებული“.

საანალიზო მასალაში ყველა მარცვალი არის CV ტიპისა, მაგრამ ოთხმარცვლიანებში ურევია VC სტრუქტურის მარცვა-ლიც. სიტყვაში მახვილის ადგილი განსაზღვრულია მარცვლის სანგრძლივობის მიხედვით.

ექსპერიმენტის შედეგები შეჯამებულია ქვემოთ მოცე-მულ ცხრილში.

ეთერ შენგელია მაია მემიშიში ნათია ფონიავა

**ცხრილი 1. მახვილის ადგილი მეგრულში მარცვალთა რა-
ოდენობის მიხედვით:**

რაო- დენობა	სტყვა	გახვი- ლიანი ძ	თანა- მაზი- ლის შემცენება	F0 და ინტენსივობა
1 σ	და			
	წე			
2 σ	დიდა	1-ლი		მაღალი F0 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
	ცუჯი	1-ლი		მაღალი F0 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
3 σ	კიბირი	1-ლი ან მე-2		მაღალი F0 1-ელ ან მე-2 ს-ზე (გალი); მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 ს-ზე
	ჯოლორი	1-ლი		მაღალი F0 1-ელ ან მე-2 ს-ზე (მარტვილი, ხობი); მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
4 σ	მილახუნა / მიდახუნა	მე-2		მაღალი F0 მე-2 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 ს-ზე
	ფიანთილი / ფიანთირი	მე-2		მაღალი F0 1-ელ (მარტვილი), მე-2 ან მე-3 ს-ზე (გალი, ზუგდიდი, აპაშა, ფოთი); მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 ს-ზე
5 σ	ქიუბირა- ფუ	მე-2	ბოლოს- წინა	მაღალი F0 მე-2 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-3 ს-ზე
	ფიდახონე- რი	მე-2	ბოლოს- წინა	მაღალი F0 მე-2, მე-3 ან 1-ელ ს-ზე (გალი); მაღალი ინტენსივობა 1-ელ (გალი) ან მე-2 ს-ზე
6 σ	გინოკეთე- ბული / გი- ნოკეთებული	მე-2	ბოლო- დან მესა- მე	მაღალი F0 ბოლოდან მე-3 (გალი) ან ბო- ლოდან მეორე ს-ზე; მაღალი ინტენსივობა ბოლოდან მე-2 (ზუგდიდი) ან ბოლოდან მე-3 ს-ზე
	გინოძირა- ფილი / გი- ნოძირაფილი	მე-2	ბოლო- დან მესა- მე	მაღალი F0 1-ელ ან ბოლოდან მე-2 ს-ზე (მარტვილი); მაღალი ინტენსივობა ბოლოდან მე-2 (ზუგდიდი) ან ბოლოდან მე-3 ს-ზე
7 σ	გინოწიწიფა- ლი / გინოწი- წინაფილი	მე-2	მეოთხე	მაღალი F0 ბოლოსწინა ან დასაწყისიდან მე-2 ს-ზე (მარტვილი); მაღალი ინტენსივობა ბოლოდან მე-3 ს-ზე

როგორც ცხრილიდან ჩანს, ექსპერიმენტის შედეგად გა-
მოვლინდა, რომ მეგრულში ორ- და სამმარცვლიან სიტყვებს
მახვილი მოუდით პირველ მარცვალზე, ანუ სამეცნიერო ლიტე-
რატურაში არსებული აზრი ექსპერიმენტით გამყარდა, თუმცა
ზოგ შემთხვევაში სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი აქვთ ბო-
ლოსნინა მარცვალზე; ოთხმარცვლიანებს მახვილი აქვთ ბო-
ლოდან მესამე მარცვალზე, თუმცა მათში ჩვენი ექსპერიმენ-
ტით არ დადასტურდა თანამახვილის არსებობა; ხუთმარცვლი-
ან სიტყვებს მთავარი მახვილი მოუდით თავიდან მეორე მარ-
ცვალზე, ხოლო თანამახვილი – ბოლოდან მეორეზე; ექს- და
შვიდმარცვლიან სიტყვებსაც მთავარი მახვილი აქვთ თავიდან
მეორე მარცვალზე, ოღონდ ექვსმარცვლიანებს თანამახვილი
აქვთ ბოლოდან მესამეზე, შვიდმარცვლიანებს – ბოლოდან მე-
ოთხეზე.

ცხრილში ინტენსივობასთან ერთად ნაჩვენებია, თუ რო-
მელ მარცვალზეა მაღალი F0 (ფუნდამენტური სიხშირე). ახლა
კი წარმოვადგენთ სურათებს, რომლებმიც ჩანს სხვადასხვა
მარცვლიანობის მქონე სიტყვების F0 კონტური.

ერთმარცვლიან სიტყვებში, მართალია, არ გვაქვს მარ-
ცვალთა დაპირისპირება, მაგრამ თვალსაჩიოებისთვის წარმო-
ვადგენთ ნიმუშსაც.


სურ. Fig. Şekil 1.1.1. სენაკი, ქალი / Senaki, woman / Senaki, kadın

da

sister-(NOM)

sister

kız kardeş



ორმარცვლიანებში მაღალი F0 ყოველთვის პირველ მარცვალზეა:


სურ. Fig. Şekil 1.1.2. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

dida

mother-(NOM)

mother

anne



სამმარცვლიან სიტყვებს მაღალი F0 აქვთ პირველ ან მეორე მარცვალზე:


სურ. Fig. Şekil 1.1.3. ხობი, კაცი / Khobi, man / Hobi, erkek

k'ibir-i

tooth-NOM

tooth

diş



ოთხმარცვლიან სიტყვებში მაღალი F0-ით ხასიათდება მეტწილად მეორე მარცვალი, იშვიათად – მესამე:


სურ. Fig. Şekil 1.1.4. ზუგდიდი, კაცი / Zugdidi, man / Zugdidi, erkek

milaxuna

sitting inside.INF-(NOM)

sitting inside

kapalı bir yerde oturmak



ოთხმარცვლიანთა მსგავსად, ხუთმარცვლიანებსაც მაღალი F0 აქვთ მეტწილად მეორე მარცვალზე, იშვიათად – მესამეზე:


სურ. Fig. Şekil 1.1.5. წალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man / Tsalenciha, erkek

dida‘oner-i

stepmother-NOM

stepmother

üvey anne



ექვსმარცვლიანებს მაღალი F0 ახასიათებთ პირველ მარცვალზე, არცთუ იშვიათად – ბოლოდან მეორეზე ან მესამეზეც:


სურ. Fig. Şekil 1.1.6. გალი, ქალი / Gali, woman / Gali, kadın

ginok'eteb-ul-i

altered-PTCP-NOM


altered

yeniden yapılmış



შვიდმარცვლიან სიტყვებს მაღალი F0 აქვთ ბოლოსნინა
ან მეორე მარცვალზე:

სურ. Fig. Şekil 1.1.7. მარტვილი, ქალი / Martvili, woman / Martvili, kadın
ginoc’ic’inap-il-i
 overripe-PTCP-NOM
 overripe
 olgunlaşmış



„ლაზურ-მეგრული გრამატიკის“ ავტორებს მიაჩნიათ, რომ მარცვალთა რაოდენობა გადამწყვეტი არაა, რადგან არის შემთხვევები, როცა განსხვავებულია მარცვალთა რაოდენობა, მაგრამ მახვილი ყველა შემთხვევაში ბოლო ხმოვანზე მოდის: ღურუ „კვდება“, ქენოლურუ „შიგ ჩაკვდება“... ხუმრ „ხმება“ და გოხუმრ „გახმება“, ქენოხუმრ „ჩახმება“... ფაქტია, რომ საანალიზო ფორმების ბოლოს ნამდვილად დასტურდება გრძელი ხმოვანი; შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს არის დინამიკური მახვილის აკუსტიკური შთაბეჭდილება (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 465). ასეთ ფორმებში, რომ ბოლოსაა მახვილი, ეს აზრი გამოთქმული აქვს ჭ. ქირიასაც (ქირია 1991: 34).

ამავე მონოგრაფიის ავტორები აღნიშნავენ, რომ თუ მა-ინც ვიმსჯელებთ ფორმათა დამთხვევაზე, მაშინ უპრიანი იქნე-ბა ერთმანეთს შევადაროთ არა მყოფადისა და აორისტის, არა-მედ მყოფადისა და თურმეობითი პირველის საობიექტო ქცევის ამგვარი ფორმები: ღურუ „კვდება“ – დოლურუ(ნ) „მოკვდება“ (ის), – დოლურუ მოკვდა (ის); შდრ .: დოლურუ „მოჰკვდომია“ (მას ის) (ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა 2015: 465-466).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეგრული მახვილის ფონოლოგიუ-რი ღირებულება ჩანს სწორედ მაშინ, როცა ხდება ფორმათა დამთხვევა: თუ სახელი და პირიანი ფორმა ემთხვევა ერთმა-ნეთს (ღურუ / ღურუუ (მარტვ.) „სიკვდილი“, ღურუ / ღურუუ (მარტვ.) „კვდება“), სახელში პირველი მარცვალია მახვილიანი (F0 პიკი და ინტენსივობაც მასზეა), ზმნაში – ბოლო მარცვალ-ზეა მახვილი და ის გაგრძელებით წარმოითქმის, მაგრამ F0 პიკი და ინტენსივობაც პირველ მარცვალზეა), ასევე, თუ აორისტისა და მყოფადის ან თურმეობითის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს, აორისტის ფორმაში მახვილი, F0 პიკი და ინტენსივობაც პირ-ველ მარცვალზეა, ხოლო მომავლის ფორმაში მახვილი მეორე მარცვალზეა (ე.ი. მომავლის ფორმაში მახვილი გადადის მომ-დევნო მარცვალზე), ტონი და ინტენსივობა კი – პირველზე: დოლურუ „მოკვდა“; დოლურუ „მოკვდება“. მარტვილურ-სენა-კურში აორისტის ფორმაში მესამე სუბიექტური პირის -უ ნიშა-ნი სუსტად ისმის (ამ შემთხვევაში ზუგდიდურსა და სამურზაყა-ნოულში S3-ის ნიშანი არის გ და ფორმათა დამთხვევა არ ხდება). თურმეობითში მახვილიც და აღმავალი ინტონაციური კონტუ-რიც მეორე მარცვალზეა ამ მაგალითში, ბოლო ხმოვანი კი იმა-ზე უფრო გაგრძელებით ითქმის, ვიდრე მყოფადის ფორმაში: დოლურუ „მოჰკვდომია“.

წარმოვადგენთ ისეთი შემთხვევის სურათებს, როცა სახე-ლი და პირიანი ფორმა ემთხვევა ერთმანეთს:


სურ. Fig. Şekil 1.1.8. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

yuru

death-(NOM)

death

ölüm




სურ. Fig. Şekil 1.1.9. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

yur-u

die-THM-(PRS.S3.SG)

is dying

ölüyör



ამ ზმნურ ფორმაში, რადგან F0 პიკი და ინტენსივობაც პირველ მარცვალზეა, ხომ არ უნდა გვეფიქრა, რომ ბოლო მარცვლის ხანგრძლივობის გაზრდა მოხდა მესამე სუბიექტური პირის -ნ ნიშნის დაკარგვის საკომპენსაციოდ? ეს სავსებით შესაძლებელია, ფორმათა დამთხვევისთვის თავის ასარიდებლად ენამ ბოლოკიდური ხმოვნის გაგრძელებით წარმოთქმას მიმართა.


სურ. Fig. Şekil 1.1.10.ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

do-yur-u

PRV-die-AOR.S3.SG

died

oldü




სურ. Fig. Şekil 1.1.11. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

do-yur-u

PRV-die.FUT-THM-(S3.SG)

will die

ölecek




სურ. Fig. Şekil 1.1.12. ჩხოროცყუ, ქალი / Chkhrotsku, woman / Çhorotsku, kadın

do-yur-u

PRV-die.EvidPrft I-THM-(S3.SG)

It appeared that his/her/its “someone/something” has died
ölmüş



სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რომ მახვილი მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, სუსტია (დანელია 2006: 88). ამავე დროს მეგრული მახვილი მოძრავია (ყიფშიძე 1994: 65, უდენტი 1953: 192-193, ჩიქობავა 1942: 194). მეგრულში მახვილი რომ მოძრავია, ჩანს იქიდან, რომ ამა თუ იმ მანარმოებლის დართვისას, სიტყვის მახვილი ადგილს იცვლის: თუ ორმარცვლიანი სიტყვა მანარმოებლის დართვისას სამმარცვლიანი გახდა, მახვილი ბოლოსწინა მარცვალზე გადაინაცვლებს: თუთა „თვე, მთვარე“ (მახვილი უ-ზე, ანუ პირველ მარცვალზეა) და თუთეფი „თვეები“ (მახვილი ბოლოსწინა მარცვალზეა);

ბალანა „ბავშვი“ (მახვილი პირველ მარცვალზეა), ბალანეფი „ბავშვები“ (მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა). ე.ი. აქაც მოქმედებს წესი, რომელიც ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერი-მენტის შედეგად გამოვლინდა, ანუ სიტყვაში მახვილის ადგილს განსაზღვრავს მარცვალთა რაოდენობა.

რაც შეეხება მახვილის ბუნებას მეგრულში, როგორც მთავარი მახვილი, ასევე თანამახვილი დინამიკურია.

ამდენად, მახვილი მეგრულში, ქართულის მსგავსად, აკუსტიკურად სუსტია, რის გამოც ენის მატარებლებს უჭირთ განსაზღვრონ მისი ადგილი, თუმცა ექსპერიმენტულმა ანალიზ-მა გვიჩვენა, რომ მეგრულში ორ- და სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუდით პირველ მარცვალზე, ზოგ შემთხვევაში სამ-მარცვლიან სიტყვებს მახვილი აქვთ ბოლოსწინა მარცვალზე; ოთხმარცვლიანებს მახვილი მოუდით ბოლოდან მესამე მარ-ცვალზე, ხუთმარცვლიანებს კი – ბოლოდან მეორეზე; ექვს- და შვიდმარცვლიან სიტყვებსაც მთავარი მახვილი აქვთ თავიდან მეორე მარცვალზე, ანუ ექვსიანებს ბოლოდან მეხუთეზე, შვი-დიანებს – ბოლოდან მეექვსეზე; მრავალმარცვლიან სიტყვებს ახასიათებთ თანამახვილიც, კერძოდ, ხუთმარცვლიანებს – ბო-ლოდან მეორეზე, ექვსმარცვლიანებს – ბოლოდან მესამეზე, შვიდმარცვლიანებს კი – ბოლოდან მეოთხეზე.

1.2. თხრობითი წინადადების ინტონაცია მეგრულში

დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წინადადება შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტონაციით. თხრობით წინადადებას ზოგადად ახასიათებს და-მავალი ინტონაციური კონტური.

მეგრული თხრობითი წინადადების ინტონაციის შესახებ გარკვეული მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ის ცალკე შესწავლის საგანი არასოდეს ყოფილა, კერძოდ, ავტორთა კოლექტივის „მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ აღნიშნულია, რომ მეგრულში თხრობითი წინადადების ინტონაცია არის აღმავალ-დამავალი. წინა წინადადებისაგან ის გამოიყოფა პაუზით (კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010: 322).

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილულია თხრობითი წინადადების ინტონაცია მეგრულში კილოკავების მიხედვით. მარტივთან ერთად აქვე შემოვიტანეთ შერწყმული და რთული წინადადებებიც, რადგან, მოდალობის თვალსაზრისით, ისინი თხრობით წინადადებას განეკუთვნებიან.

თხრობითი წინადადებები გაანალიზებულია 18 მთემელის მეტყველების მიხედვით (სამეგრელოს თითოეული მუნიციპალიტეტიდან 2-2 ადამიანი). ამათგან 10 ქალია, 8 – მამაკაცი. მათი ასაკი 10-დან 80 წლამდეა.

მარტივი წინადადება

მეგრული თხრობითი წინადადების ინტონაციის განხილვას დავიწყებთ მარტივი წინადადებით:

მა ცუდეს ვორექ „მე სახლში ვარ“.

ეს წინადადება ზუგდიდურსა და სამურზაყანოულში იწყება დაბალი ტონით, მაგრამ აღმავალი ინტონაციით ხასიათდება ადგილის გარემოება და წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს (LHL%), ზუსტად ამგვარი სურათია ჩხოროწყუს მეტყველებაშიც; წალენჯიხაში წინადადება იწყება მაღალი ტონით და კონტურების ცვლილების გარეშე დაბლდება (HL%), სენაკურსა და მარტვილურში, ასევე, ფოთის მეტყველებაში, წინადადება მაღალი ტონით იწყება, მაგრამ სინტაგმებს ახასიათებთ ინტონაციის ამაღლება და დადაბლება (HL%).

სურ. Fig. Şekil 1.2.1. ზუგდიდი, ქალი / Zugdidi, woman / Zugdidi, kadın

ma

I.PersPron1-(NOM)

I am at home.

Ben evdeyim.


‘ude-s

home-DAT

Ben evdeyim.

v-o+re-k.

S1-be.PRS-PM



მეგრულში სიტყვათა რიგი გარკვეულწილად თავისუფალია, ანუ სიტყვათა თანმიმდევრობა შეგვიძლია ვცვალოთ. ეს არ იწვევს შინაარსის ცვლილებას. იმავე წინადადებას წარმოვადგენთ შეცვლილი სიტყვათა რიგით:


ცუდეს ვორექ მა „სახლში ვარ მე“.

ამ შემთხვევაშიც ზუგდიდურსა და მარტვილურში წინადადება დაბალი ტონით იწყება, მაგრამ გრძელდება აღმავალ-დამავალ-აღმავალი კონტურით, რომელიც ბოლოში დაბლდება (LHL%), დაბალი ტონითვე იწყება წინადადება ჩხოროწყუს მეტყველებაში, მაგრამ აქ მხოლოდ ზმნის პირველ მარცვალზე მაღლდება ტონი და ისევ დაბლდება (LHL%), ეს წინადადება

მაღალი ინტონაციური კონტურით იწყება წალენჯიხისა და ხობის მეტყველებაში, ორივეგან აღმავალი ინტონაციური კონტური გვხვდება ზმნის ბოლო მარცვალზე, მაგრამ წინადადება დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება (HL%), ფოთსა და სენაკშიც მაღალი ტონით იწყება, L+H* კონტურით ხასიათდება ადგილის გარემოება და წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს (HL%).

სურ. Fig. Şekil 1.2.2. ფოთი, ქალი / Poti, woman / Poti, kadın

'ude-s	v-o+re-k	ma.
home-DAT	S1-be.PRS- PM	I.PersPron1-(NOM)
I am at home		
Evdeyim ben.		



აღსანიშნავია ის, რომ თითოეულ სიტყვას აქვს თავისი მახვილი, მაგრამ წინადადებაში გამოიკვეთება ის მეტყველების ნაწილები, რომელთა ხაზგასმაც ხდება და ლოგიკური მახვილიც მათზე მოდის. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მეტყველების ნაწილზე ახდენს მთემელი ფოკუსირებას.

შერწყმული წინადადება

განვიხილოთ მეგრული შერწყმული (ერთგვარი წევრების მქონე) წინადადების ინტონაცია.

მა ხილეფშე არძაშ / არწოშ უმოსო / მანგარო მიყორს: უშ-ქური, ბული, სხული დო ატამა (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / მა ხიღეფშე არძაშ უმოსო / მანგარო მიყორს: უშქური, ბული, სხული დო ატამა (მარტვ.) „მე ხილებიდან ყველაზე მეტად / ძალიან მიყვარს: ვაშლი, ბალი, მსხალი და ატამი“.

შერწყმულ წინადადებაში მთავარი მახვილი არის რიგით მეორე პირდაპირ დამატებაზე (გალი, სენაკი, ჩხოროწყუ), მარტვილში, ფოთსა და წალენჯიხაში – უბრალო დამატებაზე, ხობში კი – შემასმენელზე.


ზოგი მთემელი წინადადებას იწყებს დაპალი ტონით, ზოგი – მაღლით, თუმცა თითქმის ყოველი ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის ფარგლებში გვხვდება ტონის აწევ-დაწევა, მაგრამ ის ყველგან დამავალი ინტონაციით მთავრდება. შერწყმულ წინადადებაშიც, მარტივის მსგავსად, გვაქვს LHL% ან HL% ინტონაციური კონტური.

სურ. Fig. Şekil 1.2.3 (1) (2). გალი, ქალი / Gali, woman / Gali, kadın


ma	xil-ep-še	arc'o-š	u-m-os-o	m-i-'or-s:
I.PersPron1 -	fruit-PL -	all-GEN	more -	O1-OV-love-
(DAT)	ABL		ADV	PRS.S3.SG
ušk'ur-i,	bul-i,	sxul-i	do	at'ama.
apple-NOM	cherry-	pear-NOM	and.CONJ	peach-(NOM)
	NOM			

As for fruit, I love apples, cherries, pears and peaches.

Ben meyvelerden en çok elma, kiraz, armut ve şeftali severim.



(1)



(2)


რთული წინადადება

რთული წინადადება მეგრულშიც, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, ორგვარია: თანწყობილი და ქვეწყობილი. მოვიყვანთ თითო მაგალითს:

თუთა იბირს დო ჩქი ურჩქილეთ (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / თუთა იბირს დო ჩქი ურჩქიეთ (მარტვ.) „თუთა მღერის და ჩვენ ვუსმენთ“.

ამ წინადადებაში მთავარი მახვილი დო „და“ კავშირზეა, თუმცა მაღალი F0-ით ხასიათდება ორივე სუბიექტი, წინადადება კი L% სასაზღვრო ტონით მთავრდება.

სურ. Fig. Şekil 1.2.4.ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku woman / Çhorotsku kadın
 Tuta i-bir-s do čki
 Tuta-(NOM) SV-sing-PRS.S3.SG and.CONJ we. PersPron1-(NOM)
 u-rčkil-e-t.
 (S1)-OV-listen-PM-PL
 Tuta is singing and we are listening.
 Tuta şarkı söylüyor ve biz dinliyoruz.



განვიხილავთ რთულ ქვეწყობილ წინადადებასაც:
 ე / თე / ათე ბალანაქ ინგარგ დო ინგარგ, მარა მითინქ ვემ-
 კაჯინგ (ზუგდ., სამურზ.) / ე / ათე / ჰათე ბალანაქ ინგარუ დო
 ინგარუ, მარა მითინქ ვემკავინუ / ვემიაქცუ ყურადღება
 (მარტვ.-სენაკ.) „ამ ბავშვმა იტირა და იტირა, მაგრამ არავინ არ
 მიხედა / არ მიაქცია ყურადღება“.

აღნიშნულ წინადადებაში მთავარი მახვილი **მარა** „მაგ-
 რამ“ კავშირზეა (მარტვილი, ანაკლია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა,
 სენაკი, გალი) ან **მითინქ** „არავინ“ დამოკიდებული წინადადების
 ქვემდებარეზე (მარტვილი, გალი, ხობი), ზოგჯერ – მთავარი
 წინადადების ქვემდებარეზე (ჩხოროწყუ) ან დამოკიდებულის

შემასმენელზე (აბაშა). მთქმელების უმეტესობა წინადადებას იწყებს დაბალი ინტონაციით, ნაწილი – მაღლით, მაგრამ ყველა შემთხვევაში წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება, თუმცა მის ფარგლებში წინადადების ნევრებს ახასიათებთ ინტონაციური კონტურის აწევ-დაწევა.


სურ. Fig. Şekil 1.2.5 (1) (2). ნალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man /

Tsalenciha, kadın


e bayana-k	i-nigar-ə	do	i-nigar-ə,
this.DEMP child-ERG	SV-cry-	and.CONJ	SV-cry-
	AOR.S3.SG		AOR.S3.SG
mara	mitin-k	ve-m-k'ažin-ə.	
but.CONJ	somebody. INDF- ERG	Neg-PRV-pay attantion- AOR.S3.SG	

This child cried and cried, but no one looked at || paid attention to him/her.

Bu çocuk ağladı ve ağladı ama kimse bakmadı / ilgilenmedi.



(1)




განვიხილოთ -ნი ნაწილაკიანი რთული წინადადებებიც. ამ ნაწილაკის გარეშე ქვეწყობილი წინადადება არაა ბუნებრივი მეგრულში, მაგრამ მარტვილურ-სენაკურში - ნი ნაწილაკი იკარგება ხოლმე, რაც გ. კარტოზიას აზრით, მახვილის გადაწევას იწვევს (კარტოზია 1996: 79). ეს ჩვენი ექსპერიმენტით არ დადასტურდა:

ათენა რე თი ცუდე, სოდე მა იბრდინი (ზუგდ., სამურზ.) / ათენა რე თი ცუდე, სოდე მა ვირდი(ნი) (მარტვ.-სენაკ.) „ეს არის ის სახლი, სადაც მე გავიზარდე“.

მეგრულ-ლაზური ინტონაცია

სურ. Fig. Şekil 1.2.6. ზუგდიდი (ანაკლიალი ლაზი), კაცი / Zugdidi (Laz from Anaklia), man / Zugdidi (Anakliyali Laz), erkek

atena	re	ti ‘ude,	sode
this.DEMP-	be- (PRS.S3.SG)	that.Dpron	where.ADVPL
(NOM)		home-(NOM)	
ma	i-b-rd-i-ni.		
I.PersPron1-(NOM)	PASS-<S1>-grow up.AOR-PM-SUB(that)		
This is the house where I grew up.			
Bu ev benim büyüğüm evdir.			



ამ წინადადებაში ფოკუსირება ხდება ლუდე „სახლი“ პირ-დაპირ დამატებაზე (გალი, სენაკი, ხობი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა), ერთადერთ შემთხვევაში – სოდე „სადაც“ კავშირ-ზე (წალენჯიხა). თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, წინადა-დება დაბალი ტონით იწყება, მაგრამ უგამონაკლისოდ მთავ-რდება დამავალი ინტონაციური კონტურით, თუმცა მის შიგნით წინადადების წევრები ხასიათდებიან ტონის ანევა-დანევით.

აქვე განვიხილავთ -ო ნაწილაკიან პიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელშიც -ო მიიჩნევა კითხვითობის გამომხატველად (აბესაძე 1963: 19) ან ორე(ნ) მეშველი ზმნისაგან მომდინარედ (ციკოლია 1977: 87).

მორთუო, ცუდეს ქანტუ „რომ მოვიდა, სახლს ცეცხლი უკიდია“.

სურ. Fig. Şekil 1.2.7.ჩხორონყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

mo-rt-u-o,

PRV-come-

AOR.S3.SG-QPTC

When he came the house was on fire.

Geldiğinde ev yanıyordu.


‘ude-s

home-DAT

ka-nt’-u.

AFF-be on fire-THM-

(PRS.S3.SG)



ასეთ წინადადებაში მთავარი მახვილი -ო-ს წინა მარცვალზეა, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში

(კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010: 396), თუმცა ზოგ-ჯერ -თ ნაწილაკზეც დასტურდება.

ამდენად, მეგრული თხრობითი წინადადება, როგორც მარტივი, ისე შერწყმული და რთული, დაბალი ტონით იწყება და დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება, მაგრამ მის წევრებს, თუ ისინი ერთზე მეტ მარცვალს შეიცავენ, ახასიათებთ ინტონაციის აწევ-დაწევა. ზოგი მთქმელი თხრობით წინადადებას იწყებს მაღალი ტონით, მაგრამ აუცილებლად ამთავრებს დამავალი ინტონაციური კონტურით, მის შეგნითაც ხდება წინადადების წევრებზე ინტონაციური კონტურის ამაღლება და დადაბლება. მეგრულში თხრობითი წინადადება ძირითადად წარმოდგენილია LHL%, იშვიათად კი – HL% ინტონაციური კონტურით.

1.3. კითხვითი წინადადების ინტონაცია მეგრულში

კითხვითი წინადადების მიზანია მოუპარმა მიიღოს თანამოსაუბრისაგან მისთვის საჭირო ახალი ინფორმაცია, დაადასტუროს ან უარყოს კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრი (კვაჭაძე 1996: 43).

მეგრულში, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, კითხვითი წინადადება არის კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი. კითხვითსიტყვიანი წინადადება გამოხატულია კითხვითი სიტყვებით, არაკითხვითსიტყვიანს კი მეგრულში სახელს ან ზმნას შეერთებული კითხვითი ნაწილაკი გადმოსცემს. ცალკალკუ, დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კითხვითი წინადადებებიც გაანალიზებულია 18 მთქმელის მეტყველების მიხედვით – სამეგრელოს თითოეული მუნიციპალიტეტიდან 2-2 ადამიანი, მათ შორის 11 ქალი, 7 – მამაკაცი. მათი ასაკი 6-დან 87 წლამდეა.

კითხვითსიტყვიანი წინადადება


როგორც აღვნიშნეთ, კითხვითსიტყვიანი წინადადება გამოიხატება კითხვითი სიტყვებით, კერძოდ, კითხვითი ნაცვალ-სახელებითა და კითხვითი ზმნიზედებით.

ნარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც კითხვითი წინადადება გამოხატულია კითხვითი სიტყვებით:

მუ რე თენა / ენა? (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / **მუღ თენა?** (მარტვ.) „რა არის ეს?“

სურ. Fig. Şekil 1.3.1. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

mu	re	tena?
what.Qpron-(NOM)	be-(PRS.S3.SG)	this.Dpron-(NOM)
What is this?		
Ne bu?		



მეგრულში მთავარი მახვილი მოუდის ზმნას და წინადადების ბოლოს გვაქვს აღმავალი ინტონაციური კონტური.


მეგრულ-ლაზური ინტონაცია

მეგრულში სიტყვათა რიგი მეტწილად თავისუფალია კითხვით წინადადებაშიც. კითხვითი სიტყვა შეიძლება იყოს არა მხოლოდ წინადადების დასაწყისში, არამედ მის შუაშიც:

თენა / ენა მუ რე? (ზუგდ., სამურზ. სენაკ.) / **თენა / ენა მუე?** (მარტვ.) „ეს რა არის?“

სურ. Fig. Şekil 1.3.2. ფოთი, ქალი / Poti, woman / Poti, kadın

ena	mu	re?
this.Dpron.-(NOM)	what.Qpron-(NOM)	be-(PRS.S3.SG)
What is this?		
Bu ne?		



ამ შემთხვევაში მეგრულში მთავარი მახვილი ქვემდებარებეა (ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, მარტვილი), სამურზაყანულში, ზოგჯერ სენაკურშიც (ფოთშიც) მახვილი ზმნაზეა და წინადადება აღმავალი ინტონაციით მთავრდება.

მეგრულში კითხვით წინადადებაში კითხვით სიტყვას შეიძლება დაერთოს სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ა „ო“:

მუვა / მუა? (ზუგდ., სამურზ. სენაკ.) / **მუა?** (მარტვ.)
„რაო?“


სურ. Fig. Şekil 1.3.3. სენაკი, ქალი / Senaki, woman / Senaki, kadın

mu-a?

what.Qpron-DSM3

What?

Ne dedi?




სურ. Fig. Şekil 1.3.4. მარტვილი, ქალი / Martvili, woman / Martvili, kadın

muj-a?

what.Qpron-DSM3

What?

Ne dedi?




მეგრულის ყველა კილოკავში ასეთ დროს მთავარი მახვილი ნაწილაკზე მოდის და წინადადების ბოლოს აღმავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

ორმაგ კითხვითსიტყვიანი წინადადება

მეგრულში გვაქვს ისეთი კითხვითი წინადადებებიც, რომელიც ორ კითხვით სიტყვას შეიცავენ. ასეთ შემთხვევებში სუბიექტი უსწრებს ობიექტს:

მი მუს ლოლანს? (ზუგდ., სამურზ. სენაკ.) / მი მუს ლოლანს? (მარტვ.) „ვინ რას იზამს?“

სურ. Fig. 1.3.5.ჩხორონყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın



ასეთ შემთხვევებში მთავარი მახვილი პირველ კითხვით სიტყვაზეა და წინადადება მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით (L%).

არაკითხვითსიტყვიანი წინადადება

მეგრულში არაკითხვითსიტყვიან წინადადებაში ზმნას კითხვითი -ო ნაწილაკი ახლავს, ის შეიძლება სახელსაც დაერთოს. ის ფონეტიკური და მორფოლოგიური შესატყვისია -ა ნაწილაკისა, რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა (Кипшиძე 1914: 092; ჩიქობავა 1936: 187). ი. ყიფშიძის მიხედვით, კითხვითი მახვილი ნაწილაკზე არ მოდის; მახვილი წინამავალ ხმოვანზეა. იქვე იგი მიუთითებს, რომ -ო ნაწილაკი ხელს

უნყობს მესამე სუბიექტური პირის -ნ ნიშნის აღდგენას: კოჩი გერე „კაცი დგას“, მაგრამ კოჩი გერე-ნ-ო „კაცი დგას?“, დვინგ ქუდუდგუმზ „ლვინო დაუყენებია“, მაგრამ: ლვინგ ქუდუდგუმუ-ნ-ო? „ლვინო დაუყენებია?“ (ყიფშიძე 1994: 144).

არნ. ჩიქობავაც მიიჩნევდა, რომ -ო ნაწილაკიან წინადა-დებაში მეგრულში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე ეცე-მა: გოკონ-ო „გინდა?“ მეგრული -ო ნაწილაკი, ქართული ა-სა-გან განსხვავებით, არ დაიკარგა, რადგან მახვილი მასზე იყო (ჩიქობავა 1942: 191).

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომელშიც კითხვი-თობა გამოხატულია -ო ნაწილაკით მეგრულში.

მეგრულში -ო ნაწილაკის წინა ხმოვანზეა მთავარი მახვი-ლი ორმარცვლიან სიტყვაში:

ხენო? „ზის?“


სურ. Fig. Şekil 1.3.6. ხობი, კაცი / Khobi, woman / Hobi, erkek

xe-n-o?

sit-PRS.S3.SG-QPTC

Is he/she sitting?

Oturuyor mu?




სამმარცვლიანი სიტყვის შემთხვევაშიც მთავარი მახვილის მატარებელი -ო ნაწილაკის წინა ხმოვანი გამოდის: **მორ-თუო? „მოვიდა?“**

სურ. Fig. Şekil 1.3.7. მარტვილი, ქალი / Martvili, woman / Martvili, kadın **mo-rt-u-o?**

PRV-come-AOR.S3.SG-QPTC

Has he/she come?


Geldi mi?



განვიხილოთ სრული კითხვითი წინადადებაც:

თე ბალანაქ წიგნი წეკითხუო? (ზუგდ., სამურზ., სენაკ.-მარტვ.) / თე ბალანაქ წიგნი გეიკითხუო? (ფოთი, ხობი) „ამ ბავ-შვერა წიგნი წაიკითხა?“

სურ. Fig. Şekil 1.3.8. ზუგდიდი, ქალი / Zugdidi, woman / Zugdidi, kadın
te bayana-k c'ign-i c'e-k'itx-u-o?
 this.DEMP child-ERG book-NOM PRV-read-AOR.S3.SG-QPTC
 Has this child read the book?
 Bu çocuk kitabı okudu mu?




ამ შემთხვევაშიც მთავარი მახვილი კითხვითი ნაწილაკის წინა ხმოვანზეა და ზმნას აქვს დამავალი ინტონაციური კონტური.

კითხვითი ნაწილაკი -ო გამოხატავს არა მხოლოდ კითხვას, არამედ ჩაკითხვასაც. ის მეტწილად ერთვის ზმნას, მაგრამ შეიძლება ახლდეს სუბსტანტივსაც: ჭარუნს-ო? „წერს?“ კოჩქ-ო? „კაცმა?“ კითხვითი ინტონაციური მახვილი ეცემა -ო-ს წინამავალ ხმოვანზე (Boeder 2012: 13).

სურ. Fig. Şekil 1.3.9. ჩხოროწყუ, კაცი / Chkhorotsku, man / Çhorotsku, erkek

k'oč-k-o?
man-ERG-QPTC
The man?
Adam mi?



ზოგჯერ მეგრულში კითხვა გადმოცემულია კითხვითი სიტყვისა და ნაწილაკის გარეშე, მხოლოდ აღმავალი ინტონაციით. ეს ხდება მაშინ, როცა დასმულ კითხვაზე პასუხს იღებ და მერე კიდევ ცდილობ რაღაცის დაზუსტებას:

- წიგნი ქიშიდიო? „წიგნი იყიდე?“
- ქო „კი“.
- რვეული? „რვეული?“


სურ. Fig. Şekil 1.3.10. აბაშა, კაცი / Abasha, man / Abaşa, erkek

rveul-i?

notebook-NOM

A notebook?

Defter?




მეგრულის ყველა კილოკავში ასეთ სიტყვას ბოლო მარცვალზე მოუდის მთავარი მახვილი, შესაბამისად, აღმავალ-დამავალი ინტონაციური კონტური აქვს ბოლოში.

მეგრულში გვაქვს ალტერნატიული კითხვები, რომლებიც შეიცავს (**დო**) **ვარ** (პარალელურად ქართულიდან დამკვიდრებულ **თუ**) „**თუ**“ კავშირს და ის ხასიათდება აღმავალი ინტონაციური კონტურით:

მეურქე (დო) ვარ / თუ მურქე? (ზუგდ., სამურზ.) / **მეურქე (დო) ვარ / თუ მურქე?** (მარტვ.-სენაკ.) „მიდიხარ თუ მოდიხარ?“

სურ. Fig. Şekil 1.3.11. მარტვილი, კაცი / Martvili, man / Martvili, erkek
me-ur-k-ə **var** **m-ur-k-u?**
 PRV-go.PRS-PM-EM or.CONJ PRV-come.PRS-PM-EM
 Are you going or coming?
 Gidiyor musun geliyor musun?



ამავე ალტერნატიულ კითხვებში მეგრულში კითხვის გა-
 მოსახატავად ერთდროულად გამოყენებულია კითხვითი ნაწი-
 ლაკიც და კავშირიც: **მეურქო ვარ / თუ მურქუ?** „მიდიხარ თუ
 მოდიხარ?“ ასეთ შემთხვევაში მთავარი მახვილი კითხვით -ო
 ნაწილაკზეა, თუმცა კავშირიც აღმავალი ინტონაციური კონ-
 ტურით ხასიათდება.

სურ. Fig. Şekil 1.3.12. ფოთი, კაცი / Poti, man / Poti, erkek

me-ur-k-o


var

m-ur-k-u?

PRV-go. PRS-PM- QPTC or.CONJ PRV-come. PRS-PEM

Are you going or coming?

Gidiyor musun geliyor musun?




განმყოფელი კითხვითი წინადადება

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ აღნიშნულია, რომ, როცა თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი ვარ > ვა ან დადასტურების ხო / ხომ, რომ-ლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს, ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი და სიტყვა-წინადადების ბადალია. კითხვის მახვილი მასზეა (კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010: 322-323).

ნინი თაქ რე, ხო? „ნინი აქ არის, ხო?“


სურ. Fig. Şekil 1.3.13. ზუგდიდი (ანაკლიალი ლაზი), ქალი / Zugdidi (Laz from Anaklia), woman / Zugdidi (Anakliyalı Laz), kadın

Nini tak re, xo?
 Nini-(NOM) here.ADVPL be-(PRS.S3.SG) yes.AFF
 Nini is here, isn't she?
 Nini burada öyle mi?



დოჭარი, ვარო „დაწერე, არა?“

სურ. Fig. Şekil 1.3.14. მარტვილი, კაცი / Martvili, man / Martvili, erkek
do-č’ar-i, **var-o?**
 PRV-write- AOR.S2.SG not.NEG-QPTC
 You have written, haven’t you?
 Yazdın değil mi?




დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ დადებით ნაწილა-კიან წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება სწორედ ნაწილაკი. უარყოფით ნაწილაკიანი კითხვითი წინადადების შემთხვევა ითხოვს დაზუსტებას, კერძოდ, ასეთ წინადადებებში მეგრულში მახვილიანია -ო ნაწილაკის წინაშე მოვანი, ფოთის მეტყველებაში კი უშუალოდ -ო ნაწილაკი.

ექო კითხვები

მეგრულში წარმოდგენილია ექო კითხვებიც. ეს ისეთი კითხვითი წინადადებაა, როცა თანამოსაუბრე მისდამი დასმულ კითხვას იმეორებს. როცა კითხვითი სიტყვაც და კითხვითი ნანილავიც არის გამოყენებული წინადადებაში, აღმავალი ინტონაციით ხასიათდება კითხვითი ნაწილაკი.

მუ რენ? (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / **მუხენო?** (მარტვ.)
,,რა არის?“

სურ. Fig. Şekil 1.3.15. გალი, ქალი / Gali, woman / Gali, kadın



ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კითხვით წინადადებებს მთავარი მახვილი აქვთ ქვემდებარებები ან ზმნაზე; კითხვით-სიტყვიანი წინადადება მეტნილად ხასიათდება აღმავალი ინტონა-

ციით ბოლოში, შესაბამისად, მაღალი სასაზღვრო ტონით (H%), რაც გამოარჩევს მას თხრობითი წინადადებისაგან და არაკითხვითსიტყვიანი წინადადებისაგან, რადგან მასაც დამავალი ინტონაციური კონტური აქვს ბოლოში; დადებით და უარყოფით კითხვით ნაწილაკებს (ვარო „არა?“, ხო „ხომ?“), რომლებიც განმყოფელ კითხვით წინადადებაში გვხვდებიან, ახასიათებთ აღმავალი ინტონაციური კონტური. ექმ კითხვებშიც აღმავალი ინტონაციური კონტური კითხვით ნაწილაკზე გვხვდება.

1.4. ბრძანებითი წინადადების ინტონაცია მეგრულში

ბრძანებითი წინადადება გამოხატავს ბრძანებას ანუ მოითხოვს პირველი პირის ნება-სურვილის შესრულებას მისამართი პირისაგან (კვაჭაძე 1996: 53).

ბრძანებითია მაშინაც, როცა იგი გადმოსცემს თხოვნას, ხვეწნას, მუდარას და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ინტონაცია, რომელიც იცვლება იმის მიხედვით, გამოხატავს იგი კატეგორიულ ბრძანებას, თხოვნას თუ ხვეწნას (კიზირია 1982: 67).

ბრძანებითი წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითია წინადადება, რომლითაც პირველი პირი ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულებას მოითხოვს მისამართი პირისაგან (კვაჭაძე 1996: 53).

უკუთქმითია ბრძანებითი წინადადება, რომლითაც პირველი პირი მისამართ პირს უკრძალავს ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულებას. ასეთ ბრძანებითს აკრძალვითს ეძახიან (კვაჭაძე 1996: 53).

ვნახოთ, რა განსხვავებებია მეგრულში წართქმით და უკუთქმით წინადადებებს შორის ინტონაციური თვალსაზრისით.

ბრძანებითი წინადადებები გაანალიზებულია 18 მთქმების მეტყველების მიხედვით, 2-2 წარმომადგენელი სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტიდან. ამათგან 12 ქალია, 6 – მამაკაცი. მათი ასაკი 12-დან 80 წლამდეა.

დავიწყებთ წართქმითი წინადადებების განხილვით:
 ქვეგონე ნარაგადი! (ზუგდ., სამურზ.) / ქიგეგონე ნარაგადი! / ქეგეგონე ნარაგადი! / ქოგეგი ნარაგადი! / ქიეგონი ნარაგადი! (მარტვ.-სენაკ.) „გაიგონე ნათქვამი!“

სურ. Fig. Şekil 1.4.1. მარტვილი, ქალი / Martvili, woman / Martvili, kadın


ki-e-gon-e

AFF-PRV-hear.AOR: IMPT-PM sied-EV

Hear what I am telling you!

Dediğimi anla!

naragad-ə!



F0 პიკი ზმნაზეა, ანუ წინადადების პირველ წევრზე, კერძოდ, მის ბოლო (აბაშა) ან ბოლოსწინა მარცვალზე (აბაშა, წალენჯიხა, ზუგდიდი), იგივე სურათია გალშიც, ოლონდ **H*** ახა-

მეგრულ-ლაზური ინტონაცია

სიათებს ზმნის მეორე მარცვალს დასაწყისიდან. ჩხოროწყუში, მარტვილში, ფოთსა და ხობშიც ლოგიკური მახვილი მოუდის ზმნას, ჩხოროწყუსა და მარტვილში საწყის მარცვალზე, ფოთსა და ხობში – მეორეზე. თითო ზუგდიდელი, მარტვილელი და ფოთელი მთქმელის შემთხვევაში მახვილი მოუდის სახელს.

ეს წინადადება იწყება მაღალი ტონით და მთავრდება და-
მავალი ინტონაციით, თუმცა წინადადების ფარგლებში რო-
გორც ზმნას, ისე სახელს ახასიათებს HL და LH კონტურები.

კნახოთ სხვა მაგალითი(კ):

მა მირჩევილი! (ზუგდ., სამურზ., სენაკ.) / მა მირჩევილი!
(მარტვ.) „მე მისმინე!“


სურ. Fig. Şekil 1.4.2. ფოთი, კაცი / Poti, man / Poti, erkek

ma m-i-rčkil-i!

I.PersPron1-(NOM) O1-OV-hear.AOR: IMPT-PM

Listen to me!

Beni dinle!




მთავარი მახვილი ზმნის პირველ მარცვალზეა (აბაშა, ფოთი), მაგრამ მეორე აბაშელი მთქმელის (მოზარდი, რომელ-მაც კარგად არ იცოდა მეგრული) შემთხვევაში პიკი მოუდის პირველ პირს, ბრძანების გამცემს, მახვილი ზმნის ბოლოსნინა მარცვალზეა გალსა და სენაკში, ბოლო მარცვალზეა ხობში, ჩხოროწყუში, ზუგდიდურსა და მარტვილურში, ასევე, წალენ-ჯიხელი მოზარდის მეტყველებაშიც. აბაშელი მოზარდივით ფოკუსირებას ახდენენ პირველ პირზე ახალგაზრდა ზუგდიდე-ლი და მარტვილელი მოზარდიც, ასევე, წალენჯიხელი და ჩხო-როწყუელი (ლესიჭინე) მთქმელებიც. ამ შემთხვევაშიც წინადა-დება დამავალი ინტონაციით მთავრდება.

განვიხილოთ მისამართი სახელის შემცველი წართქმითი ბრძანებითი წინადადებაც:

თუთა, მორთი აში / აშო! „თუთა, მოდი აქ!“

სურ. Fig. Şekil 1.4.3. სენაკი, ქალი / Senaki, woman / Senaki, kadın

Tuta, mo-rt-i ašo!
 Tuta- (NOM:VOC, PRV-come.AOR:IMPT-PM hereADVPL
 Tuta, come here!
 Tuta, buraya gel!




მთავარი მახვილი გვაქვს მისამართი სახელის ბოლოს აბაშიში, ხოლო – მის საწყის მარცვალზე სენაკში, მარტვილსა და გალში, ზმნაზე კი – ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუსა და ხობში.

მეგრულში მიმართვის გასაძლიერებლად მისამართ სახელს ერთვის ხოლმე **ო / ვო**, განმეორებით დაძახებისას:

ო / ვო, უჩა, ქემორთი აშო! (ზუგდ., სამურზ.) / **ო / ვო, უჩა, ქემორთი / ქუმორთი აშო!** (მარტვ.-სენაკ.) „უჩა, მოდი აქ!“

სურ. Fig. Şekil 1.4.4. წალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man / Tsalenciha, erkek

o,	Uča,	kə-mo-rt-i	ašo!
Hey.INTJ	NOM:VOC	AFF-PRV-	here.ADVPL
come.AOR:IMPT-PM			
Hey! Ucha, come here!			
Hey, Uča, buraya gel!			




ასეთ დროს მთავარი მახვილი მისამართ სახელს მოუდის ან **ო / ვო** ნაწილაკს, არცთუ იშვიათად – ზმნასაც. წინადადება იწყება მაღალი, ზოგჯერ დაბალი ტონით და დაბლით მთავრდება.

ბრძანებითი წინადადებით მოწოდებაც გადმოიცემა:
(არძაქ / არძოქ) ართო იბდათ! (ზუგდ., სამურზ.) / **(არძაქ)**
ართო ვიდათ! (მარტვ.-სენაკ.) „(ყველა) ერთად წავიდეთ!“

სურ. Fig. Şekil 1.4.5. ხობი, კაცი / Khobi, man / Hobi, erkek

arzo-k arto i--d-a-t!
 all.Defpron-ERG together.ADV.M $\langle S1 \rangle$ -go.FUTSubj-PM-PL
 Let's go together!
 Hep beraber gidelim!




ამ წინადადებაში მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს (ხობი, გალი, ანაკლია, ფოთი, მარტვილი, სენაკი) ან ზმნას. წინადადება მეტწილად იწყება მაღალი ტონით და ბოლოში დამავალი ინტონაციური კონტური გვხვდება.

წარმოვადგენთ შექების გამომხატველ წინადადებასაც:
ჯგირ ბოშ(ი) რექ(ი)! / ჯგირ ბოშიექ! „კარგი ბიჭი ხარ!“

სურ. Fig. Şekil 1.4.6. ფოთი, ქალი / Poti, woman / Poti, kadın

ჟgir	boš	re-k!
good.ADJ	boy-(NOM)	be. PRS-PM
You are a good boy!		
İyi bir uşaksın!		



მთავარი მახვილი მეტწილად წინადადების პირველ წევ-
 რზეა, ზოგჯერ – სახელზე ან ზმნაზეც, წინადადება იწყება
 მაღალი ტონით და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დამავალი ინ-
 ტონაციური კონტურით მთავრდება (ახალგაზრდა მთქმელები).

ბრძანებითი წინადადებით გადმოიცემა დალოცვაც:
**ლორონთქ გვახარას! (ზუგდ., სამურზ.) / ლორონთქ გუგა-
 ხარას / გუგახარ! (მარტვ.-სენაკ.) „ლმერთმა გაგახაროს!“**

სურ. Fig. Şekil 1.4.7. წალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man / Tsalenciha, erkek

yoront-k


god-ERG

God bless you!

Tanrı sevindirsin!

gə-g-a-xar-a-s!

PRV-O2-NV-make glad.FUTSubj-PM-S3.SG



ასეთ წინადადებაში მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრს მოუდის, მაღალი F0 გვევდება ზმნაზეც.

წინადადება მეტნილად იწყება აღმავალი ინტონაციით და უგამონაკლისოდ დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.

განვიხილოთ წყევლის გამომხატველი წინადადებაც:

დიხაშა / ჯანდაბაშა გილინდას / გილგნდას! (ზუგდ., სამურზ.) / **დიხაშა გილინდას / გიუდას!** (მარტვ.-სენაკ.) „ჯანდაბამდე გზა გქონია [მიწაში წასულიყავი]!“

სურ. Fig. Şekil 1.4.8. ჩხოროწყუ, ქალი / Chkhorotsku, woman / Çhorotsku, kadın

dixa-ša


ground-ALL

g-i-l-in-d-a-s!

O2-OV- go-THM-PST-PRFSubj-S2.SG

You can go to hell!

Cehennemin dibine!




ნყევლის გადმომცემ წინადადებაშიც, დალოცვის გამოძატველი წინადადების მსგავსად, მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს, ოუმცა ზმნაზეც გვაქვს მაღალი F0. წინადადება ყველგან იწყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

უკუთქმითი ბრძანებითი მეგრულში გამოიხატება ვა / ვე „არ, ვერ“ და ნებ / ნე / ნი „ნუ“ ნაწილაკებით. ვა / ვე ახლავს კავშირებითი კილოს ფორმებს, ხოლო ნებ / ნე / ნი / ნუ – თხრობითი კილოსას.

თოლს ვაწმაძირა (აშო)! (ზუგდ., სამურზ.) / თოლს / თორს ვეწმაძირა! (მარტვ.-სენაკ.) „თვალით არ დამენახო!“

სურ. Fig. Şekil 1.4.9. გალი, კაცი / Gali, man / Gali, erkek

tol-s va-c'-m-a-ʒir-a ašo!
 eye -DAT NEG-PRV-O1-NV-see.FUTSubj-PM here.ADVPL
 Get out of my sight!
 Gözüm görmesin seni!



მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზე (აბაშა, სენაკი, ხობი, წალენჯიხა), ზმნის ბოლოსწინა (გალი, მარტვილი, ჩხოროწყუ) ან ბოლო მარცვალზე (ზუგდიდი, სენაკი), ხოლო ვა „არ“ ნაწილაკზე (ზუგდიდი, მარტვილი, წალენჯიხა) ახალგაზრდების მეტყველებაში.

განვიხილოთ **ნემ / ნე / ნი „ნუ“** ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი წინადადებაც:


ნუმ / ნემ / ნე გერექ თაქ!! (ზუგდ., სამურზ.) / **ნი / ნუ გერექ თაქ!**! (მარტვ.-სენაკ.) ნუ დგახარ აქ!“

სურ. Fig. Şekil 1.4.10. ზუგდიდი, კაცი / Zugdidi, man / Zugdidi, erkek

num ge-re-k tak!
no.NEG PRV-stand.PRS-PM here .ADVPL

Do not stand here!

Burda durma!



ნუ / ნი / ნი „ნუ“ ნაწილაკიან წინადადებაში მთავარი მახვილი მეტწილად ამ ნაწილაკზეა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზმნაზეც გვხვდება (აბაშა, მარტვილი, ზუგდიდი).

ამრიგად, პრძანებით წინადადებაში, თხრობითი და კითხვითი წინადადებებისაგან განსხვავებით, მთავარი მახვილი ყოველთვის ახასიათებს წინადადების პირველ ნევრს.

1.5. ძახილის წინადადების ინტონაცია მეგრულში

ა. კიზირია ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებებს განიხილავს ემოციურ წინადადებათა რიგში და მას ყოფს საკუთრივ ემოციურ და კითხვით-ემოციურ ტიპებად (კიზირია 1982: 68-69).

ძახილის წინადადებები გაანალიზდა 18 მთქმელის მეტყველების მიხედვით, სამეგრელოს თითოეული მუციპალიტეტიდან 2-2 ადამიანი. ამათგან 9 ქალია, 9 – მამაკაცი. მათი ასაკი მერყეობს 14-დან 80-ს შორის.

ძახილის წინადადებები გადმოსცემენ სხვადასხვა ემოციას, განცდას.

განვიხილოთ ნატვრის გამომხატველი წინადადება:

ნგტე / ნიტე / ნოტე გოლა ქემოირთუმუდ(უ)კონი! (ზუგდ., სამურზ.) / **ნოტე გოლა მოირთუმუდუკო(ნი)!** (მარტვ.-სენაკ.) „ნეტავ გუშინ მოსულიყავი!“


მთქმელების უმეტესობამ ეს წინადადება **-ნი** ნაწილაკის გარეშე ნარმოთქვა, მხოლოდ სამურზაყანოელმა მთქმელებმა წარმოთქვეს **-ნი** ნაწილაკით.

სურ. Fig. Şekil 1.5.1. გალი, კაცი / Gali, man / Gali, erkek

not'e	goya	kə-mo-i-rtum-u-d-(u)-k'o-ni!
I wish.INTJ	yesterday.ADVT	AFF-PRV-OV-come. FUTCOND-THM-PST-S3.SG- PM-CLTC(that)

I wish you had come yesterday!

Keşke dün gelseydin!



ამ წინადადებაში F0 პიკის მატარებელია წინადადების პირველი წევრის პირველი ან ბოლო მარცვალი, შესაბამისად, ის ზოგან იწყება აღმავალი, ზოგან – დამავალი ინტონაციური კონტურით და დამავალითვე მთავრდება, თუმცა წინადადების ფარგლებში ხდება HL და LH კონტურების მონაცვლეობა.


დახილის წინადადებით გადმოიცემა აღფრთოვანებაც:

ცო / ო / ე / ჰო, წიე, მუ ჯგირ ამბე გებგი! (ზუგდ., სამურზ.)
/ ცო / ო / ე / ჰო, წიე, მუ ჯგირ ამბე გევგი! (მარტვ.-სენაკ.) „ე, ბიჭო, რა კარგი ამბავი გავიგე!“

სურ. Fig. Şekil 1.5.2. ზუგდიდი, კაცი / Zugdidi, man / Zugdidi, erkek

‘o,	c’ie,	mu	žgir	ambe	ge-b-g-i!
wow.	boy.	what.Qpron-	good.	news-	PRV-S1-
INTJ	INTJ	(NOM)	ADJ	(NOM)	hear.AOR-PM

Ah, what good news!
 Oh, be, ne güzel haber aldım!



ასეთ შემთხვევაში მთავარი მახვილი **ცო / ო / ე** შორისდებულზეა ან მის თანმხლებ **წიე** „ბიჭო“ სიტყვაზე, იშვიათად – ზმნის პირველ მარცვალზე.

ასეთი წინადადება მეტნილად იწყება მაღალი ტონით, ზოგ შემთხვევაში – დაბლით, მაგრამ ყოველთვის დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.

ძახილის წინადადება გამოხატავს მოწონებასაც:


უჳ / ცო / ცუჳ, მუ ჯგირო / ჯგირს იბირს! (ზუგდ., სა-
მურზ.) / უჳ / ცო(ჳ) / ცუჳ, მუ ჯგირო / ჯგირს იბირს(ი)! (მარტვ.-
სენაკ.) „უჳ, რა კარგად / კარგს მღერის!“

სურ. Fig. Şekil 1.5.3. აბაშა, კაცი / Abasha, man / Abaşa, erkek

'oh,	mu	žgiro	i-bir-s!
wow.INTJ	what.Qpron- (NOM)	well.ADVM	SV- sing- PRS.S3.SG

Wow! He/She sings so well!

Oh, ne güzel şarkı söylüyor!




ამ შემთხვევაშიც მთავარი მახვილი შორისდებულზეა, თუმცა ზოგ მთქმელთან – ზმნაზე. წინადადება მეტნილად ინ-
ყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

წარმოვადგენთ მწუხარების გამომხატველ ძახილის წინა-
დადებას:

ვავა / ვაი, ჩქიმ ცოდა! „ვაი, ჩემი ბრალი!“

სურ. Fig. Şekil 1.5.4. მარტვილი, ქალი / Martvili, woman / Martvili, kadın
vava, **čkim** **coda!**
 woe-INTJ mine-PossPron f ault-NOM
 Poor me!
 Vay başım!



ამ შემთხვევაში მთავარი მახვილი შორისდებულზეა, იშვიათად – წინადადების ბოლო წევრზე. წინადადება მეტწილად იწყება მაღალი ტონით (იშვიათად – დაბლით, როცა მთავარი მახვილი შორისდებულის ბოლო მარცვალზეა) და ბოლოშიც დამავალი ინტონაციური კონტური იჩენს თავს.

ძახილის წინადადებით გადმოიცემა დანაწებაც:


ცეხ / ცახ / ცოხ, მუ კოჩქ მიღინეს / მემდინეს! „ეჲ, რა კაცი დავკარგეთ [კაცმა დაგვეკარგა]!“

სურ. Fig. Şekil 1.5.5. ზუგდიდი (ანაკლიალი ლაზი), კაცი / Zugdidi (Laz from Anaklia) / Zugdidi (Anakliyah Laz), erkek

‘ax,	mu	k’oč-k	me-m-din-es!
alas.INTJ	what.Qpron-	man-ERG	PRV-O1-loss-
	(NOM)		AOR.S3.PL

Alas! What a great man we lost!

Ah, nasıl adami kaybettik!




ამ წინადადებაში F0 პიკი შორისდებულზეა, მაგრამ არ-ცოტუ იშვიათად ის ზმნას მოუდის, შესაბამისად, წინადადება მეტწილად იწყება მაღალი ტონით და უგამონაკლისოდ დაბლით მთავრდება.

წარმოვადგენთ დაფრთხობის გამომხატველ ძახილის წინადადებასაც:

ჰაიტ / ჰოიტ! გოდინი თაურე! „ჰაიტ! დაიკარგე აქედან!“

სურ. Fig. Şekil 1.5.6. ნალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man / Tsalenciha, erkek

hait' , hey.INTJ	go-din-i PRV-loss.AOR:IMPT-PM	taure! from here.ADVPL
Hey! Get lost!		
Kaybol burdan!		



ამ შემთხვევაშიც მთავარი მახვილი მოუდის შორისდებულს, თუმცა ზოგჯერ F0 პიკი გვაქვს წინადადების ბოლო წევრზე, ძალიან იშვიათად კი – ზმნაზეც.

წინადადება მეტნილად იწყება დაბალი ტონით და დაბლითვე მთავრდება უგამონაკლისოდ.

განვიხილოთ გაბრაზების გამომხატველი ძახილის წინადადება:


(ც)უო! მუს რე, მეჩიებუნი! (ზუგდ., სამურზ.) / **ცუო! მუსიე მირაგადუ!** (მარტვ.-სენაკ.) „რასაა, რომ მეუბნება!“

სურ. Fig. Şekil 1.5.7.ჩხოროწყუ, კაცი / Chkhorotsku, man / Çhorotsku, erkek

'o,	mus	re	m-e-či-eb-u-ni!
oh.INTJ	what.Qpron-	be-(PRS.S3.SG)	O1-Pass-tell-THM- PRS.S3.SG -SUB(that)

God! What is he/she telling me!

Ne diyor bana!




მთავარი მახვილი მეტწილად შორისდებულზეა, თუმცა არცთუ იშვიათად – -ნი ნაწილაკიან ზმნაზე. წინადადება მეტწილად იწყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

ძახილის წინადადებით გადმოიცემა ზიზღიც:

ცუკ / ფუ / ფუკ / ფუფ! მუს რე, ქოგგნი! (ზუგდ., სამურზ.) / ცუკ / ფუ / ფუკ / ფუფ! მუს რე / მუსიე, ქოგუნი! (მარტვ.-სენაკ.) „ფუკ, რასაა, რომ ჰგავს!“

სურ. Fig. Şekil 1.5.8. ხობი, კაცი / Khobi, man / Hobi, erkek
 ‘uh, mu-si-e, ko-g-u-ni!
 eww.INTJ what.Qpron- AFF-look like -THM- PRS.S3.SG-
 DAT-CLTC-be SUB(that)
 Eww, what does that look like!
 Puh, Neye benziyor!




ზოზლის გამომხატველ წინადადებაშიც მთავარი მახვილი მეტწილად შორისდებულზეა, თუმცა იშვიათად – -ნი ნაწილაკი-ან ზმნაზეც. წინადადება იწყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

ამჯერად განვიხილოთ საგანგაშო ძახილის გამომხატველი წინადადება:

არიქა! მგმახვარით! (ზუგდ., სამურზ.) / **არ(ი)ქა!** მიმეხვარით(ი) / **მუმეხვარით(ი)** / **მუმოხვარითი** / **ქუდმეხმარით!** (მარტვ.-სენაკ.) „არიქა! დამეხმარეთ!“

სურ. Fig. Şekil 1.5.9. ფოთი, ქალი / Poti, woman / Poti, kadın
arka! ku-d-m-e-xvar-i-t!
 quick.INTJ AFF-PRV-O1- NV-help. AOR:IMPT-PM-PL
 Hurry! Help me!
 Bana yardım edin!



ამ წინადადებაში მთავარი მახვილი შორისდებულზე მოდის, მაღალი F0-ით ხასიათდება ზმნაც. ეს წინადადებაც მეტწილად იწყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

ამრიგად, ძახილის წინადადებებში მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს, პირველ ან ბოლო მარცვალზე, შესაბამისად, ის ზოგან იწყება აღმავალი, ზოგან – დამავალი ინტონაციური კონტრიტურით. შორისდებულის შემცველ ძახილის წინადადებაში მთავარი მახვილი მეტწილად სწორედ მასზეა, გამონაკლის შემთხვევებში, როცა F0 პიკი ზმნაზეა, შორისდებული მაინც ხასიათდება აღმავალი ინტონაციური კონტრიტურით.

1.6. კითხვით-ძახილის წინადადების ინტონაცია მეგრულში


კითხვით-ძახილის წინადადება იმით განსხვავდება ძახილის წინადადებისაგან, რომ ემოციასთან ერთად კითხვაც ახლავს. ვნახოთ, ეს განსხვავება როგორ აისახება ინტონაციაში.

კითხვით-ძახილის წინადადებები გაანალიზებულია 19 მთქმელის მეტყველების მიხედვით, რომელთაგან 3 იყო სენაკიდან, 2-2 კი – გალიდან, ზუგდიდიდან, ჩხოროწყუდან, წალენჯიხიდან, ხობიდან, მარტვილიდან, აბაშიდან და ფოთიდან. ამათგან 8 ქალია, 11 – მამაკაცი. მათი ასაკი 13-დან 80-ს შორისაა.

თენა / თინა / ინა ვარო, ბოში / ბოი?! „აბა, კაცო?!”

სურ. Fig. Şekil 1.6.1. სენაკი, ქალი / Senaki, woman / Senaki, kadın

tina	var-o	boš-i?!
this/that.DPron-(NOM)	no.NEG-QPTC	boy-NOM:VOC
Isn't it like that, man?!		
Ya?!		



ამ შემთხვევაში მთავარი მახვილი გვხვდება კითხვითი -ო ნაწილაკის წინა მარცვალზე, იშვიათად თვითონ -ო ნაწილაკზე, ზოგ შემთხვევაში კი – მისამართ სახელზე (ბოში „ბიჭო“).


ეს წინადადება თითქმის ყველანა იწყება დაბალი ტონით და მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით, თუმცა წინადადების ფარგლებში როგორც ზმნას, ისე სახელს ახასიათებს HL და LH კონტურები.

ახლა განვიხილოთ კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვით-ძანილის წინადადება:

ჩქიმდა მუ გოკო, ქო მარა?! „ჩემთან რა გინდა, კი მაგრამ?!“

სურ. Fig. Şekil 1.6.2. წალენჯიხა, კაცი / Tsalenjikha, man / Tsalenciha, erkek

čkim-da	mu	g-o- k'o,	ko	mara?!
POSSPron	what.Qpron-	O2-PASS-want-	yes.AFF	but.CONJ
I-ABL	(NOM)	(PRS.S3.SG)		
What do you want from me?!				
Iyi, ama benden ne istiyorsun?!				



ასეთ შემთხვევაში მთავარი მახვილი კითხვით სიტყვაზეა, იშვიათად – წინადადების პირველ წევრზე. ის იწყება აღმავალი და მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ამრიგად, ინტონაციური თვალსაზრისით, კითხვით-ძახილის წინადადება მიჰყვება როგორც კითხვით, ისე ბრძანებით წინადადებას.

1.7. მეგრული სპონტანური მეტყველების ანალიზი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ვიწერდით მეგრული სპონტანური მეტყველების ნიმუშებსაც. სპონტანური მეტყველება გულისხმობს დაუგეგმავ ზეპირ მეტყველებას და ის განსხვავდება არასპონტანური, დაგეგმილი, მეტყველებისაგან.

სპონტანური მეტყველება მონოლოგის, დიალოგისა და პოლილოგის სახით არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მონოლოგისა და დიალოგის დაპირისპირება პირობითია. მონოლოგი და დიალოგი ერთმანეთს მკვეთრად არ უპირისპირდებიან, ზოგჯერ ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ, უფრო სწორად, ერთმანეთს ენაცვლებიან. ხშირად მონოლოგი არ არის რაიმე ცალკე არსებული, იგი დიალოგის ნაწილია, მას მოსდევს მსმენელის პასუხი, შეკითხვა ან რეპლიკა. ე. ი. მოლაპარაკე მონოლოგს წარმოთქვამს მსმენელისათვის, ხოლო მსმენელი მუდამ მზადყოფნაშია, რომ მოლაპარაკეს რაღაც უთხრას. ამას, ბუნებრივია, მოსდევს როლების შენაცვლება: მოლაპარაკე ხდება მსმენელი, ხოლო მსმენელი – მოლაპარაკე. დიალოგის თითოეული მონაწილის რეპლიკა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მონოლოგი (Долинин 1978: 276).

საგრძნობ სხვაობას სპონტანურ და არასპონტანურ მეტყველებას შორის ქმნის ტემპი. არასპონტანური მეტყველება უფრო სწრაფია, ვიდრე – სპონტანური.

ტემპის მიხედვით სხვაობას იწვევს ის, რომ სპონტანური მეტყველებისას მოლაპარაკეს უწევს ფიქრი წინადადების სწორად აგებაზე, აზრის დაღაგებაზე, რაც აისახება ტექსტზე და იწვევს მის ნელ წარმოთქმას. ამავე მიზეზითაა გამოწვეული სპონტანურ მეტყველებაში წინადადების თუ ფრაზის ბოლოკიდური ბერის დაგრძელება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასპონტანური მეტყველების დროსაც მარტვილურსა და სამურზაყანოულს ახასიათებს არა მხოლოდ ბოლოკიდური, არამედ სიტყვათა / წინადადების ამა თუ იმ წევრის შიდა ხმოვნების გაგრძელებით წარმოთქმა, რაც განასხვავებს მათ მეგრულის სხვა კილოკავებისაგან.

ტემპი არა მხოლოდ მეტყველების ფორმის მიხედვითაა განსხვავებული, არამედ კილოკავებიც სხვაობენ ამ მხრივ. მართალია, მეტყველების ტემპი გარკვეულწილად ინდივიდუალურია, მაგრამ მაინც შესამჩნევია, რომ ზუგდიდურ-ჯვარულსა და სამურზაყანოულს უფრო სწრაფი ტემპი ახასიათებს სენაკურ-მარტვილურთან შედარებით.

კილოკავთა განსხვავებულობაზე ტემპზე უფრო მიგვითოთებს მახვილი. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ზუგდიდურ-ჯვარულსა და სამურზაყანოულში სენაკურ-მარტვილურ მახვილზე გაცილებით ძლიერია, რის გამოც სენაკურსა და მარტვილურს უფრო მეტი სრულხმოვნობა და ამოსავალ ფორმათა ქონა ახასიათებს, ეს კი თავისებურ ასახვას პოვებს ამ კილოკავთა ინტონაციაზე, რადგან ქმნის რეაციურებულ და სრულ-ხმოვან ფორმათა დაპირისპირებას.

სპონტანური მეტყველების კიდევ ერთი მახასიათებელია პაუზათა სიმრავლე, რასაც ტემპის შესახებ ზემოაღნიშნული ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ, მთქმელს სჭირდება ფიქრი, ხან სიტყვები ავიწყდება და ამ პროცესში ის დროდადრო კვ ბერათ-მიმდევრობას ან ინა / მუდა „ისა / რაღაც“ სიტყვას წარმოთქვამს.

სპონტანურ მეტყველებაში ცალკე უნდა გამოიყოს მხატვრული ტექსტიც, მაგალითად, ლექსი. ასეთ ტექსტში, არამხატ-

ვრული ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, პაუზები უფრო მოკლეა; ლექსში რიტმი მაქსიმალურად მოწესრიგებულია, სპონტანურ მეტყველებაში – მოუწესრიგებელი.

ზოგადად ცნობილია, რომ სწრაფი ტემპი ახასიათებს მოლაპარაკეს სიხარულისა და აღელვების დროს, ხოლო შენელებული ტემპი – ემოციური განწყობის დაქვეითებისას (Анощенкоva 1980: 88). იგივე თამამად შეგვიძლია ვთქვათ მეგრულის შესახებაც. ჩვენი დაკვირვებით, არათუ ტემპი, ტონალობაც იცვლება ემოციის შესაბამისად, დადებითი განცდებს (სიხარული, აღფრთოვანება) და ბრაზისაც უფრო მაღალი ტონალობით წარმოთქმა ახასიათებს, ვიდრე – სიბრალულისა თუ სინანულის გადმოცემას.

საყურადღებოა ისიც, რომ სპონტანური ტექსტი არასპონტანურზე უფრო მაღალ ტონალობაში წარმოითქმის. ასევე, ისიც ცნობილია, რომ ქალებს უფრო მაღალი ტონალობა აქვთ, ვიდრე – კაცებს. იგივე სურათი გვაქვს მეგრელების შემთხვევაშიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზს უსვამენ იმასაც, რომ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც განსხვავებული ტონალობა აქვთ. მაგ.: ამერიკელი კაცი უფრო დაბალი ტონით მეტყველებს, ვიდრე გერმანელი (Scherer 1979), იაპონელი ქალი ამერიკელ ქალზე უფრო მაღალი ტონალობის მატარებელია (Ohara 1992), ბელგიელი ქალის გერმანული გერმანელი ქალის გერმანულზე უფრო მაღალი ტონალობით ხასიათდება (Bezooijen 1993).

სპონტანური ტექსტის კიდევ ერთი მახასიათებელი ისაა, რომ მთემელმა შეიძლება წინადადება არც დაასრულოს, განყვიტოს ვითარების შესაბამისად.

თავი II

ლაზური ინტონაციის საკითხები

2.1. სიტყვათმახვილი ლაზურში

ლაზურში მახვილის საკითხების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არის მოსაზრებები როგორც მის ადგილზე, ისე – ბუნებაზე.

6. მარი მიიჩნევდა, რომ ლაზურში მახვილი ბოლოსწინა ხმოვანზეა (Mapp 1910: 4). ი. ყიფშიძეს „ჭანურ ტექსტებში“ ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე ხმის ამაღლება სიგრძის ნიშნით აქვს გადმოცემული: გერი გოიქთეს „უკან დაბრუნდენ“ (ყიფშიძე 1939: 37).

არნ. ჩიქობავა ლაზური მახვილის შესახებ შენიშნავს, რომ „მახვილის მხრივ ჭანური მართალია ქართველური მეტყველების ნიმუშს წარმოადგენს: მახვილი სუსტია, მისი ადგილი სიტყვაში ამიტომაც საძებარი გამხდარა; ძებნის შედეგად იმასვე ვიღებთ, რაც ქართულის შესახებაა ცნობილი: ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამ- და მეტ-მარცვლიანებში ბოლოდან მეორე მარცვალზე“ (ჩიქობავა 1936: 41). ის დასძენს, რომ ათინური და არქაბული ტექსტების ჩანერისას აქა-იქ „დადასტურებული იქნა ტონური მახვილის (თუ ტონური მახვილის ტიპის ხმის ამაღლების!) არსებობა ჭანურში“ (ჩიქობავა 1936: 41).

არნოლდ ჩიქობავა ათინურის ამ მოვლენას უკავშირებს ქართული ენის მთის კილოებში (მოხეურში, ხევსურულსა და მთიულურში) ნაშთის სახით შემონახულ თავისებურ აქცენტუაციას, რომელიც სიტყვებს ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, მაგ.: ხევს. „მე არაფერი მეყურების, როგორც ახლა დათვებსა არ ეყურების“ (ჩიქობავა 1936: 41-42). ამას-

თან დაკავშირებით ლ. ბორისე შენიშნავს, რომ არაა ცხადი, ეს მაღალი ტონი სიტყვათმახვილის ატრიბუტია თუ ფრაზის / წინადადების პროსოდიის (Borise 2019: 37).

ს. ულენტი ლაზური მახვილის საკითხებს იკვლევდა სარფულ თქმასა და არქაბულ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებისას. მისი აზრით, ლაზურში ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, სამმარცვლიანებში – ბოლოდან მესამეზე (ულენტი 1953: 190-191), თუმცა აღნიშნავს, რომ ჭანურში მახვილი სიტყვებს ბოლოდან პირველ მარცვალზედაც მოუდის ზოგჯერ: ქვა „ქვა“, მსვა || ფსვა „ფრთა“ (ულენტი 1953: 192-193).

მონოგრაფიაში „ათინური ლაზური“ ადგილი ეთმობა მახვილის საკითხესაც. კვლევა ეყრდნობა ორი მთემელის მეტყველებას (Öztürk & Pöchtrager 2011: 3). სიტყვათმახვილზე მსჯელობისას ისინი სიტყვათა მარაგს ყოფენ ორ ჯგუფად: ზმნები და არაზმნები. მათი დასკვნით, არაზმნებს მახვილი მოუდით ბოლოსწინა ხმოვანზე... ასევე, აღნიშნულია, რომ მახვილი ადგილს იცვლის, როცა მანარმოებელი ემატება: ბერე „ბავშვი“ → ბერეფე „ბავშვები“ (Öztürk & Pöchtrager 2011: 18).

ამავე მონოგრაფიაში ავტორები აღნიშნავენ, რომ გაცილებით რთული ვითარებაა ზმნებში, რასაც ლაზური ზმნის მორფოლოგიის სირთულე განსაზღვრავს. ავტორები მახვილს აფიქსირებენ როგორც ბოლოსწინა, ისე ბოლოდან მეორე, ბოლოდან მესამე, ბოლოდან მეოთხე და ბოლოდან მეხუთე ხმოვანზეც (Öztürk & Pöchtrager 2011: 19).

ჩვენს ნაშრომში ლაზურის მახვილის შესასწავლად გაანალიზებულია 18 მთემელის მასალა, ამათგან 2-2 ართვინისა და რიზეს პროვინციებში შემავალი ყველა ლაზური რაიონიდან, 2 გამოღმა სარფიდან და 2 მუჰაკირთა წარმომადგენელიც, აქედან 10 მამაკაცი, 8 – ქალი. მათი ასაკი 25-დან 89 წლამდეა.

ჩავიწერეთ სიტყვები მარცვლიანობის (1-დან 7-მდე) მიხედვით, მაგალითად:

- 1 σ: და „და“, ხჩე / ქჩე „თეთრი“;
- 2 σ: ნანა „დედა“, ბაბა „მამა“;
- 3 σ: დოლოხე „შიგნით“, დოლობუ „ჩასხმა“, გიანი / გურუნი / გუუნი ,ვირი“;
- 4 σ: მოლახუნუ „შიგ ჯდომა“, დოლოხენი „შიგნითა“;
- 5 σ: მოლახუნერი / მოლახუნეო „ჩამჯდარი, შიგ დამწყვდეული“, დოლოხუნერი / დოლოხუნეო „ჩამჯდარი, ჩაჯენილი“;
- 6 σ: დოლოჯუმორელი / დოლოჯუმოელი „ჩაძმარებული“, მოლაჭოფინერი / მოლაჭოფინეო „მომწყვდეული“;
- 7 σ: დოლოკაპეტანაფა „ჩამაგრება“
საანალიზო მასალაში ყველა მარცვალი არის CV ტიპისა, მაგრამ ორმარცვლიანებში ურევია ერთი CCV სტრუქტურის მარცვალიც. მეგრულის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მახვილის ადგილი განსაზღვრულია მარცვლის ხანგრძლივობის მიხედვით.
ექსპერიმენტის შედეგები შეჯამებულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

მეგრულ-ლაზური ინტონაცია

ცხრილი 2. მახვილის ადგილი ლაზურში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით

რაოდენობა	სიტყვა	მახვილიანი ა	თანამშევრულის მქანენი ა	F0 და ინტენსივობა
1 ს	და			
	ხჩე			
2 ს	ნანა	1-ლი		მაღალი F0 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
	ბაბა	1-ლი		მაღალი F0 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
3 ს	გიონი / გუ(რ)უნი	მე-2		მაღალი F0 მე-2 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-2 ს-ზე
	დოლობუ	მე-2		მაღალი F0 მე-2 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 ს-ზე
	დოლოხე	მე-2		მაღალი F0 მე-2 ს-ზე ან 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-2 ან 1-ელ ს-ზე
4 ს	მოლახუნუ	ბოლოსნინა		მაღალი F0 ბოლოსნინა ს-ზე ან მე-2 ს-ზე (სარფი); მაღალი ინტენსივობა მე-2 ს-ზე
	დოლოხენი	ბოლოსნინა		მაღალი F0 ბოლოსნინა ს-ზე ან მე-2 ს-ზე (სარფი); მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
5 ს	მოლახუნედი / მოლახუნერი	ბოლოდან მე-3 ან ბოლოსნინა	მე-2 / 1- ლი	მაღალი F0 მე-2 (სარფი), ბოლოსნინა ან ბოლოდან მე-3 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-2 ს-ზე
	დოლოხუნედი / დოლოხუნერი	ბოლოდან მე-3 ან ბოლოსნინა	მე-2 / 1- ლი	მაღალი F0 ბოლოსნინა ს-ზე ან მე-2 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ს-ზე
6 ს	დოლოჯუ- მო(რ)ელი	ბოლოსნინა ან ბოლოდან მე- სამე	მე-2 / 1- ლი	მაღალი F0 ბოლოდან მე-2 ან 1-ელ ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-2 ან ბოლოდან მე-2 ს-ზე
	მოლაჭოფინედი / მოლაჭოფი- ნერი	ბოლოსნინა, ბოლოდან მესა- მე ან მეოთხე	მე-2 / 1- ლი	მაღალი F0 მე-2 (სარფი) ან ბოლოდან მე- 2, მე-3 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა მე-2 ს-ზე
7 ს	დოლოკაპეტა- ნაფა	ბოლოსნინა, ბოლოდან მე- სამე ან ბოლო- დან მეოთხე	მე-2 / 1- ლი	მაღალი F0 მე-3 ან ბოლოდან მე-3 ს-ზე; მაღალი ინტენსივობა ბოლოდან მე-3 ს-ზე

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგად მეტ-ნაკლებად გამყარდა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრი მახვილის ადგილის შესახებ, მაგრამ არის გარკვეული განსხვავებებიც, კერძოდ, ლაზურში ორ-, სამ- და ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოსწინა მარცვალზეა, ხუთ და ექვსმარცვლიანში – ბოლოსწინა ან ბოლოდან მესამე მარცვალზე, ხოლო შვიდმარცვლიანებში – ბოლოსწინაზე, ბოლოდან მესამე ან ბოლოდან მეოთხე მარცვალზე. ლაზურში ხუთ- და მეტმარცვლიან სიტყვებში თანამახვილი გვაქვს მე-2 ან 1-ელ მარცვალზე.

ს. ჟღენტი არ გამორიცხავს, რომ ლაზურისთვის ამოსავალშივე ყოფილიყო დამახასიათებელი მახვილი ბოლოსწინა მარცვალზე; ამ მოვლენას არნ. ჩიქობავაც ქართულის მთის დიალექტებს უკავშირებს (ჩიქობავა 1936: 41-42), მაგრამ ჩვენი აზრით, არც ისაა გამორიცხული, რომ ლაზურში სიტყვათმახვილის ადგილი თურქულის გავლენას მიეწეროს, რადგან ს. იფექის მიხედვით, თურქულს ახასიათებს მახვილი მეტნილად ბოლოკიდურ მარცვალზე (Ipek 2015).

ლაზური მახვილის ადგილის კვლევის ისტორიისთვის მეტად საყურადღებოა ჰოლანდიელი თურქოლოგის ბერტ ბრედ-მუნის მოსაზრება. მან ლაზურისთვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებები გამოავლინა. მისი დაკვირვებით, რიზე-ტრაპიზონის თურქულში მახვილი დინამიკურია და სუსტი; ამასთან, მოძრავია და არაფიქსირებული, როგორც სალიტერატურო თურქულ ენასა და ზოგადად – თურქულ ენობრივ სისტემაში: „საკმაოდ ბევრ სიტყვაში კი – არამარტო ნასესხებ, არამედ ძირეულ ფორმებში – მახვილი პირველ მარცვალზე მოდის“ (Brendemoen 1989). ლაზურში პირველ მარცვალზე მახვილი არ გვხვდება, საინტერესო აზრია, მაგრამ ცოტა რთული წარმოსადგენია, პირველ მარცვალზე ლაზურის გავლენით იყოს მახვილი რიზე-ტრაპიზონის თურქულში, რადგან თვითონ ლაზურში ბოლო ან ბოლოსწინა მარცვალია მახვილიანი. ლაზურ მახვილზე დაკვირვება მეოცე საუკუნეში დაიწყო, უფრო ადრინ-

დელ ჩანაწერებზე დაკვირვების საშუალება არ გვაქვს, ასე რომ, ვერც დავუშვებთ და ვერც უარვყოფთ, რომ ისტორიულად შე-იძლებოდა პირველ მარცვალზე ყოფილიყო მახვილი და ეს ასახულიყო რიზე-ტრაპიზონელთა თურქულში.

ცხრილში ჩანს, თუ რომელი მარცვლები გამოირჩევა მეტი ინტენსივობით და რომელ მარცვლებზეა მაღალი F0 (ფუნდა-მენტური სიხშირე). ახლა კი თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ სურათებს სხვადასხვა მარცვლიანობის მქონე სიტყვების F0 კონტურისა.

დავინტყოთ ერთმარცვლიანი სიტყვების F0 კონტურით:


სურ. Fig. 2.1.1. ჩხალა (დუზქოი), ქალი / Ckhala (Duzkoy), woman / Çala (Düzköy), kadın

da

sister-(NOM)

sister

kız kardeş



ორმარცვლიანებში მაღალი F0 მეტნილად მეორე მარცვალზეა:


სურ. Fig. Şekil 2.1.2. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

nana

mother-(NOM)

mother

anne




სამმარცვლიან სიტყვებს მაღალი F0 მეორე მარცვალზე აქვთ:

სურ. Fig. Şekil 2.1.3. ხოფა, კაცი / Khopa, man / Hopa, erkek
dolobu

pour into.INF-(NOM)

pour into

içine dökmek



ოთხმარცვლიან სიტყვებში მაღალი F0-ით ხასიათდება მეტწილად ბოლოსწინა მარცვალი, იშვიათად – მეორე ან პირველი მარცვალიც:


Սյու. Fig. Şekil 2.1.4. արդաշեն, կալո / Artashen (Ardeşen), woman / Ardeşen, kadın

molaxunu

sit inside.INF-(NOM)

sitting inside

kapalı bir yerde oturmak



Եղերմարպալուն և գույզը մալալու F0 այլ ծովութեան ան մշտը մարպալնե, օժաւատագ – ծովութան մշտին:


სურ. Fig. Şekil 2.1.5. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek

molaxun-er-i

sat in smth.PTCP-NOM

sat in smth

kapalı bir yerde oturmuş



ექვსმარცვლიანებს მაღალი F0 ახასიათებთ ბოლოდან მეოთხე ან მესამე მარცვალზე, იშვიათად კი – მეორე მარცვალზე (სარფი):


სურ. Fig. Şekil 2.1.6. ვიწე (ფინდიკლი), კაცი / Vitse (Findikli), man / Vitse (Findikli), erkek

molač'opin-ej-i

cornered.PTCP-NOM

cornered

kapali bir mekanda yakalanmiş



შვიდმარცვლიან სიტყვებს მაღალი F0 აქვთ მესამე ან ბოლოდან მესამე მარცვალზე:


სურ. Fig. Şekil 2.1.7. ვიჟა (ჩამლიჰემშინი), კაცი / Vija (Chamlihemshin), man / Vija (Çamlıhemşin), erkek

dolok'ap'et'anapa

embed.INF-(NOM)

to embed

içine sağlamlaştırmak



ი. ყიფშიძის ტექსტებზე დაყრდნობით, ს. ულენტი წერს, რომ თურქულიდან შემოსული სიტყვები: აღა, კადა, მუჭტრ, ბერძნული დულა და სხვ. მისთანანი მახვილს ბოლოდან პირველ მარცვალზე ატარებენ. მისი თქმით, ამ სიტყვების წარმოთქმაში ჩანს თურქულის გავლენა (ულენტი 1953: 193). ასევე, ხაზს უსვამს იმას, რომ თანდებულიანი სახელები ბოლოდან მეორე მარცვალზე ატარებენ მახვილს, მაგ: გაარიშენი „საჭმლისთვის“ (ულენტი 1953: 193). ის მიუთითებს ჭანურ-მეგრულში ხუთმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილის არსებობაზე: ბოლოდან მეხუთეზე და მესამეზე, მაგ.: ჭან. ქრდილრქუნუ „ჩაიცვა“ (ულენტი 1953: 194).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება ეთმობა მახვი-

ლის ფონოლოგიურ ლირებულებას ლაზურში. ფევზი-ბეის მიერ მიწოდებულ მასალებს, სადაც მახვილი გრამატიკულ ფორმებს ასხვავებს ერთმანეთისაგან, აკად. 6. მარმაც მიაქცია ყუ-რადლება (Mapp 1910: 6), მაგრამ, როგორც ჩანს, საკმაოდ დამა-ჯერებლად არ ცნო და შემთხვევითობას მიაწერა.

მახვილის ფონოლოგიურ ლირებულებას ლაზურში, კერ-ძოდ, არქაბულში სპეციალური სტატია მოუძღვნა 6. ქუთელიამ. ის არქაბულის მახვილს დინამიკურ-მუსიკალურად მიიჩნევს. მისი თვალსაზრისით, დომინირებს საკმაო სიძლიერის ტონური მახვილი, თუმცა არც დინამიკური მახვილია სუსტად გამოხა-ტული (ქუთელია 1984: 227-228). იქვე აზუსტებს, რომ ის საკმაო სიძლიერის დინამიკურ-ტონურია, ოღონდ დომინირებს ტონუ-რი (ქუთელია 1984: 229).

მისი დაკვირვებით, არქაბულ კილოკავში ფონოლოგიური ოპოზიციის წევრებად გამოდის ტონური და დინამიკური მახვი-ლი. ის ფიქრობს, რომ სამმარცვლიან სიტყვებში უმეტესად ასე-თი დაპირისპირებანი გვაქვს: დინამიკური ~ ტონური, მაგ.: ამადუ (ტონური) – ამოდება (პირში) ~ ამადუ (დინამიკური) – მოედო (მას პირში), რშუ – დალევა (ტონური) ~ რშუ (დინამიკუ-რი) – დალია (მან)... (ქუთელია 1984: 229).

იმავე არქაბულში „ხშირად ზმნის ინფინიტივი ან ნაზმნა-რი სახელი წყვეტილში ზმნის მესამე პირისაგან ფორმით არ განსხვავდება; განსხვავებას აქ ქმნის მხოლოდ მახვილის ადგი-ლი, რომელიც ინფინიტივურ ფორმას ორმარცვლიან სიტყვებში სიტყვის თავში მოუდის, ხოლო ზმნის მესამე პირის ფორმას ბო-ლოში, მაგ.: რშქუ – გაგზავნა ~ ოშქუ – მან გაგზავნა... (ქუთე-ლია 1984: 230). ეს ჩვენი ექსპერიმენტითაც დასტურდება.

მეგრულ-ლაზური ინტონაცია


სურ. Fig. 2.1.8. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

ošku

send.INF-(NOM)

send

göndermek




სურ. Fig. Şekil 2.1.9. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

ošku

OV-send-S3.SG

he/she sent he/she/it

gönderdi



იგივე მოვლენა ჩვენ დავადასტურეთ ვიწურში, არტაშენურში, ვიუურსა და ათინურშიც, კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როცა ემთხვევა საწყისისა და მესამე პირის ფორმები.


სურ. Fig. Şekil 2.1.10. ვიჟა (ჩამლიჰემშინი), კაცი / Vija (Chamlihemshin), man / Vija (Çamlıhemshin), erkek

ošku

send.INF-(NOM)

send

göndermek




სურ. Fig. Şekil 2.1.11. ვიჟა (ჩამლიჰემშინი), კაცი / Vija (Chamlıhemshin), man / Vija (Çamlıhemshin), erkek

ošku

OV-send-S3.SG

he/she sent he/she/it

gönderdi



6. ქუთელია არქაბულში ასხვავებს ზმნის ფორმათა ისეთ მნიშვნელოვან ნიუანსებს, რომელიც ქართულში არ გვხვდება, მაგ.: ოჭკომაფუ – „შეაჭამა“ ~ ოჭკომაფუ – „შეაჭამა“ (ძალით, მას არ უნდოდა), ან ოჭკომაფეს – აჭმევდნენ (მოქმედება გრძელდება ამ მომენტამდე), ოჭკომაფეს – უკვე აჭამეს (ძალით აიძულეს ეჭა-მათ) (ქუთელია 1984: 230). ვერც ამ და ვერც სხვა ფორმებში ამ-გვარი ნიუანსი ჩვენ ვერ დავადასტურეთ არქაბულში.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფონოლოგიური ოპო-ზიციის წევრებად გამოდიან მახვილიანი და უმახვილო მდგომა-რეობა, მაგ.: გამალუ – გამოვარდნა, გამალუ – ის გამოვარდა (ქუთელია 1984: 229). ჩვენი ექსპერიმენტით, მახვილი ორივეგან

ბოლო მარცვალზეა, მასდარში მაღალი F0 აქვს მეორე მარცვალს, ზმნაში კი – პირველს.

ჩვენი ექსპერიმენტით, მახვილის ფონოლოგიური ლირებულება ვერ დასტურდება ისეთ შემთხვევებშიც, როცა 6. ქუთელია ერთმანეთისაგან ასხვავებს განგრძობით და ზოგად ანმყოს (ბიმტაფუთ - გავრბივართ (ახლა), ბრმტაფუთ - გავრბივართ (საერთოდ, დრო არ არის დაზუსტებული) (ქუთელია 1984: 229).

ს. ულენტი აღნიშნავს, რომ მეგრულის მსგავსად ჭანურში მახვილი მოძრავია. ჭანურში დაძახებისას მახვილი ბოლო ხმოვანზეა: ნანა („დედა!“), მაგრამ რამდენჯერმე დაძახებისას გამოურია: ნანა! (ულენტი 1953: 195). მახვილი რომ მოძრავია, ეს ჩვენი ექსპერიმენტითაც დადასტურდა.

ამრიგად, ლაზურში ორ-, სამ- და ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოსწინა მარცვალზეა, ხუთ- და ექვსმარცვლიანებში მახვილიანია ბოლოსწინა ან ბოლოდან მესამე მარცვალი, ხოლო შვიდმარცვლიანებში მახვილი ბოლოსწინა, ბოლოდან მესამე ან ბოლოდან მეოთხე მარცვალზე გვხვდება.

ლაზური მახვილი მოძრავია და დინამიკური. ტონის ამაღლება (ანუ ტონური მახვილი) უფრო ფრაზისა და წინადადებისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე სიტყვისთვის, თანაცარა ყველგან, აშკარად შესამჩნევია არქაბულში და ვიუურ-არტაშენულში.

2.2. თხრობითი წინადადების ინტონაცია ლაზურში

ლაზურშიც შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა.

თხრობით ინტონაციას, ჩვეულებრივ, ახასიათებს წინადადების დასრულება დამავალი კონტურით, მაგრამ წინადადების დანარჩენი სიზტაგმები შესაძლოა სინტაქსური წყობის წინადა-

დებების ტიპის მიხედვით სხვა ტიპის ინტონაციური კონტურებითაც იყოს გაფორმებული (ლეუავა 2018: 15).

ლაზური თხრობითი წინადადების ინტონაციაც ცალკე შესწავლის საგანი არასოდეს გამხდარა, თუმცა ოზთურქისა და პეტრაგერის მონოგრაფიაში „ათინური ლაზური“ განხილულია ათინურის სიტყვათა რიგი და მოყვანილია წინადადებები, მათ შორის, თხრობითიც და დახასიათებულია ინტონაციის მიხედვითაც. მაგ.: **მა სი გომოჭრნდრი** „მე შენ დამავიწყდი“. მათი დაკვირვებით, ასეთ წინადადებაში მახვილი მოდის ზმნაზე და წინადადებას აქვს დამავალი ინტონაცია (Öztürk & Pöchtrager 2011: 146).

ამავე ნაშრომში აღნიშნულია, რომ მახვილი შესაძლოა მოდიოდეს პირდაპირ ობიექტზეც ან ზმნაზე: **ალიქ ჩითაბი დორქეჟ** „ალიმ წიგნი წაიკითხა“ (მახვილი მოდის ზმნაზე, ინტონაცია დამავალია) ან **ალის ტელეფონი ვუხენი** „ალის დავურეკე“ (მახვილი მოდის ობიექტზე (სინამდვილეში ტელეფონი ფრაზული ზმნის სახელური ნაწილია), ინტონაცია დამავალია) (Öztürk & Pöchtrager 2011: 146).

ნაშრომში, ასევე, ხაზგასმულია, რომ წინადადებაში, სადაც გვაქვს ირიბი ობიექტი ან ობიექტი საერთოდ არაა წარმოდგენილი, მახვილი მოდის ზმნაზე და ინტონაცია დამავალია: **შკუ ირიქ სი მეგონერტით** „ჩვენ ყველა შენ გიყურებდით“ (Öztürk & Pöchtrager 2011: 146).

ჩვენი კვლევა მოიცავს ლაზურის ყველა კილოკავს. გავაანალიზეთ 18 მთემელის მასალა, თითოეული კილოკავის 2-2 წარმომადგენელი, ასევე, 2 მუჰაჯირთა შთამომავალი და 2 მთემელი გამოღმა სარფიდან. მარტივთან ერთად განვიხილავთ შერწყმულ და რთულ წინადადებებსაც, რადგან, შინაარსის მიხედვით, ისინი თხრობით წინადადებას განეკუთვნება.


მარტივი წინადადება

ლაზური თხრობითი წინადადების ინტონაციის გაანალიზებას დავიწყებთ მარტივი წინადადებით:

მა ოხოის ვო(რ)ე (ხოვ.) / **მა ოხოის ბოთ** (არქ.) / **მა ოხოიზ ბორე** (ვინ.) / **მა ოხორი ვორე** (არტ., ვიუ.) / **მა ოხორის ვორე** (ათინ.) „მე სახლში ვარ“.

სურ. Fig. Şekil 2.2.1. ვიუა (ჩამლიჰემშინი), კაცი / Chamlıhemşin, man / Çamlıhemşin, erkek

ma	oxor-i	v+ore.
I.PersPron1-(NOM)	home-NOM.- (DAT)	S1-be.PRS
I am at home.		
Ben evdeyim.		



საანალიზო წინადადებაში სარფულ მეტყველებაში მახვილი ქვემდებარებზეა, სხვა კილოკავებში მახვილი მოუდის ადგილის გარემოებას. სარფულში წინადადების ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალია, სხვა კილოებში დამავალ-აღმავალ-

დამავალი.

ლაზურშიც სიტყვათა რიგი გარკვეულწილად თავისუფალია, ანუ სიტყვათა თანმიმდევრობის შეცვლა არ იწვევს შინაარსის ცვლილებას. იმავე წინადადებას წარმოვადგენთ შეცვლილი სიტყვათა რიგით:


ოხოის ვო(რ)ე მა (ხოჯ.) / ოხოიზ ბოო მა (არქ.) / ოხოიზ ბოე მა (ვიჩ.) / ოხორი ვორე მა (არტ., ვიუ.) / ოხორის ვორე მა (ათინ.) „სახლში ვარ მე“.

სურ. Fig. Şekil 2.2.2. ვიწე (ფინდიკლი), კაცი / Vitse (Findikli), man / Vitse (Findikli), erkek

oxoj+i-z
home-DAT
I am at home.
Evdeyim ben.

b-o+re
S1-be.PRS

ma.
I.PersPron1-(NOM)



მთავარი მახვილი ამ შემთხვევაში ყველა კილოკავში ადგილის გარემოებაზეა, ინტონაცია კი – აღმავალ-დამავალია.

შერწყმული წინადადება

ახლა გავაანალიზოთ ლაზური შერწყმული წინადადების ინტონაცია:


მა უშქიო, მცხული დო ბული ჰეფთენ პყოოფ (ხოჯ.) / მა მევეეფეს ღიდო პორომ: მსხული, უშქუო, მბული, ანტამა (არქ.) / მა უშქუო, მცხული დო ბული ღიდო პორომ (ვინ.) „მე ვაშლი, ბალი და მსხალი / ვაშლი, მსხალი და ბალი / მსხალი, ვაშლი, ბალი და ატამი ძალიან მიყვარს“.


სურ. Fig. Şekil 2.2.3 (1) (2). არქაბი (არჟავი), კაცი / Arkabi (Arhavi) / Arkabi (Arhavi)

ma	mejv-ep-e-s	dido	p-'or-om:
I.PersPron1- (DAT)	fruit-PL-DAT	very.-ADVM	S1.-love-
mcxul-i, pear-NOM	uškuj-i, apple-NOM	mbul-i, cherry-NOM	PRS-THM ant'ama. peach-NOM

As for fruit, I love pears, apples, cherries, peaches.

Ben meyvelerden en çok armut, elma, kiraz, şeftali severim.





ასეთ წინადადებაში მთავარი მახვილი მოდის რიგით პირველ ან მეორე პირდაპირ დამატებაზე („უშქიო / უშქუო „ვაშლი“), თუმცა ყოველი პირდაპირი დამატება აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება და წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება. ყველა კილოკავში ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალ-აღმავალ-დამავალია.

არტაშენელმა მთქმელებმა წინადადება ასე ააგეს: **მა მაოროფენ: მსხული, ბული, ოშკური „მე მიყვარს: მსხალი, ბალი, ვაშლი“.**

ამ შემთვევაში F0 პიკი მოვიდა ქვემდებარეზე, ზმნაზე დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს, რომელიც მაღლდება პირველ პირდაპირ დამატებაზე, მერე კი ისევ დაბლდება.

ათინელმა მთქმელებმაც ერთგვარი წევრები უკავშიროდ შეაერთეს: **ოშქური, ბული, მცხული ოფშა მალიმბენ „ვაშლი, ბალი, მსხალი ძალიან მიყვარს“.**

ამ წინადადებაში მაღლალი F0 რიგით პირველ (ოშქური „ვაშ-

ლი“) და მესამე (მცხული „მსხალი“) პირდაპირ დამატებებზეა, მთავარი მახვილი გვხვდება გარემოებაზე (ოფშა „ძალიან“) და წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.


რთული წინადადება

წარმოვადგინოთ ლაზური რთული წინადადების ინტონაციის ანალიზი. ლაზურშიც, სხვა ენათა მსგავსად, რთული წინადადება ორგვარია: თანწყობილი და ქვეწყობილი.

თავდაპირველად განვიხილოთ რთული თანწყობილი წინადადება:

თუთაქ იბირს დო ჩქინ ვუსიმინთ (ხოთ.-ჩხალ.) / თუთაქ იბირს დო ჩქუ ბუუჯამთ (არქ.) / თუთაქ ტრალუდამზ დო ჩქუ ბუუჯამთ (ვინ.) / თუთა ტრალუდუა დო შქუ ვიუჯამთ (არტ., ვიუ.) / თუთაქ ტრალუდუმს დო შქუ ვიშკირთ (ათინ.) „თუთა მღერის და ჩვენ ვუსმენთ“.

ეთერ შენგელია მაია მემიშიში ნათია ფონიავა



ასეთ წინადადებაში ლაზურში აღმავალი ინტონაციური კონტური მეორე ქვემდებარესაც აქვს, თუმცა მთავარი მახვილი პირველ ქვემდებარეს მოუდის. წინადადება აღმავალი ინტონაციური კონტურით იწყება და დამაკლიტ მთავრდება.

განვიხილავთ რთულ ქვეწყობილ წინადაღებასაც:

აია ბერე იმგაუ, იმგაუ, ამა მითიქ ვა მენდანკედუ (ხოფ.) / ჰამ ბერე იმგარუ დო იმგარუ, ამა მითიქ ვა ოწკედუ (არქ.) / ჰამ ბერე იმგარუ, იმგარუ დო მითიქ ვარ ოწკედუ (ვინ.) / ჰამ ბერე იმგარუ დო იმგარუ, ჰამა მითი ვა ცალუ (არტ., ვიუ.) „ამ ბავშვმა იტირა, იტირა, მაგრამ არავინ არ მიხედა“ (ამ წინადაღების არ-

ქაბულ ვარიანტში ზმნები დო „და“ კავშირითაა შეერთებული, ვიწელმა მთქმელებმა კი ამა „მაგრამ“ კავშირის ნაცვლად დო „და“ გამოიყენეს).

სურ. Fig. Şekil 2.2.5 (1) (2). სარფი (საქართველო), კაცი / Sarpi (Georgia), man / Sarpi (Gürcistan), erkek


a ja bee-k	i-mga-u,	i-mga-u,	ama
this.DEMP child-ERG	SV-cry-	SV-cry-	but-CONJ

AOR.S3.SG AOR.S3.SG


miti-k	va	meda-c'k'-e-d-u.
somebody.DEF Pron-ERG	no. Neg	PRV-pay attention-Aor- PM.S3.SG

This child cried and cried, but no one looked at || paid attention to him/her.

Bu çocuk ağladı ve ağladı ama kimse bakmadı / ilgilenmedi.



(1)



(2)

ასეთ შემთხვევაში მახვილი მოუდის მთავარი (**ბექ / ბერე / ბერე „ბავშვმა“**) ან დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს, მერე აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდებიან კავშირებიც (**დო „და“, ამა / ჰამა „მაგრამ“**), არტაშენურსა და ვიუურში კი – განსაზღვრება და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს, წინადადება ყველგან დამავალი კონტურით მთავრდება.

არქაბულში ეს წინადადება იწყება დამავალი ინტონაციური კონტურით, რომელიც მაღლდება მთავარი წინადადების ქვემდებარესა და ჰირველ ზმნაზე, შემდეგ დაბლდება, ისევ მაღლდება კავშირსა და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეზე, წინადადება კი მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ათინელმა მთქმელმა წინადადება განსაზღვრებისა და კავშირის გარეშე ააგო: **ბერექუ იბგარუ დო იბგარუ, მითიქ ვა ცალუ** (ათინ.) „ბავშვმა იტირა და იტირა, არავინ არ მიხედა“. აქ აღმავალი ინტონაციური კონტური მოუდის მთავარი წინადადების ზმნებს და წინადადება დამავალი კონტურით მთავრდება.

ერთმა არტაშენელმა მთქმელმა კი მთლიანად უკავშირო შეერთება არჩია: **იბგარუ, იბგარუ ჰამ ბერე, მითი ვარ ონედუ**


„იტირა, იტირა ამ ბავშვმა, არავინ არ მიხედა“. ასეთ ფროს აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს მთავარი წინადადების პირველ ზმნასა და ქვემდებარეს, დამოკიდებულ წინადადებას მთლიანად დამავალი ინტონაცია აქვს.

განვიხილოთ -ნა ნაწილაკიანი რთული წინადადებაც:

ა ოხოლ, მანა ვირდი, ოხოლ ჯენ (ხოთ.-ჩხალ.) / ჰამ ოხოლ, მანა ბირდი, ოხოლ ჯენ (ვიწ., არქ.) / ჰამ ოხორი, მანა ვირდი / ვიმორდი, ოხორ(ი) ონ (არტ., ვიუ., ათინ.) „ეს სახლი, მე რომ გავიზიარდე, (ის) სახლია“.

სურ. Fig. Şekil 2.2.6. არტაშენი, კაცი / Artashen (Ardeşen), man / Ardeşen, erkek

ham oxor-i,	ma	na
this.DEMP house-NOM	I.PersPron1-(NOM)	that.-CONJ
v-i-mord-i,	oxor	o-n.
S1-PASS-grow up.AOR-PM	home-(NOM)	be-S3.SG-PRS
This is the house where I grew up.		
Bu ev benim büyüdüğüm evdir.		



ხოთურში, ვინურში, არქაბულსა და ათინურში აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს განსაზღვრებას და დამოკიდებუ-

ლი წინადადების ზმნას, ვიჟურში კი – მხოლოდ ა / **ჰამ ოხორი „ეს სახლი“ შესიტყვების ბოლო წევრს (ოხორი „სახლი“), წინა-დადება დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.**

ეს წინადადება გამოლმა სართვი ქართულ წყობას მიჰყება და ასე ითქმის: **ახა და ოხორი ხენ, სოთხანი მა ვირდი** (სარფ.) „ეს ის სახლია, სადაც მე გავიზარდე“. ამ შემთხვევაში მთავარი მახვილის მატარებელი განსაზღვრებაა (**ახა „ეს“**), ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალია.

ლაზურში გვაქვს -ში / -სი ნაწილაკიანი რთული ქვეწყობილი წინადადებაც:


მოხტუში, ოხორი იჭვეტუ (ხოფ., არქ., ვინ.) / **მოხტუსი, ოხორი იჭვერტუ** (არტ., ვიჟ.) / **მოხტუსის, ოხორი იჭვეტუდო-ორტუ** (ათინ.) „რომ მოვიდა, სახლს ცეცხლი ეკიდა“.

სურ. Fig. Şekil 2.2.7. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek

mo-xt'-u-si-s,	oxor-i	i-č'v-e-t'u-doort'u
PRV-come-AOR. S3.	home.-NOM	PASS-be on fire.EvidPrft
SG-SUB(that).DAT		I-PM.S3.SG-CLTC

When he came the house was on fire.

Geldiğinde ev yanıyordu.



მთავარი მახვილი მოუდის **-ში** / **-სი** ნაწილაკიან ზმნას, აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება პირდაპირი დამატებაც, წინადადება კი დამავალი ინტონაციით მთავრდება.

ამდენად, მარტივ წინადადებაში მთავარი მახვილი მოუდის ქვემდებარეს ან გარემოებას, შებრუნებული წყობისას კი – წინადადების პირველ წევრს. მას ახასიათებს აღმავალ-დამავალი ინტონაციური კონტური.

შერწყმულ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტურითაა წარმოდგენილი რიგით პირველი და ბოლო ერთგვარი წევრი, წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება. ყველა კილოკაში ინტონაციური კონტური აღმავალ-დამავალია.

რთულ თანწყობილ წინადადებაში მთავარი მახვილი მოუ-

დის ქვემდებარეს ან მის განსაზღვრებას, თუ ისინი წინადადების თავში არიან. თუ წინადადება ზმნით იწყება, მაშინ მთავარი მახვილი ზმნაზეა. ორივე შემთხვევაში წინადადების ინტონაცია დამავალია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე, ზოგ შემთხვევაში – მთავარი წინადადების ზმნაც, როცა ის ზმნით იწყება. **-ნა** ნაწილაკიან რთულ წინადადებაში აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს დამოკიდებული წინადადების ზმნასაც, რადგან ის ხლეჩს მთავარ წინადადებას და მის ბოლოში არ ექცევა. არ აქვს მნიშვნელობა, აგებულების მიხედვით, როგორია წინადადება, ნებისმიერი თხრობითი წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება.

2.3. კითხვითი წინადადების ინტონაცია ლაზურში

ლაზურშიც გვაქვს კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება. კითხვითსიტყვიანი წინადადება გამოხატულია კითხვითი სიტყვებით, არაკითხვითსიტყვიანს კი ლაზურშიც კითხვითი ნაწილაკი გადმოსცემს, რომელიც სახელს ან ზმნას ახლავს. დავიწყოთ კითხვითსიტყვიანი წინადადების ინტონაციის გაანალიზებით.

ჩვენს მონოგრაფიაში კითხვითი წინადადებები გაანალიზებულია 18 მთემელის მეტყველების მიხედვით, ამათგან 2 საქართველოში მცხოვრები ლაზია, 2-2 კი – ისტორიული ლაზეთის ყველა რაიონისა და ორიც მუჰაჯირთა მეტყველების წარმომადგენელი. მათი ასაკი 20-დან 99 წლამდეა.

კითხვითსიტყვიანი წინადადება

როგორც აღვნიშნეთ, კითხვითსიტყვიანი წინადადება გამოიხატება კითხვითი სიტყვებით, კერძოდ, კითხვითი ნაცვალ-სახელებითა და კითხვითი ზმნიზედებით.

ლაზური კითხვითსიტყვიანი წინადადების აქცენტუაციის საკითხების განხილვას ადგილი ეთმობა ს. ულენტის გამოკვლევაში „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“. ავტორის აზრით, კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა ჭანურში ყოველთვის მახვილს ატარებს, მაგ.: მუ პა? – რა ვქნა? (ულენტი 1953: 194).

მეცნიერი იქვე წერს, რომ ოდნავ თავისებურია ტონის მოძრაობა კითხვითი ტიპის ისეთ წინადადებაში, როგორიცაა: მუ რენ აა? – რა არის ეს? ამ შემთხვევაში, მართალია, ტონის ამაღლება კითხვითი სიტყვის ხმოვნით (უ) იწყება, მაგრამ ტონის ყველაზე მეტი აღმავლობა ნაცვალსახელის ბოლო ა-ზეა (აა). ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც კითხვით წინადადებაში მახვილი ფრაზის ბოლო მარცვალზეა, მაგ.: სი მუ გაღოდუ? „შენ რა მოგივიდა?“ (ულენტი 1953: 194).


მონოგრაფიაში „ათინური ლაზური“ განხილულია ათინური კითხვითი წინადადების ინტონაციაც და აღნიშნულია, რომ კითხვითსიტყვიან წინადადებაში მახვილი მოუდის კითხვით სიტყვას, რომლისთვისაც ყველაზე ბუნებრივია ზმნისწინა პოზიციაში დგომა. კითხვითსიტყვიან წინადადებას აქვს აღმავალი ინტონაცია ბოლოში (Öztürk, Pöchtrager 2011: 154).

ლაზურის ყველა კილოკავის მონაცემის გათვალისწინებით, წარმოვადგენთ კითხვით წინადადებას, რომელშიც კითხვითობა გამოხატულია კითხვითი სიტყვით:

მუ ჟენ აა? (ხოფ.-ჩხალ.) / მუნ ოონ ჰაა? (ვინ., არქ.) / მუ ორენ ჰამ? (ვიჟ.) / მუ ონ ჰამ? (არტ.) / მუჟა ონ ჰამ? (ათინ.) „რა არის ეს?“

სურ. Fig. Şekil 2.3.1. არტაშენი, ქალი / Artashen (Ardeshen), woman / Artaşen (Ardeşen), kadın

mu	o-n	ham?
what.Qpron-(NOM)	be-S3.SG-PRS	this.DEMpron-(NOM)
What is this?		
Ne bu?		




ჩვენი ექსპერიმენტით მიღებული შედევი ანალოგიურია ს. ულენტის, ოზთურქისა და პეტრაგერის მიერ არქაბულისა და ათინური კითხვითსიტყვიანი წინადადების ინტონაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებისა. ამ წინადადებაში კითხვითი სიტყვა მაღალი F0-ით ხასიათდება, მაგრამ მთავარი მახვილი არის ქვემდებარებები და წინადადების ბოლოში ინტონაციური კონტური აღმავალია.

ლაზურ კითხვით წინადადებაშიც სიტყვათა რიგი მეტწილად თავისუფალია და კითხვითი სიტყვა, მეგრულის მსგავსად, შეიძლება ჩავსვათ წინადადების შუაშიც:

**ააა მუ ენ? (ხოჯ.-ჩხალ.) / ჰააა მუ ენ? (არქ.) / ჰააა მუნ
ონნ? (ვინ.) / ჰამ მუ ორენ? (ვიუ.) / ჰამ მუ ორენ? (არტ.) / ჰამ
მუდა ონ? (ათინ.) „ეს რა არის?“**

სურ. Fig. Şekil 2.3.2. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın



ლაზურში ამ შემთხვევაშიც მთავარი მახვილი ქვემდებარებულია, მათ შორის მუპაჯირ ლაზთა მეტყველებაში, მაგრამ ათინურში, არტაშენურსა და ვიუურში ზმნაზეა მთავარი მახვილი და წინადადების ბოლოს აღმავალი ინტონაცია გვაქვს.

ისევე როგორც მეგრულში, ლაზურშიც კითხვით წინადადებაში კითხვით სიტყვას შეიძლება დაერთოს სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-ა „ო“:**

მუდა? „რაო?“


სურ. Fig. Şekil 2.3.3. ხოფა, ქალი / Khopa, woman / Hopa, kadın

muj-a?

what.Qpron-DSM3

What?

Ne dedi?



ლაზურის ყველა კილოკავში ასეთ დროს მთავარი მახვილი ნაწილაკზეა და ბოლოში, ცხადია, აღმავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

ორმაგ კითხვითსიტყვიანი წინადადება

ლაზურშიც კითხვით წინადადებაში, რომელსაც ორი კითხვითი სიტყვა აქვს, სუბიექტი უსწრებს ობიექტს:

მიქ მუ ყვასიონ? (ხოფ.) / **მიქ მუ ყვასუნონ?** (ჩხალ.) / **მიქ მუ ყვასენ?** (ვიწ., არქ.) / **მი მუ ‘ასერე?** (ვიუ., არტ.) / **მიქ მუ / მუდა ‘ასერე?** (ათინ.) „ვინ რას იზამს?“

სურ. Fig. Şekil 2.3.4. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek

mi-k

who.Qpron-(ERG)

mu


what.Qpron-(NOM)

‘a-s-ere?

do.FUT-SUBJ-
PM.S3.SG-CLTC

Who will do what?

Kim ne yapacak?



ასეთ შემთხვევაში მთავარი მახვილი ზმნაზეა და წინადაღება მთავრდება დამავალი ინტონაციით (L%), თუმცა ნაშრომში „ათინური ლაზური“ აღნიშნულია, რომ ამგვარი წინადაღება ათინურში მთავრდება აღმავალი ინტონაციით (მიქ მუდა ასერე? „ვინ რას იზამს?“) (Öztürk, Pöchtrager 2011: 156). ასეთ შემთხვევაში ჩვენ ათინურშიც დამავალი ინტონაციური კონტური დავადასტურეთ. იხ. სურ. 2.3.4.

არაკითხვითსიტყვიანი წინადადება

ლაზურში არაკითხვითსიტყვიანი წინადადებაში ზმნას კითხვითი -ი ნაწილაკი ახლავს, ის ერთვის სახელსაც. არნოლდ ჩიქობავას აზრით, ის ფონეტიკურად ვერ დაუკავშირდება ვერც მეგრულს და ვერც ქართულს: მხოლოდ ფუნქციური შესატყვი-სობაა მათ შორის, თუმცა გამოთქვამს ვარაუდს, რომ ლაზური -ი „უნდა იყოს იგივე -ი, რასაც სვანური იყენებს კითხვითს წინა-დადებაში (ჩიქობავა 1936: 187).

-ი ნაწილაკიან კითხვით წინადადებაზე ს. ჟღენტი წერს: ფრაზის მახვილის თვალსაზრისით ჭანურში განსაკუთრებით საყურადღებოა კითხვითი ი, რომელიც კითხვითი ფრაზის ბოლოში ისმის და მისი წარმოთქმისას ტონს განსაკუთრებული აღმავლობა ახასიათებს. მაგ.:

ვა მოხთუ-რ? – არ მოვიდა? სხვა შემთხვევაში, ეს რომ თხრობითი წინადადება ყოფილიყო, მახვილი უარყოფის ნაწილაკზე („ვა“-ზე) დაისმებოდა: ვა მოხთუ – არ მოვიდა (ჟღენტი 1953: 195).

ჩვენი ექსპერიმენტით, არაკითხვითსიტყვიანი წინადადებაში ლაზურში მთავარი მახვილის მატარებელია -ი ნაწილაკის წინამავალი ხმოვანი ორმარცვლიანებში: **ხენი?** „ზის? ბოლოში დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს (L%).


სურ. Fig. Şekil 2.3.5. ვიწე (ფინდიკლი), კაცი / Vitse (Findikli), man / Vitse (Findikli), erkek

xe-n-i?

sit-PRS.S3.SG-QPTC

Is he/she sitting?

Oturuyor mu?



თუმცა სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მთავარი მახვილი კითხვითი ნაწილაკიდან გადათვლით, ანუ ბოლოდან მესამე მარცვალზეა (გამონაკლისია ჩხალელი მუჰაჯირების მეტყველება):

მოხთუი? / მოხტუი? „მოვიდა?“

ჩხალელ მუჰაჯირთა მეტყველებაში კი, მეგრულის მსგავსად, კითხვითი ნაწილაკის წინამავალ ხმოვანზეა მთავარი მახვილი.


სურ. Fig. Şekil 2.3.6. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek

mo-xt'-u-i?

PRV-come-AOR.S3.SG-QPTC

Has he/she come?

Geldi mi?




სურ. Fig. Şekil 2.3.7. მუჟავირი ლაზი, კაცი / Muhajir Laz, man / Muhacir Laz, erkek

mo-xt-u-i?

PRV-come-AOR.S3.SG-QPTC

Has he/she come?

Geldi mi?



ჩვენ შევნიშნეთ, რომ საქართველოში გავრცელებულ ლაზურ მეტყველებაში არაკითხვითსიტყვიანი წინადადება ფორმდება -ი ნაწილაკის გარეშე, რაც ქართულის გავლენის შედეგია და კითხვითობა გამოიხატება მხოლოდ ინტონაციით, ისევე როგორც ქართულში.

აა ბექ ქეთაბი დიკითხუ? (სარფი, კვარიათი) „ამ ბავშვმა წიგნი წაიკითხა?“ შდრ. სხვა ლაზურ კილოკავებს: აა ბექ ქითაბი იკითხუი? (ხოფ.-ჩხალ.) / პა ბერექ ქეთაბი იკითხუი? (ვინ., არქ.) / პამ ბერე ჩითაბი ქოგოლიონუი? (არტ., ვიუ.) / პამ ბერექ ჩითაბი თქუი? (ათინ.) „ამ ბავშვმა წიგნი წაიკითხა?“


სურ. Fig. Şekil 2.3.8. მუჟავირი ლაზი, კაცი / Muhajir Laz, man / Muhacir Laz, erkek

a berek

this.DEMP child-ERG book-NOM SV-read-AOR.S3.SG-QPTC

Has this child read the book?

Bu çocuk kitabı mı okudu?



სურ. Fig. Şekil 2.3.9. სარფი (საქართველო), კაცი / Sarpi (Georgia), man / Sarp (Gürcistan), erkek

a ja bee-k

this.DEMP child-ERG


Has this child read the book?

Bu çocuk kitabı mı?

ketab-i

book-NOM PRV-read-AOR.S3.SG

di-k'itx-u?



როგორც ვხედავთ, გამოლმა სარფულში (საქართველო) კითხვითი -ი ნაწილაკი არ მოგვეპოვება და ზმნის ბოლოში დამავალი ინტონაციური კონტურია. ეს -ი ნაწილაკი ყველა ლაზურ კილოკავში არის დაცული, მათ შორის გაღმა სარფში, მართალია, მასზე დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს, მაგრამ წინამავალ ხმოვანზე მეტი ხანგრძლივობით გამოირჩევა, ამდენად, სარფულ და კვარიათულ ლაზურში მისი უქონლობა სხვა კილოკავებისაგან სხვაობას შესამჩნევს ხდის. თურქეთის ლაზურ მეტყველებაში -ი ნაწილაკის შენარჩუნებას ხელი, ალბათ, იმანაც შეუწყო, რომ კითხვითი ნაწილაკი (mi / tu) თურქულსაც აქვს, ოღონდ ლაზურისაგან განსხვავებით ის სახელსა

თუ ზმნას უშუალოდ არ მიერთვის: sen mi? „შენ?“ geliyor mu? „მოდის?“

ლაზური -ი ნაწილაკი კითხვასთან ერთად ჩაკითხვასაც გამოხატავს და ერთვის როგორც ზმნას, ისე სუბსტანტივს: ჭარუმს-ი „წერს?“ კოჩიქი? „კაცმა?“


სურ. Fig. Şekil 2.3.10. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek

k'oči-k-i?

man-ERG-QPTC

The man?

Adam mi?



ასეთ შემთხვევაშიც, მთავარი მახვილი ზმნისა თუ სახელის პირველ მარცვალზეა, თუ ის ორმარცვლიანია, მეტმარცვლიანების შემთხვევაში კი – ბოლოდან მესამე მარცვალზე.

ლაზურში კითხვა შეიძლება გადმოიცეს კითხვითი სიტყვისა და ნაწილაკის გარეშე, მხოლოდ ინტონაციით. ეს ხდება

მაშინ, როცა დასმულ კითხვაზე პასუხს იღებ და მერე კიდევ ცდილობ რაღაცის დაზუსტებას:

- ქითაბი ეჭოფიი? „წიგნი იყიდე?“
- ჰო „კი“.
- **რვეული / დეჭოერი? „რვეული?“**


სურ. Fig. Şekil 2.3.11. სარფი (საქართველო), კაცი / Sarpi (Georgia), man / Sarpi (Gürcistan), erkek

defter-i?

notebook-NOM

A notebook?

Defter?



ლაზურის ყველა კილოკავში ასეთ სიტყვას მთავარი მახვილი მოუდის ბოლო მარცვალზე და მთავრდება აღმავალ-დამავალი ინტონაციური კონტურით.

ლაზურში გვაქვს ალტერნატიული კითხვაც. ასეთი ტიპის წინადადებაში გვხვდება კავშირი და ის ხასიათდება აღმავალი ინტონაციური კონტურით. მნიშვნელოვანია ის, რომ სარფულში ამ შემთხვევაში კითხვითი -ი ნაწილაკი შემონახულია, უფრო სწორად -ი ნაწილაკიანი და უნაწილაკო ფორმები გვხვდება პარალელურად და მთავარი მახვილი კავშირზეა, მაგრამ თუ ასეთი წინადადება უკავშიროა, მაშინ -იზეა მთავარი მახვილი:

ნულუ ვანა მულუ? / ნულუი ვანა მულუ? / ნულუ მულუ? (სარფ.) „მიდიხარ თუ მოდიხარ?“

ლაზურის სხვა კილოკავებში ალტერნატიულ კითხვით წინადადებაში კითხვითი ნაწილაკი მეტწილად ამგვარი კითხვის ორივე წევრს ერთვის, ზოგან მთავარი მახვილი პირველ ზმნაზეა (ვიჟა), მაგრამ ყველა შემთხვევაში კავშირი აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება:

ნულუი ვანა მულუი? / ულური ვანა მულური? „მიდიხარ თუ მოდიხარ?“

არცთუ იშვიათად ასეთი წინადადება კავშირის გარეშე გვხვდება: / **ნულუი მულუ** (სარფ.) / **ულური მულური** და მთავარი მახვილი პირველი ზმნის -ი ნაწილაკზეა.

სურ. Fig. Şekil 2.3.12. სარფი (საქართველო), კაცი / Sarpi (Georgia), man / Sarpi (Gürcistan), erkek

nu-l-u-i


PRV-go-PRS.S3.SG-QPTC

Are you going or coming?

Gidiyor musun geliyor musun?

mu-l-u?

PRV-come-PRS.S3.SG



განმყოფელი კითხვითი წინადადება


ლაზურშიც გვაქვს დადებითი (**ხოშ / ჰო**) და უარყოფითი (**ვარ > ვა**) ნაწილაკები, რომელთაგან **ჰო** და **ვა(რ)**-ს ერთვით კითხვითი -ი ნაწილაკი და დამოუკიდებელ ერთეულად არიან წარმოდგენილი.

განმყოფელ კითხვით წინადადებაში დადებით კითხვით ნაწილაკს აქვს აღმავალი ინტონაციური კონტური -ი ნაწილაკის წინ:

ნინი აქ ფენ, ხოშ? (ხოფ.) / ნინი ჰაქ რენ, ეშოი? (ჩხალ.) / ნინი ჰაქ რენ, ჰოი? (ვინ., არქ.) / ნინი ჰაი ორენ / ონ, ჰოი? (ვიჟ., არტ. ათინ.) „ნინი აქ არის, ხოშ?“

სურ. Fig. Şekil 2.3.13. ვიჟა (ჩამლიჰემშინი), ქალი / Vija (Chamlihemshin), woman / Vija (Çamlıhemşin), kadın

Nini	haj	o+n,	ho-i?
Nini-(NOM)	here.ADVPL	(be)-(PRS)S3.SG	yes.AFF-QPTC
Nini is here, isn't she?			
Nini burada öyle mi?			




ხოფურში მეტწილად **ხოშ „ხომ“** გამოიყენება, რომელსაც -ი არ ერთვის, თუმცა ისიც მაღალი F0-ით ხასიათდება.

ლაზურში, ჰო-საგან განსხვავებით, კითხვითი -ი უშუალოდ არ ერთვის უარყოფით ნაწილაკს და ამ სახით ფორმდება:

დოჭარი, აშო ვა ენი? (ხოფ.ჩხალ.) / **დოჭარი, ჰაშო ვარ თნი?** (ვიჟ., არტ. ათინ.)
„დაწერე, ასე არ არის?“

სურ. Fig. Şekil 2.3.14. არტაშენი, ქალი / Artashen (Ardeshen), woman / Artaşen (Ardeşen), kadın

do-nč’ar-i,	hašo	var	o-n-i?
PRV-write-AOR.IMPT-PM	thus.ADVM	not.NEG	be.S3.SG.QPTC
You have written, haven’t you?			
Yazdın değil mi?			



ლაზურში F0 პიკი ასეთ შემთხვევებში ვარ „არ“ ნაწილაკ-ზეა.


ექო კითხვები

ლაზურშიც გვაქვს ექო კითხვები, როცა ერთდროულად კითხვითი სიტყვაც და კითხვითი ნაწილაკიც არის გამოყენებული წინადადებაში, ნაწილაკს აქვს აღმავალი ინტონაცია.

მუ ხენი? (ხოფ.-ჩხალ., არქ.) / მუნ ორენი? (ვინ.) / მუ ორენი / ონი? (ვიუ., არტ. ათინ.) „რა არის?“

სურ. Fig. Şekil 2.3.15. ვიწე (ფინდიკლი), კაცი / Vitse (Findikli), man / Vitse (Findikli), erkek

mun	o+re-n-i?
what.Qpron-(NOM)	be-PRS.S3.SG-QPTC
What is this?	
Ne?	



ასეთ დროს მთავარი მახვილი კითხვით ნაწილაკზეა, შესაბამისად, გვაქვს აღმავალი ინტონაცია წინადადების ბოლოს.

„ათინურ ლაზურში“ კი აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევაში წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაციაა დამახასიათებელი (LHL%) (Öztürk, Pöchtrager 2011: 157).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კითხვით წინადადებებს მთავარი მახვილი აქვთ ქვემდებარებები ან ზმნაზე; კითხვითსიტყვიანი წინადადება ხასიათდება აღმავალი ინტონაციით ბოლოში, არაკითხვითსიტყვიანი კი დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება; დადებით და უარყოფით კითხვით ნა-

წილაკებს, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვად ფორმდებიან, ახასიათებთ მაღალი F0 უშუალოდ ნაწილაკზე და არა მათზე დართულ კითხვით -ი-ზე; საქართველოში გავრცელებულ ლაზურ მეტყველებაში არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება ფორმდება -ი კითხვითი ნაწილაკის გარეშე, რაც ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს და კითხვითობა გამოხატულია მხოლოდ ინტონაციით, ქართულის მსგავსად. ექმ კითხვებში აღმავალი ინტონაცია მოუდის კითხვით ნაწილაკს.

2.4. ბრძანებითი წინადადების ინტონაცია ლაზურში

ლაზურიც განარჩევს ორგვარ ბრძანებით წინადადებას: წართქმითსა და უკუთქმითს, რომელთაგან პირველი გულის-ხმობს ზმინთ გამოხატული მოქმედების შესრულებას, მეორე კი – აკრძალვას.

მონოგრაფია „ათინური ლაზურის“ მიხედვით, ათინურში როგორც წართქმით, ისე უკუთქმით ბრძანებითს ბოლოში დამავალი ინტონაცია ახასიათებს (Öztürk, Pöchtrager 2011: 158).


ჩვენ ლაზური ბრძანებითი წინადადებები გავაანალიზეთ 18 მთქმელის მეტყველების მიხედვით, ამათგან 2-2 ართვინისა და რიზეს პროვინციებში შემავალი ყველა ლაზური რაიონიდან, 2 გამოლმა სარფიდან და 2 მუჰაკირთა წარმომადგენელიც, აქედან 12 მამაკაცი, 6 – ქალი. მათი ასაკი 25-დან 89 წლამდეა.

დავიწყოთ ლაზური წართქმითი წინადადების განხილვით.

ნა ფთქვი, იხა ნაგნი! (ხოჭ.-ჩხალ.) / **ნა გინვი / ფთქვი,** (ქ)ოხონონი! (ვინ., არქ., არტ.) / **ნა ფთქვარე, ოგნი!** (ვიჟ.) / **ნა ვიტუ, ოგნი!** (ათინ.) „გაიგონე ნათქვამი!“

სურ. Fig. Şekil 2.4.1. არტაშენი, ქალი / Artashen (Ardeshen), woman / Artaşen (Ardeşen), kadın

na	g-i- c'v-i,	oxoc'on-i!
that.CONJ	O2-OV-tell.AOR-PM	hear-AOR:IMPT-PM
Hear what I am telling you!		
Dediğimi anla!		




მთავარი მახვილის მატარებელია **ნა** ნაწილაკიანი ზმნა ან უშუალოდ **ნა** ნაწილაკი (ჩხალური). შესაბამისად, ეს წინადადება მეტწილად იწყება მაღალი ტონით და მთავრდება დამავალი ინტონაციით, თუმცა წინადადების ფარგლებში როგორც ზმნას, ისე სახელს ახასიათებს HL და LH კონტურები.

განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როცა ბრძანების გამცემი პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელიცაა წარმოდგენილი წინადადებაში:

მა მემისიბინი / მისიმინი! (ხოთ.) / მა მემისიმინი! (ჩხალ.)
მა მემიუჯი! (ვიწ., არქ.) / მა მიშქინი! (არტ. ათინ.) / მა მაშკინი!
(ვიჟ.) „მე მისმინე!“

სურ. Fig. Şekil 2.4.2. ათინა (ფაზარი), კაცი / Atina (Pazar), man / Atina (Pazar), erkek



F0 პიკი ზმნის პირველ, ბოლოსწინინა ან ბოლოდან მესამე მარცვალზეა, მაგრამ საქართველოში მცხოვრები ლაზების მეტყველებაში პიკი მოუდის პირველ პირს, ბრძანების გამცემს, ასეა ზოგ ვიწელ, არტაშენელ და ათინელ მთქმელთან.


ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში წინადადება დამავალი ინტონაციით მთავრდება.

განვიხილოთ ისეთი ბრძანებითი წინადადებაც, რომელ-შიც მისამართი სახელიც გვაქვს:

თუთა, აქ მოხტი! (ხოჯ.-ჩხალ., არქ., ვინ.) / **თუთა, ჰაა (ქო)მოხტი / ელა!** (ვიუ., არტ., ათინ.) „თუთა, აქ მოდი!“

სურ. Fig. Şekil 2.4.3. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

Tuta,	ak	mo-xt-i!
Tuta-(NOM.-VOC)	here.ADVPL	PRV-come.AOR:IMPT-PM
Tuta, come here!		
Tuta, buraya gel!		



F0 პიკი გვაქვს მისამართი სახელის პირველ მარცვალზე, იშვიათად – ზმნაზე.

ყველა შემთხვევაში წინადადება მაღალი ინტონაციით ინ-ყება და ბოლოში დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

წარმოვადგინოთ მოწოდების გამომხატველი ბრძანებითი წინადადებაც:

მთელი ბირდემ ვიდათ / მთელი ხოლო ვიგზალათ! (ხოფ.-ჩხალ.) / ირი ხოლო ბიგზალათ! (არქ.) / თელ ბიგზალათ! (ვინ.) / ბითუმ ბერაბერი ვიგზალათ! (არტ.) / არ ალვერდა ვიდათ! (ვიჟ.) / ჰავდე, ბერაბერი ვიდათ / ირ ალორდა ვიდათ! (ათინ.) „(ყველა) ერთად წავიდეთ!“

სურ. Fig. Şekil 2.4.4. ვიჟა, ქალი / Vija (Chamlihemshin), woman / Vija (Çamlıhemşin), kadın

aroyverda


together.ADVM

Let's go together!

Hep beraber gidelim!

v-i-d-a-t!

S1-go.FUTSubj-PM-PL



მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს, აქედან გამომდინარე, ის მაღალი F0-ით იწყება და ბოლოში და-მავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

ახლა განვიხილოთ შექების გამომხატველი წინადადება:

კაი / კაი ბიჭი ჯე! (ხოფ., ვიწ., არქ.) / ხილი ბიჭი რე!
(ჩხალ.) / ვროსსი / ვორსი ბიჭი ორ(ე)! (არტ., ვიჟ., ათინ.) „კარგი
ბიჭი ხარ!“

სურ. Fig. Şekil 2.4.5. ჩხალა (დუზქოი), ქალი / Chkhala (Duzkoy), woman / Çala (Düzköy), kadın

xil-i bič'-i


good.ADJ boy-NOM

You are a good boy!

İyi bir uşaksın!

re!

be-(PRS. S3.SG)



მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, ზოგ-ჯერ – სახელზეც, წინადადება იწყება მაღალი ტონით და გამონაკლისის გარეშე დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.

ბრძანებითი წინადადებით გადმოიცემა დალოცვაც:
თრანგიქ გოხელას! (ხოჯ.) / **თანრიქ გოხელას!** (ჩხალ.,
არქ.) / **ლორმოთიქ გოხელაზ!** (ვინ.) / **ალლაქ გოხელას!** (ათინ.)
„ლმერთმა გაგახაროს!“


სურ. Fig. Şekil 2.4.6. სარფი (საქართველო), ქალი / Sarpi (Georgia), woman / Sarpi (Gürcistan), kadın

trangi-k g-o-xel-a-s!

god- ERG O2-NV-make glad.FUTSubj-PM-S3.SG

God bless you!

Tanrı sevindirsin!



მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, მეტწილად მეორე მარცვალზე ან ზმნაზე. წინადადება უმეტესწილად იწყება აღმავალი ინტონაციით და უგამონაკლისოდ დაბალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.

დალოცვის ფორმულად არტაშენსა და ვიუაში გამოიყენება ონნა / ენნა ფირი / მამური იხარე „დიდხანს იცოცხლე (ზედმინ. „ე რომ მამური იქნები“)“. ამ შემთხვევაში F0 პიკი მოუდის ონნა / ენნა-ს.

განვიხილოთ წყევლის გამომხატველი წინადადების ინტონაციაც:


**ჯენემიშა იდა! (ხოუ.) ჯენემიშა იდაა! / ჯენემის ლაი მო-
შაგალუ! (ჩხალ.) / ჰეტრა უჩაშა! (არქ.) / ენნა / ონნა ჯე(ე)ნემიშე
ნა იდარე! (ვიწ., არტ., ვიუ., ათინ.) „ჯანდაბამდე გზა გქონია!“**

სურ. Fig. Şekil 2.4.7. არქაბი (არჟავი), კაცი / Arkabi (Arhavi), man / Arkabi (Arhavi), erkek

e-na	žeenemi-še	na	id-a-re!
hey.INT-that.CONJ	hell-ALL	that.-CONJ	go.FUTSUBJ: IMPT-PM-CLTC

You can go to hell!

Cehennemin dibine!



ამ შემთხვევაში მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს და მის ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

უკუთქმითი ბრძანებითი ლაზურში გამოიხატება **ვა „არ,** **ვერ“ და **მო / მოთ / მოდ „ნუ“** ნაწილაკებით. **ვა** ახლავს კავშირებითი კილოს ფორმებს, ხოლო **მო / მოთ / მოდ –** როგორც**

თხრობითი, ისე კავშირებითი კილოსას, თუმცა ბრძანებითში უფრო გავრცელებულია მო / მოთ ნაწილაკის ხმარება.

თოლიქ ვა გძიას / თოლითენ ვა გძია / თოლის მო ენამანიე! (ხოფ.) / თოლის ვა გემანორა! (ჩხალ.) / თოლიზ მო ენემილამ! (არქ.) / თოლიზ მოდ მაძიე! (ვინ.) / თოლი მო მაზირ / თოლი მო მაზირტამ! (არტ., ვიუ.) / თოლიქ მო მიძირას სი! (ათინ.) „თვალით არ დამენახო!“


სურ. Fig. Şekil 2.4.8. ხოფა, კაცი / Khopa, man / Hopa, erkek

tol-i-k va g-zi-a-s!

eye-ERG no.NEG O2.SG-see-FUTSubj-PM-S3.SG

Get out of my sight!

Gözüm görmesin seni!




მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს, ანუ იწყება მაღალი F0-ით და დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.

გამოყენების თვალსაზრისით, ლაზურ უკუთქმით წინადადებაში აქტიურია **მო / მოთ / მოდ „ნუ“** ნაწილაკი. მთქმელების უმეტესობა მის გამოყენებას არჩევს:

მო(თ) დგი აქ! (ხოფ.) / **აქ მო დოდგითურ!** (ჩხალ.) / **ჰაქო მოდ დოდგითურ!** (ვიწ.) / **ჰაქ მოთ დოდგითურ!** (არქ.) / **ჰაჲ მო დოგუთურ!** (არტ., ათინ.) / **ჰაჲ მო დგურ!** (ვიჟ.) „ნუ დგახარ აქ!“

სურ. Fig. Şekil 2.4.9. მუჰაჯირი ლაზი, კაცი / Muhajir Laz, man / Muhacir Laz, erkek



აქაც მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, შესაბამისად, **ჰაჲ / აქ** ადგილის გარემოებაზე (არტ., ათინ., ჩხალ.) ან **მო(თ)** ნაწილაკზე (ხოფ.), თუმცა აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება ზმნაც. წინადადების ბოლოს ყოველთვის დამავალი ინტონაცია გვაქვს (L%).

ამრიგად, წებისმიერი შინაარსის გამომხატველ ბრძანებით წინადადებას პირველივე წევრზე ახასიათებს მაღალი F0 და დამავალი ინტონაციით დამთავრება. სწორედ წინადადების დასაწყისშივე მაღალი F0-ის ქონა განასხვავებს მას თხრობითი და კითხვითი წინადადებებისაგან.

2.5. ძახილის წინადადების ინტონაცია ლაზურში

ძახილის წინადადებები გადმოსცემენ სხვადასხვა ემოციას: ნატურას, მოწონებას, დანანებას და ა.შ.


ლაზური ძახილის წინადადებები გაანალიზდა 18 მთემელის მეტყველების მიხედვით, ამათგან 2 საქართველოში მცხოვრები ლაზია, 2-2 კი – ისტორიული ლაზეთის ყველა რაიონისა და ორიც მუჰაჯირთა მეტყველების ნარმომადგენელი. მათი ასაკი 9-დან 99 წლამდეა.

დავიწყოთ ნატურის გამომხატველი წინადადების ანალიზით:

კოი ლომან მოხტატი! (ხოჭ.-ჩხალ.) / კო ლომა მოხთიკო!
(არქ.) / ლომა მოხტიკონტი! (ვიწ.). / თეშკე ლომან ქომოხტიკონ!
(არტ., ვიუ.) / თეშკე ლომან მოხტიკო! (ათინ.) „ნეტავ გუშინ მოსულიყავი!“

სურ. Fig. Şekil 2.5.1. არქაბი (არჰავი), კაცი / Arkabi (Arhavi), man / Arkabi (Arhavi), erkek

k'o	yoman	mo-xt-i-k'o!
I wish.INTJ	yesterday-ADVT	PRV-come.FUTCOND-PM
I wish you had come yesterday!		
Keşke dün gelseydin!		



F0 პიკის მატარებელია წინადადების პირველი წევრი პირველ ან ბოლო მარცვალზე, შესაბამისად, ის ზოგან იწყება აღმავალი, ზოგან – დამავალი ინტონაციური კონტურით და დამავალითვე მთავრდება.

ახლა განვიხილოთ აღფრთოვანების გამომხატველი წინადადება:


ე, მუთეი კაი ამბაი ვოგნი / ოუ, დიდო კაი ამბაი ვოგნი! (ხოფ.) / ნანა, დიდო კაი ამბაი ბოგნი! (არქ.) / ოხ, მუ კაი ამბაი ბოგნი! (ვინ.) / ოფშა ვორსი / ვროსსი ხაბერი დომაგურუ (ვიუ., არტ., ათინ.) „დედა! რა კარგი ამბავი გავიგე!“

მეგრულ-ლაზური ინტონაცია

სურ. Fig. Şekil 2.5.2. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

nana,	dido	k'aj-i ambaj-i	b-o-gn-i!
mother.INTJ	very.ADVM	good. ADJ	S1-hear-AOR-PM
news-(NOM)			

Ah, what good news!
Oh, be, ne güzel haber aldım!



მთავარი მახვილი მოუდის შორისდებულს, თუმცა ზოგჯერ ვითარების გამომხატველ სიტყვას (მუფეღ, დიდო), წინადადება კი ყოველთვის დამავალი ინტონაციური კონტრურით მთავრდება. ასეილის წინადადებით გადმოიცემა მოწონებაც:


ოუ, მუ კათი იბირს! / ოჲ, მუ კათი იბირს! (ხოთ.) / ნაკო მსკვა იბირს! (არქ.) / მუ მსკვა ტრალუდამზ! (ვიწ.) / მუ მსკვა ტრალუდაა! (ვიუ.) / პაკო მსკვანა ტრალუდუდ! (არტ.) / მუდა მსკვა ტრალუდუმს! (ათინ.) „უუჲ, რა კარგად / ლამაზად მლერის!“

სურ. Fig. Şekil 2.5.3. სარფი (საქართველო), ქალი / Sarpi (Georgia), woman / Sarpi (Gürcistan), kadın

oh,	mupej-i	k'aj-i	i-bir-s!
wow.INTJ	what.ADJ-NOM	good.-ADJ-NOM	SV-sing.- PRS.S3.SG

Wow! He/She sings so well!

Oh, ne güzel şarkı söylüyor!




F0 პიკი გვხვდება წინადადების დასაწყისში და დამავალი კონტურით გრძელდება, ზმნაზე ისევ მაღლდება და ბოლოს დამავალი ინტონაცია გვაქვს (L%).

ახლა განვიხილოთ მწუხარების გამომხატველი ძახილის წინადადება:

ვოი / ე, თი ჩქიმი! (ხოჯ., ვინ., არქ.) / **ეჩა, დუდი შკიმი!** (ვიჟ., არტ., ათინ.) „ვაი, ჩემი ბრალი!“

სუր. Fig. Şekil 2.5.4. արդաշենո, ქալո / Artashen (Ardeshen), woman / Artaşen (Ardeşen), kadın

eča,	dud-i	šk’im-i!
woe-INTJ	head-NOM	mine-POSSPron
Poor me!		
Vay başım!		



F0 პიკით ხასიათდება վოռ / ց / ეჩა մორიսდებული, შესաბა-
მისად, წინადადება ინყება մაღალი ტონით, თუმცა ყველა შემ-
თხვევაში დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება.


ძახილის წინადადებით შეიძლება გადმოიცეს დანანებაც:
ვახ, მუფეთი კოჩი ლურუ! (ხოთ.) / ვუ, მუფეთი კოჩი დო-
მილურეს! (არქ.) / ეჩხომე, მუფერი კოჩი გომდუნით! (არტ.,
ვიუ.) / მუ კოჩი კაბი პით! (ათინ.) „ეჭ, რა კაცი მოკვდა / მოგ-
ვიკვდა / დავკარგეთ!“

სურ. Fig. Şekil 2.5.5. ვიჟა (ჩამლიჰემშინი), კაცი / Vija (Chamlihemshin), man / Vija (Çamlıhemşin), erkek

ečxome, muper-i	k'oč-i	go-m-dun-i-t!
alas.INTJ	what-ADJ-NOM	PRV-O1-loss-AOR.-
		PM-PL

Alas! What a great man we lost!


Ah, nasıl adamı kaybettik!



მთავარი მახვილი მოუდის გარემოებას, თუმცა ყველგან მაღალი F0-ით ხასიათდება შორისდებულიც, ზოგან კი – ზმნაც. ახლა გავაანალიზოთ დაფრთხობის გამომხატველი წინა-დადებაც:

ჰელე, მემანკი! (ხოფ.-ჩხალ., ვიწ., არქ.) / **რაატი მემაშკვი!** (ვიჟ.) / **ჰელე, მემაშკვი / ნინი!** (არტ., ათინ.) „დამეხსენი!“

სურ. Fig. Şekil 2.5.6. ხოფა, ქალი / Khopa, woman / Hopa, kadın
hele, **me-m-a-c'k'-i!**
 hurry up now.LNTJ PRV.O1-unbind-AOR-PM
 Leave me alone!
 Rahat bırak beni!



მთავარი მახვილი მოდის წინადადების პირველ წევრზე, მეტწილად მის ბოლო მარცვლაზე, ანუ წინადადება აღმავალი ინტონაციით იწყება და დამავლით მთავრდება.

დახილის წინადადებით გამოიხატება გაბრაზებაც:

მუ მიწუმეფს, ოწკედი არ / ოწკედი და, მუეფე მიღაღალს! (ხოფ.) / ოწკედი, მუ მიწუმესს! (არქ.) / ოწკედი, მუფეეფე მიწუ-მესს! (ვინ.) / ჰამუ გაზინი, ნეფეფე / მუფერეფე მიწომეა! (ვიჟ.) / ცადი, მუდაფე მიწუმერს! (ათინ.) „რას მეუბნება!“


სურ. Fig. Şekil 2.5.7. ვიუა (ჩამლიჰემშინი), ქალი / Vija (Chamlıhemşin), woman / Vija (Çamlıhemşin), kadın

muper-ep-e m-i-c'-om-e -j!

what-PL-NOM O1-OV-tell-THM-PRS.S3.SG-CLTC

God! What is he/she telling me!

Ne diyor bana!




მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს ხან პირველ, ხან – მომდევნო მარცვალზე, მაგრამ მაღალი F0-ით ხასიათდება კითხვითი სიტყვაც. წინადადება იწყება აღმავალი ან დამავალი ინტონაციური კონტურით და დამავლით მთავრდება.

დახილის წინადადება გადმოსცემს ზიზღასა და დაწუნებასაც:

ფუ, მუს ნუნგაფს / ვუ, მუს ნუნგაფს! (ხოფ.) / ვუ, მუზ ნუნგამს! (არქ., ვინ.) / ჲა მუ ნუმგვაძ! (არტ., ვიუ.) / ვუუ, ა მუდას ნუნგუს! (ათინ.) „ფუჭ, რას ჲგავს!“

სურ. Fig. Şekil 2.5.8. ათინა (ფაზიარი), ქალი / Atina (Pazar), woman / Atina (Pazar), kadın

vuu,	a	muj-a-s
voe, is me.-INT	this.DEMPron. (Nom)	what.-Qpron-DSM 3-DAT
nung-u-s!		
look like-THN.S3.SG		
Eww, what does that look like!		
Puh, Neve benzivör!		



F0 პიკი ყველგან შორისძებულზე მოდის, აქედან გამომდინარე, წინადადება იწყება მაღალი ტონით და დაბლით მთავრდება.

ძახილის წინადაღებით შესაძლოა გამოიხატოს საგანგაშო ძახილიკი:

**ჰავდე, (ქო)მემიშველით! / მემიშოლით! „არიქა, დამეხმა-
რეთ!“**


სურ. Fig. Şekil 2.5.9. ჩხალა (დუზქოი), ქალი / Chkhala (Duzkoy), woman / Çala (Düzköy), kadın

hajde, me-m-i-şvel-i-t!

hurry.-PRTC PRV-O1-OS-help.AOR:IMPT-PM-PL

Hurry! Help me!

Bana yardım edin!



F0 პიკი ყოველთვის შორისდებულის პირველ მარცვალზეა, შესაბამისად, წინადადება იწყება მაღალი F0-ით და მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ამრიგად, ძახილის წინადადებებში მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, მის პირველ ან ბოლო მარცვალზე, შესაბამისად, ის ზოგან იწყება აღმავალი, ზოგან – დამავალი ინტონაციური კონტურით. ამდენად, ლაზურის ძახილის წინადადება ინტონაციურად ბრძანებითისაგან არ განსხვავდება.

2.6. კითხვით-ძახილის წინადადების ინტონაცია ლაზურში

კითხვით-ძახილის წინადადება შინაარსით განსხვავდება ძახილის წინადადებისაგან, ის ემოციასთან ერთად კითხვასაც გადმოსცემს. ეს განსხვავდება სათანადოდ აისახება ლაზური კითხვით-ძახილის წინადადების ინტონაციაში. ამ შემთხვევაშიც გავაანალიზეთ 18 მთქმელის მეტყველება.


აშო ვა ჯენი, ეფრი?!? (ხოფ.-ჩხალ.) / ჰაშო ვა ენი, ჭე?!? (არქ., ვიწ.) / ჰიშო ვარ ონი, ჭე / ბე?!? (ვიუ., არტ.) / ჰაშო ვარ ონი, ჭე ბერე?!? (ათინ.) „ასე არაა, ბიჭო?!?“

სურ. Fig. Şekil 2.6.1. არქაბი (არჰავი), ქალი / Arkabi (Arhavi), woman / Arkabi (Arhavi), kadın

hašo va e-n-i, č'e?!
thus.-ADV.M no.NEG be-PRS.S3.SG-QPTC boy-(NOM:VOC)

Isn't it like that?!

Öyle değil mi, be?!



მთავარი მახვილი მეტწილად მოუდის ვარ ნაწილაკს (კითხვითი წინადადების მსგავსად), ზოგ შემთხვევაში – აშო / ჰაშო წინადადების პირველ სიტყვას ან მისამართ სახელს (ეფრი / ჭე /

ბე „ბიჭო“). წინადადების ბოლო ხასიათდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ახლა კი გავაანალიზოთ კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვით-ძახილის წინადადება:

ქო, ამა ჩქიმიშენ მუ გინონ?! (ხოფ.-ჩხალ.) / კაი დო მა მუ მაკვან?! (ვინ., არქ.) / ვროსი, ამა მა მუ მანკვარ?! (არტ.) / (ე) ჰო დო / ამა შკიმდა მუ გორუმ?! (ვიუ.) / ვორსი, ამა მა მუდა მო-გორამ / ჰო დო შკიმდე მუდა გორუმ?! (ათინ.) „კი, მაგრამ ჩემ-თან რა გინდა?!“


სურ. Fig. Şekil 2.6.2. ვიუა (ჩამლიშემშინი), კაცი / Vija (Chamlihemshin), man / Vija (Çamlıhemshin) erkek

e, ho do šk'ım-da mu
hey.INT yes.AFF and.CONJ I.PERS Pron-ALL what.Qpron-(NOM)
gor-um?

look for-PRS-PM

What do you want from me?!

Iyi, ama benden ne istiyorsun?!



მთავარი მახვილის მატარებელია წინადადების პირველი წევრი, ყველგან მაღალი F0-ით ხასიათდება კითხვითი სიტყვაც, წინადადება კი მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით.

ამდენად, ინტონაციური თვალსაზრისით, კითხვით-ძახილის წინადადება მიჰყვება როგორც კითხვით, ისე ძახილის წინადადებას.

2.7. ლაზური სპონტანური მეტყველების ანალიზი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, არასპონტანურ მეტყველებასთან ერთად, ჩვენი კვლევის ფარგლებში, ჩავიწერეთ ლაზური სპონტანური მეტყველების ნიმუშებიც.

ლაზური სპონტანური მეტყველების ანალიზისთვის მოვიპოვეთ როგორც მხატვრული (ლექსი), ისე – არამხატვრული გაბმული ტექსტები.

დაუგეგმავი ლაზური ზეპირი მეტყველება, ცხადია, განსხვავდება არასპონტანური ლაზური მეტყველებისაგან ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: ტემპი, პაუზა და ა.შ.

ლაზური სპონტანური მეტყველებაც მონოლოგის, დიალოგისა და პოლილოგის სახით რეალიზდება. ლაზურშიც მთავარ სხვაობას სპონტანურ და არასპონტანურ მეტყველებას შორის ქმნის ტემპი. არასპონტანური მეტყველება ლაზურის შემთხვევაშიც უფრო სწრაფია, ვიდრე სპონტანური, რადგან დაუგეგმავი ზეპირი საუბრისას მოლაპარაკეს მეტი დრო სჭირდება აზრის ჩამოსაყალიბებლად, რაც აისახება ტემპზე, თანაც ზრდის პაუზათა რაოდენობას.

ტემპის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლაზური კილოკავებიც. აშკარად აღიერება, რომ ხოფურ-ჩხალურზე, ვიწურსა და არქაბულზე გაცილებით სწრაფი ტემპით გამოირჩევა ვიუური, არტაშენური და ათინური ლაზური მეტ-

ყველება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინდივიდუალურ გა-
მონაკლისებს.

ლაზურ სპონტანურ მეტყველებაში არცთუ იშვიათია
პაუზისას ბოლოკიდური ხმოვნის გაგრძელება, ასევე, სიტ-
ყვებისა და წინადადების ამა თუ იმ წევრის შიდა ხმოვნების ან
ბოლოკიდური ბგერის გაგრძელებით წარმოთქმა, რაც
ემოციური მიზეზითაა გამოწვეული.

კილოკავთა განსხვავებულობაზე მახვილის გავლენა
ლაზურშიც ხელშესახებია. ძლიერი მახვილი ახასიათებს ლა-
ზურის დასავლურ კილოკავებს (ვიუური, არტაშენური, ათი-
ნური), რაც ვლინდება კიდეც მათში რედუცირებული ფორმე-
ბის სახით: კიბირი $>$ კიბირი „კბილი“, მუნტური $>$ მუნტრი
„მატლი“, მაშინ როცა აღმოსავლურ ლაზურ კილოკავებში
სრულხმოვანი ვარიანტებია შემონახული (კიბირი, მუნტური).
ვიუურში გვხვდება ბოლოკიდური ხმოვნების მოკვეცაც: ვორ-
სი ვორე $>$ ვორსი ვორ „კარგად ვარ“. ეს ყოველივე თავისე-
ბურად აისახება ინტონაციაზეც და ლაზური კილოკავების
წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, მათზე დაყრდნო-
ბით, გაარჩიონ მოლაპარაკის სადაურობა.

სპონტანური მეტყველებისას პაუზის დროს ლაზები იყე-
ნებენ ჯ ბგერათმიმდევრობას ან **ონდო / მუთხა „ის(ა) / რაღაც“**
სიტყვას.

არამხატვრული სპონტანური მეტყველებისაგან გამოირ-
ჩევა მხატვრული ტექსტიც, მაგალითად, ლექსი. მასში, არამ-
ხატვრული ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, პაუზები
უფრო მოკლეა; ლექსში რიტმი მაქსიმალურად მოწესრიგებუ-
ლია, სპონტანურ მეტყველებაში – მოუწესრიგებელი.

ლაზებსაც ახასიათებთ სწრაფი ტემპი სიხარულისა და
აღელვების დროს, ხოლო შენელებული ტემპი – ემოციური გან-
წყობის დაქვეითებისას. ჩვენი დაკვირვებით, ემოციური გან-
წყობის შესაბამისად იცვლება ტონალობაც.

მეგრულ-ლაზური ინტონაცია

ლაზური სპონტანური ტექსტიც არასპონტანურზე უფრო მაღალ ტონალობაში წარმოითქმის. ლაზ ქალებსაც უფრო მაღალი ტონალობა აქვთ, ვიდრე კაცებს.

ლაზური სპონტანური მეტყველების დროსაც მთქმელმა შეიძლება წინადადება არც დაასრულოს, ის განყვიტოს ვითა-რების შესაბამისად.

**თავი III
მეგრული და ლაზური ინტონაციის
შედარებითი ანალიზი**

**3.1. მეგრული და ლაზური სიტყვათმახვილის
შედარებითი ანალიზი**

კ. დანელიას ვარაუდით, სუსატი მახვილი კოლხურში უპი-
რატესად ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მეორე და მესამე
მარცვალზე მოდიოდა ბოლოდან (კოლხური ენა 2005: 88).

ს. უღენტი აღნიშნავს, რომ მეგრულში ლაზურის მსგავსი
აქცენტუაცია არ დასტურდება, იქ მრავალმარცვლიან სიტყვებ-
ში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე (უღენტი 1953: 192).

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ მეგ-
რულსა და ლაზურს შორის ინტონაციის კომპონენტთაგან მთა-
ვარ განსხვავებას დღეს სწორედ მახვილი იძლევა.

მეგრულში ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში მახვი-
ლიანია პირველი მარცვალი, სამმარცვლიანებში ზოგ შემთხვე-
ვაში – ბოლოსნინა მარცვალი, ხოლო ოთხმარცვლიანებში – ბო-
ლოდან მესამე, ხუთ- და მეტმარცვლიანებში – თავიდან მეორე
მარცვალი, მეგრულში ხუთმარცვლიან სიტყვებს თანამახვილი
აქვთ ბოლოსნინა მარცვალზე, ექვსმარცვლიანებს – ბოლოდან
მესამეზე, შვიდმარცვლიანებს – ბოლოდან მეოთხეზე. ლაზურ-
ში ორ-, სამ- და ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოსნი-
ნა მარცვალზეა, ხუთ- და ექვსმარცვლიანებში – ბოლოსნინაზე
ან ბოლოდან მესამე მარცვალზე, შვიდმარცვლიანებში – ბო-
ლოსნინაზე, ბოლოდან მესამე ან მეოთხე მარცვალზე; ლაზურში
ხუთ- და მეტმარცვლიან სიტყვებში თანამახვილი
მე-2 ან 1-ელ მარცვალზეა (შდრ. ცხრილი 1 და ცხრილი 2).

თუ მახვილი ბოლოსნინა მარცვალზე ისტორიულადაც
დამახასიათებელი იყო ლაზურისთვის, არაა გამორიცხული მეგ-
რულის თანამედროვე ვითარება ქართულის ძლიერი გავლენით

იყოს გამოწვეული, ან შესაძლოა, რომ ლაზურში მახვილის ადგილი სიტყვაში თურქულის გავლენას მიეწეროს, რადგან მას ახასიათებს მახვილი მეტწილად ბოლოკიდურ მარცვალზე.

მეგრული და ლაზური სხვადასხვა რაოდენობის მარცვლების შემცველი სიტყვების F0 კონტურის სანახავად იხ. სურ. 1.1.1 და სურ. 2.1.1, სურ. 1.1.2 და სურ. 2.1.2, სურ. 1.1.3 და სურ. 2.1.3, სურ. 1.1.4 და სურ. 2.1.4, სურ. 1.1.5 და სურ. 2.1.5, სურ. 1.1.6 და სურ. 2.1.6, სურ. 1.1.7 და სურ. 2.1.7.

როგორც მეგრულში, ისე ლაზურში მახვილს აქვს ფონოლოგიური ღირებულება, როცა ხდება ფორმათა დამტხვევა. მეგრულში ემთხვევა სახელი და ზმნის მესამე პირის ფორმა (ღურუ „სიკვდილი“ და ღურუ „კვდება“, იხ. სურ. 1.1.8 და სურ. 1.1.9) ან ზმნის აორისტისა და მომავლის ფორმები (იხ. სურ. 1.1.10 და სურ. 1.1.11) (იშვიათად I თურმეობითისა, იხ. სურ. 1.1.12), ლაზურში კი ფორმობრივ ემთხვევა მასდარი და ზმნის მესამე პირის ფორმა (იხ. სურ. 2.1.8 და სურ. 2.1.9, სურ. 2.1.10 და სურ. 2.1.11). ლაზურში მახვილის ფონოლოგიური ღირებულება ჩვენ ვერ დავადასტურეთ ხოფურ-ჩხალურში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ ჭანურ-მეგრულის მახვილი არ განსხვავდება ტიპოლოგიურად ქართულისა და სვანურის მახვილისაგან, ოღონდ ამ მხრივ ინდივიდუალური თავისებურებანი ახასიათებს როგორც ჭანურის, ისე მეგრულის კილოკავების წარმოთქმას (ჟღენტი 1953: 190).

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ჭანურ-მეგრულის მახვილი მოძრავია, ხოლო ტიპოლოგიურად იგი სუსტი დინამიკურ-მუსიკალურია, ოღონდ უფრო სუსტი დინამიკურ-მუსიკალური, ვიდრე ქართულშია და კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე სვანურში... ჭანურ-მეგრულმა რომ ე.წ. სრულხმოვნობა შეინარჩუნა, ეს ჭანურ-მეგრულში მოქმედი სუსტი დინამიკური მახვილის შედეგია (ჟღენტი 1953: 190).

ტ. გუდავას თვალსაზრისით, ზანური გაურბის რედუქცი-

ას, თუ მის შედეგად მოხდება აქცესიური კომპლექსების შექმნა, ანუ ამით ახდენს აქცესიური კომპლექსების სუპერაციას (გუდავა 1950), რაც გაზიარებული არაა სამეცნიერო ლიტერატურაში (კოლხური ენა 2005: 88).

ს. უღენტის მსგავსად, კ. დანელიას კოლხურში ურედუქციობის, სრულხმოვნობის მიზეზად მიაჩნია მახვილი. მისი აზრითაც, მახვილი ისტორიულად მეგრულ-ჭანურში სუსტი უნდა ყოფილიყო. მარცვალი, რომელზეც სუსტი მახვილი იყო, სუსტდებოდა და იკარგებოდა (კოლხური ენა 2005: 88).

ფუძეკუმშვადობას ინტენსიური მახვილის უქონლობას მიაწერს არნ. ჩიქობავაც (ჩიქობავა 1942). მისი აზრით, რედუცირებული ფუძეები მეორეულია ძლიერი დინამიკური მახვილის შედეგად. ასეთი მახვილის მოქმედებით გამოწვეული რედუქცია ახასიათებს მეგრულის სამურზაყანოულსა და ზუგდიდურ, ხოლო ლაზურის – ვიურ, არტაშენულ და ათინურ კილოკავებს.

ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულში ტონური მახვილის ნაშთიც არაა დადასტურებული (კოლხური ენა 2005: 89), თუმცა ვფიქრობთ, ლაზურში ნავარაუდები ტონური მახვილი უფრო ფრაზის / წინადადების მახასიათებელია, ვიდრე სიტყვათმახვილის.

3.2. მეგრული და ლაზური წინადადების ინტონაციის შედარებითი ანალიზი

მეგრულ-ლაზურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, შინაარსის მიხედვით წინადადება არის: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვით-ძახილისა.

მეგრული მარტივი წინადადება იწყება დაბალი ტონით, გრძელდება აღმავალი ინტონაციით და წინადადების ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს. იგივე სურათია ლაზურშიც, გამონაკლისია გამოლმა სარფული მეტყველება, რომელშიც მთავარი მახვილი მოუდის ქვემდებარეს, სხვა კილოკვებში მახვილი ადგილის გარემობაზეა, მეგრულის მსგავსად. სარფულში წინადადების ინტონაციური კონტური აღმავალ-და-

მავალია, სხვა კილოკავებში დამავალ-ალმავალ-დამავალი, ისე-ვე როგორც მეგრულში (შდრ. სურ. 1.2.1 და სურ. 2.2.1).

მეგრულსა და ლაზურში სიტყვათა რიგი გარკვეულწილად თავისუფალია (გვაქვს SVO ან SOV), ე.ი. სიტყვათა თან-მიმდევრობა შეგვიძლია ვცვალოთ. ეს არ გამოიწვევს შინაარ-სის ცვლილებას. შეცვლილი სიტყვათა რიგით წარმოდგენილი მარტივი წინადადება მეგრულსა და ლაზურში დაბალი ან მაღალი ტონით იწყება, მაგრამ ბოლოში დაბლდება (LHL% ან HL%), ორივეგან მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევ-რზეა (შდრ. სურ. 1.2.2 და სურ. 2.2.2).

შერწყმულ წინადადებაში მთავარი მახვილი არის რიგით მეორე პირდაპირ დამატებაზე (გალში, სენაკსა და ჩხოროწყუში), ხოლო მარტივილში, ფოთსა და წალენჯიხაში – უპრალო დამატებაზე, ხობში კი – შემასმენელზე, ლაზურში კი მთავარი მახვილი მოდის რიგით პირველ პირდაპირ დამატებაზე (**უშეიჯი / უშქუდი „ვაშლი“**). წინადადება ყველგან იწყება დაბალი ტონით, გრძელდება ალმავალი ინტონაციური კონტურით, თითქმის ყოველი ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის ფარგლებში გვხვდება ტონის ანევ-დანევა, მაგრამ ის ყველგან დამავალი ინტონაციით მთავრდება (შდრ. სურ. 1.2.3 და სურ. 2.2.3).

მეგრულსა და ლაზურში გვაქვს ორის სახის – თანწყობილი და ქვეწყობილი – რთული წინადადება.

რთულ თახნებილ წინადადებაში მეგრულში მთავარი მახვილი **დო „და“** კავშირზეა, თუმცა მაღალი F0-ით ხასიათდება ორივე სუბიექტი, წინადადება კი HL% ინტონაციური კონტურით მთავრდება. ლაზურში ალმავალი ინტონაციური კონტური მეორე ქვემდებარესაც აქვს, თუმცა მთავარი მახვილი პირველ ქვემდებარეს მოუდის. რთული თანწყობილი წინადადება ყველგან მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით (შდრ. სურ. 1.2.4 და სურ. 2.2.4).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მეგრულში მთავარი მახვილი **მარა „მაგრამ“** კავშირზეა (მარტივილი, ანაკლია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, სენაკი, გალი) ან **მითინქ „არავინ“** დამოკი-

დებული წინადადების ქვემდებარებები (მარტვილი, გალი, ხობი), ზოგჯერ – მთავარი წინადადების ქვემდებარებები (ჩხოროწყუ) ან დამოკიდებულის შემასმენელზე (აპაშა). ხოფურსა და ვიწურში მთავარი მახვილი მოუდის მთავარი წინადადების ქვემდებარებეს, მერე ინტონაციური კონტური დამავალია და მაღლდება კავშირსა და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარებები, არტაშენურსა და ვიუურში კი აღმავალი კონტურით ხასიათდება განსაზღვრება და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარებები. წინადადების ბოლოს ყველგან დამავალი ინტონაციური კონტური გვხვდება (შდრ. სურ. 1.2.5 და სურ. 2.2.5).

მეგრულსა და ლაზურში გვაქვს ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც კავშირის ნაცვლად, ნაწილაკს შეიცავენ და მის ფუნქციას ასრულებენ: ასეთია **-ნი** და **-ო** ნაწილაკიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები მეგრულში, ხოლო **ნა** და **-ში** ნაწილაკიანი წინადადებები ლაზურში (მეგრული **-ნი** და ლაზური **ნა** ერთვის ზმნასაც და სახელსაც, მეგრული **-ნი-სა-გან** განსხვავებით, ლაზური **ნა** შეიძლება წინ უსწრებდეს ზმნას, ხოლო მეგრული **-ო** და ლაზური **-ში** – ზმნას ერთვის მხოლოდ ბოლოში). ლაზურში ეს ნაწილაკები ყოველთვის წარმოდგენილია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მაგრამ მეგრულის მარტვილურ-სენაკურ კილოკავში **-ნი** ნაწილაკი იკარგება ხოლმე.

-ნი ნაწილაკიან რთულ წინადადებაში მეგრულში მთავარი მახვილი პირდაპირ დამატებაზეა (გალი, სენაკი, ხობი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა), იშვიათად – კავშირზე (წალენჯიხა). **ნა** ნაწილაკიან ლაზურ წინადადებაში ხოფურში, ვიწურში, არქაბულსა და ათინურში აღმავალი ინტონაციური კონტური აქვს განსაზღვრებას და დამოკიდებული წინადადების ზმნას, ვიუურში კი – მხოლოდ **ა / ჰამ ბოზო**, „ეს გოგო“ შესიტყვების ბოლო წევრს (**ბოზო**, „გოგო“). მეგრულშიც და ლაზურშიც წინადადება ყოველთვის დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება (შდრ. სურ. 1.2.6 და სურ. 2.2.6).

მეგრულში **-ო** ნაწილაკიან რთულ წინადადებაში მთავარი მახვილი **-ო-ს** წინა მარცვალზეა, თუმცა ჩვენ **-ო** ნაწილაკზეც

დავადასტურეთ, ლაზურ -ში ნაწილაკიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი მახვილი მოუდის -ში / -სი ნაწილაკიან ზმნას, აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება პირ-დაპირი დამატებაც, წინადადება კი დამავალი ინტონაციით მთავრდება (შდრ. სურ. 1.2.7 და სურ. 2.2.7).

ამდენად, მეგრულ-ლაზურში თხრობით წინადადებაში მთავარი მახვილი შეიძლება გვეონდეს ქვემდებარებული, გარემო-ებაზე, პირდაპირ დამატებაზე, ზმნასა და იშვიათად კავშირზეც. მას ახასიათებს აღმავალ-დამავალი ან დამავალ-აღმავალ-დამა-ვალი ინტონაციური კონტური.

მეგრულ-ლაზურში კითხვითი წინადადება ორი სახისაა: კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი. კითხვითსიტყვი-ანი წინადადება გამოხატულია კითხვითი სიტყვებით, არაკით-ხვითსიტყვიანს კი მეგრულში -ო, ლაზურში -ი კითხვითი ნაწილაკი გადმოსცემს.

მეგრულშიც და ლაზურშიც კითხვითსიტყვიან წინადადე-ბაში მთავარი მახვილი მოუდის ქვემდებარეს და წინადადების ბოლოს გვაქვს აღმავალი ინტონაციური კონტური (შდრ. სურ. 1.3.1 და სურ. 2.3.1).

თუ კითხვით წინადადებაში კითხვით სიტყვას დაერთო სხვათა სიტყვის ნაწილაკი, მეგრულშიც და ლაზურშიც მთავარი მახვილი ნაწილაკზე მოდის და წინადადების ბოლოს აღმავალი ინტონაციური კონტური გვაქვს (შდრ. სურ. 1.3.4 და სურ. 2.3.3).

როგორც მეგრულში, ისე ლაზურში ორმაგ კითხვითსიტ-ყვიან წინადადებებში სუბიექტი უსწრებს ობიექტს, მთავარი მახვილი ზმნაზეა და წინადადება მთავრდება დამავალი ინტო-ნაციით (L%) (შდრ. სურ. 1.3.5 და სურ. 2.3.4).

არაკითხვითსიტყვიან წინადადებებში მეგრულში მთავარი მახვილის მატარებელია -ო კითხვითი ნაწილაკის წინა ხმოვანი, ლაზურშიც -ის წინამავალი ხმოვანი ორმარცვლიანებში, თუმ-ცა სამ- და მეტმარცვლიან სიტყვებში მთავარი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა (გამონაკლისია ჩხალელი

მუპაჯირების მეტყველება. ის მეგრულს მიჰყვება) (შდრ. სურ. 1.3.6 და სურ. 2.3.5; სურ. 1.3.7, სურ. 2.3.6 და სურ. 2.3.7). გამოლმა სართულში (საქართველო) კითხვითი -ი ნაწილაკი დაიკარგა ქართულის გავლენით და მის მსგავსად კითხვა მხოლოდ ინტონაციით გამოიხატება (შდრ. სურ. 1.3.8, სურ. 2.3.8 და სურ. 2.3.9).

კითხვითი ნაწილაკები -ო / -ი გამოხატავენ ჩაკითხვასაც და ასეთ დროს კითხვითი ინტონაციური მახვილი მეგრულში ეცემა -ო-ს წინამავალ ხმოვანზე, ლაზურში კი – -ი-სგან გადათვლით მესამე მარცვალზე (შდრ. სურ. 1.3.9 და სურ. 2.3.10).

მეგრულსა და ლაზურში კითხვა მხოლოდ ინტონაციითაც გადმოიცემა, როცა ცდილობ რაღაცის დაზუსტებას. ყველა კი-ლოკაციი ასეთ შემთხვევებში აღმავალი ინტონაციური კონტური ბოლოში გვაქვს, უშუალოდ დასაზუსტებელ სიტყვაზე (შდრ. სურ. 1.3.10 და სურ. 2.3.11).

მეგრულსაც და ლაზურსაც ახასიათებს ალტერნატიული კითხვები, რომლებიც შეიცავს (დო) ვარ / თუ „თუ“ კავშირებს მეგრულში, ხოლო ვანა-ს – ლაზურში და სწორედ ამ კავშირებზეა აღმავალი ინტონაციური კონტური. მეგრულშიც და ლაზურშიც ალტერნატიულ კითხვებში კითხვის გამოსახატავად ერთდროულად გამოყენებულია კითხვითი ნაწილაკიც და კავშირიც, ამ შემთხვევაშიც კავშირი აღმავალი ინტონაციური კონტურით ხასიათდება. მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში არცთუ იშვიათად ასეთი წინადადება კავშირის გარეშე გვხვდება და მთავარი მახვილი პირველი ზმნის -ი ნაწილაკზე (ამ შემთხვევაში გამოლმა სართულში კითხვითი -ი შემონახულია, ოღონდ ის მხოლოდ პირველ წევრს ერთვის, ლაზურის სხვა კი-ლოკავებში კი ორივე წევრი -ი ნაწილაკს ირთავს) (შდრ. სურ. 1.3.11, 1.3.12 და სურ. 2.3.12).

როგორც მეგრულში, ისე ლაზურში განმყოფელ კითხვით წინადადებაში წარმოდგენილ დადებით (ხოშ / ჰო) და უარყოფით (ვარ > ვა) ნაწილაკებს აქვთ აღმავალი ინტონაციური კონტური,

კერძოდ, კითხვითი -ო / -ი ნაწილაკის წინ, ფოთის მეტყველებაში უშუალოდ -ო ნაწილაკზე, უარყოფით ნაწილაკიანი წინადადების შემთხვევაში ლაზურში F0 პიკი ვარ „არ“ ნაწილაკზეა (შდრ. სურ. 1.3.13 და სურ. 2.3.13; სურ. 1.3.14 და სურ. 2.3.14).

ექო კითხვებშიც მეგრულსა და ლაზურში კითხვით ნაწილაკს აქვს აღმავალი ინტონაცია (შდრ. სურ. 1.3.15 და სურ. 2.3.15).

მეგრულ-ლაზურს ორგვარი ბრძანებითი წინადადება აქვს: წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითი გულისხმობს ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების აუცილებლობას (შდრ. სურ. 1.4.1 და სურ. 2.4.1). მასში შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ბრძანების გამცემი, ისე მისამართი პირიც (შდრ. სურ. 1.4.2 და სურ. 2.4.2; სურ. 1.4.3, 1.4.4 და სურ. 2.4.3).

მეგრულშიც და ლაზურშიც ბრძანებითი წინადადება გადმოსცემს სხვადასხვა შინაარსს: მოწოდებას (შდრ. სურ. 1.4.5 და სურ. 2.4.4), შექებას (შდრ. სურ. 1.4.6 და სურ. 2.4.5), დალოცვას (შდრ. სურ. 1.4.7 და სურ. 2.4.6), წყევლას (შდრ. სურ. 1.4.8 და სურ. 2.4.7). ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მთავარი მახვილი მოუდის წინადადების პირველ წევრს და მის ბოლოს დამავალი ინტონაციური კონტური გვაქვს.

უკუთქმით ბრძანებითშიც მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, შესაბამისად, ის იწყება მაღალი F0-ით და დამავალი ინტონაციური კონტურით მთავრდება (შდრ. სურ. 1.4.9 და სურ. 2.4.8; სურ. 1.4.10 და სურ. 2.4.8).

ასეილის წინადადებები გადმოსცემენ სხვადასხვა ემოციას: წატვრას (შდრ. სურ. 1.5.1 და სურ. 2.5.1), აღფრთოვანებას (შდრ. სურ. 1.5.2 და სურ. 2.5.2), მოწონებას (შდრ. სურ. 1.5.3 და სურ. 2.5.3), მწუხარებას (შდრ. სურ. 1.5.4 და სურ. 2.5.4), დანანებას (შდრ. სურ. 1.5.5 და სურ. 2.5.5), დაფრთხობას (შდრ. სურ. 1.5.6 და სურ. 2.5.6), გაბრაზებას (შდრ. სურ. 1.5.7 და სურ. 2.5.7), ზიზღს (შდრ. სურ. 1.5.8 და სურ. 2.5.8), საგანგაშო ძანილს (შდრ. სურ. 1.5.9 და სურ. 2.5.9).

ნებისმიერი ემოციის გამომხატველ ძახილის წინადადებაში მთავარი მახვილი წინადადების პირველ წევრზეა, მის პირველ ან ბოლო მარცვალზე, შესაბამისად, ის ზოგან იწყება აღმავალი, ზოგან – დამავალი ინტონაციური კონტურით. შორისდებულის შემცველ ძახილის წინადადებაში მთავარი მახვილის მატარებელი სწორედ ისაა, თუმცა მეგრულში არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა F0 პიკი ზმნაზეა, მაგრამ ასეთ დროსაც შორისდებული მაინც ხასიათდება აღმავალი ინტონაციური კონტურით.

კითხვითი ნაწილაკის შემცველ კითხვით-ძახილის წინადადებაში მეგრულში მთავარი მახვილი მოუდის -**თ** კითხვითი ნაწილაკის წინა მარცვალს, ხოლო ლაზურში, ნაწილაკიდან თუ გადავითვლით, მესამე მარცვალს. წინადადების ბოლო ხასიათდება დამავალი ინტონაციური კონტურით (შდრ. სურ. 1.6.1 და სურ. 2.6.1).

კითხვითი სიტყვის შემცველ კითხვით-ძახილის წინადადებაში მეგრულში მთავარი მახვილი კითხვით სიტყვაზეა, იშვიათად – წინადადების პირველ წევრზე, ლაზურში კი ყოველთვის მთავარი მახვილის მატარებელია წინადადების პირველი წევრი, ყველგან მაღალი F0-ით ხასიათდება კითხვითი სიტყვაც, წინადადება კი მთავრდება დამავალი ინტონაციური კონტურით (შდრ. სურ. 1.6.2 და სურ. 2.6.2).

3.3. მეგრული და ლაზური სპონტანური მეტყველების შედარებითი ანალიზი

მეგრულ და ლაზურ სპონტანურ მეტყველებასაც აქვს ბევრი საერთო და ზოგი რამ განსხვავებული.

ორივეს დაუგეგმავ მეტყველებას ახასიათებს პაუზების სიმრავლე, მოლაპარაკენი პაუზის დროს იყენებენ **ჯებერათ-მიმდევრობას**, ასევე, **ინა / მუდა „ის(ა) / რაღაცა“** სიტყვას მეგრულები, ხოლო ლაზები – **ონდი / მუთხა-ს „ის(ა) / რაღაცა“**.

მეგრულისა და ლაზურის კილოკავებს ერთმანეთისაგან განასხვავებთ ტემპი, კერძოდ, მეტ-ნაკლებად ნელი ტემპით გამოირ-

ჩევიან მეგრულის სენაკურ-მარტვილური და ლაზურის ხოფურ-ჩხალური, ვიწური და არქაბული კილოკავები, ხოლო გაცილებით სწრაფი ტემპი ახასიათებთ მეგრულის ზუგდიდურ-ჯვარულს, სამუზაყანოულსა და ლაზურის ვიურ, არტაშენურსა და ათინურ კილოკავებს, იშვიათი ინდივიდუალური გამონაკლისების გარდა.

როგორც მეგრულ, ისე ლაზურ სპონტანურ მეტყველება-ში შეიმჩნევა წინადადების თუ ფრაზის ბოლოკიდური ბეგრის დაგრძელება, თუმცა მეგრულის მარტვილურსა და სამურზაყანოულ კილოკავებში გვხვდება როგორც ბოლოკიდური, ისე სიტყვის / წინადადების ამა თუ იმ წევრის შიდა ხმოვნების გაგრძელებით წარმოოთქმა.

მახვილის სიძლიერის მხრივ ლაზური კილოკავებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძლიერი მახვილი ახასიათებს ლაზურის დასავლურ კილოკავებს (ვიური, არტაშენური, ათინური), რაც ვლინდება რედუცირებული ფორმების სახით: კიბირი > კიბრი „კბილი“, მუნტური > მუნტრი „მატლი“, მაშინ როცა აღმოსავლურლაზურ კილოკავებში სრულხმოვანი ვარიანტებია დაცული (კიბირ, მუნტურ). ვიურურში გვაქვს ბოლოკიდური ხმოვნების მოკვეცაც: ვორსი ვორე > ვორსი ვორ „კარგად ვარ“. ეს ყოველივე თავისებურად აისახება ინტონაციაზეც და ლაზური კილოკავების წარმომადგენლებს ეხმარება მოლაპარაკის სადაურობის გარჩევაში.

ზოგადი ტენდენციაა და მეგრელ-ლაზებსაც ახასიათებთ სწრაფი ტემპი სიხარულისა და ალელვების დროს, ხოლო შენელებული ტემპი – ემოციური განწყობის დაქვეითებისას.

როგორც მეგრული, ისე ლაზური სპონტანური ტექსტიც არასპონტანურზე უფრო მაღალ ტონალობაში წარმოითქმის. მეგრელ-ლაზი ქალებიც კაცებზე მაღალი ტონალობით გამოირჩევიან.

როგორც მეგრულად, ისე ლაზურად სპონტანური მეტყველებისას მთქმელმა შეიძლება განყვიტოს წინადადება.

თავი IV

ინტონაციის საკითხები მეგრელთა და ლაზთა ქართულ მეტყველებაში

4.1. სიტყვათმახვილი მეგრელ-ლაზთა ქართულ მეტყველებაში

მეგრელთა და ლაზთა ქართული მეტყველება არასდროს გამხდარა შესწავლის საგანი. ჩვენ გავაანალიზეთ 10 მეგრელისა და 4 საქართველოში მცხოვრები ლაზის (2 სარფელი, 2 კვარიათელი) ქართული მეტყველება, რადგან თურქეთში მცხოვრებმა ლაზებმა ქართული არ იციან.

ქართულისთვისაც შეირჩა სიტყვები მარცვლიანობის (1-დან 7-მდე) მიხედვით, მაგალითად:

- 1 σ: და, ხე;
- 2 σ: მამა, ყური;
- 3 σ: კედელი, ბებერი;
- 4 σ: დაბარული, დადაგული;
- 5 σ: გადადებული, გამოგონილი;
- 6 σ: გადაკეთებული, გაგულისებული;
- 7 σ: გადახალისებული, გადაბიბინებული.

თითოეული მარცვალი არის CV ტიპისა. მახვილის ადგილი ამ შემთხვევაშიც მარცვლის ხანგრძლივობით განისაზღვრა. ექსპერიმენტის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში, კერძოდ, მეგრელთა ქართულ მეტყველებას ასახავს ცხრილი 3, ხოლო ლაზებისას – ცხრილი 4:

**ცხრილი 3. სიტყვათმახვილის ადგილი მეგრელთა
ქართულ მეტყველებაში**

რაოდენობა	სიტყვა	ადგილი	თანმიმდევრულ მქონე რ	F0 და ინტენსივობა
1 σ	და			
2 σ	მამა	1-ლი		მაღალი F0 1-ელ რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ რ-ზე
	ყური	1-ლი		მაღალი F0 1-ელ რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ რ-ზე
3 σ	კედელი	მე-2		მაღალი F0 1-ელ ან მე-2 რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 რ-ზე
	ბებერი	მე-2		მაღალი F0 1-ელ ან მე-2 რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ რ-ზე
4 σ	დაბარული	მე-2		მაღალი F0 მე-2 რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 რ-ზე
	დადაგული	მე-2		მაღალი F0 მე-2 რ-ზე; მაღალი ინტენსივობა 1-ელ ან მე-2 რ-ზე
